

ଜୀବନ ପାତା ମାତ୍ରାକାଳୀନ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ଯତିନାନ୍ଦନା, ପ୍ରତ୍ୟାମନ, ପରାମର୍ଶ



ଗାଥାପାତ୍ରମ—ଅଳ୍ପ. ପରାମର୍ଶ



କୋରିପାଳି

o. Jhntzjagmb.

ՀԱՅՈՒ ՊԵՏԱԳՐՈՒԹ Հ. Հ. Հ. Հ. Հ.

March 20th 1876
S. J. May Jr.

6/11 1923?

სული და იზეა

ბიოჰესინგზი და კოსმოზი.

ପ୍ରାଚୀନ କବିତା ଓ ଗୀତ, ଜୀବନ ଓ ଧ୍ୟାନ, ମହାକବି ରମେଶ୍ ପାତ୍ର



გამოცემა—აღ. ესაკიასი.

ଶ୍ରୀଲଙ୍କା ରାଜିକା

ଧର୍ମପାତ୍ରଙ୍କାନ୍ତମାନ ରାଜିକା ପତ୍ରକାନ୍ଦଳୀ.

ଅଂଶୁମତି ପାତ୍ରଙ୍କାନ୍ତମାନ, ୧୯୭୫ ଜାନୁଆରୀ ୩୦ ରାତରି ୨୩.

ମର୍ମାମ୍ବିନ୍, ନାଥ ଏବଂ ଗୋଟିଏ ନାଥ ସାହୁମାନ-
ମାନ ଉଚ୍ଚମାନମାନ ରାଜିକା ପତ୍ରକାନ୍ଦଳୀ...
ପାଠୀତମାନମାନ.

Peut-être qu'en effet, dans
l'immense étendue,
Dans tout ce que se meut une âme,
est répartie;
Que l'océan frappant sa rive
épouvantée
Avec ses flots grondants roule
une âme irritée.

ଲାମକନ୍ଦଳୀ.

ასოდა და ლუკაშვილ
ჭრილი ბერ ახმეტავ ას
ა. გა და გვალ.

სული და იდეა

შინასიტყვაობა.

ქართული მეტყველების ბუნება მხატვრულია და ქართველი თავის ტემპერამენტით—ესთეტი: განკუნებული აზროვნება, ფილოსოფიური პრიბლებები ჩვენს ისტორიაში სისტემატიურად არ შეგხვდებათ. დიდი რუსთაველის მარჯვეთქმით პოეზია სიბრძნის ერთი დარგია; ჩვენი ბრძენი და სტიქიების მოგვი ვაჟა-ფშაველა აგანწილებს ბუნების სულიერობისა და ორგანიულ-ინსტრუმენტიური ზმორების გრძნეულ მეტყველებას.

მხოლოდ წმინდა ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური აზროვნება, სისტემატიური ჩამოყალიბება ფილოლოგიურად დაგროვილ ცნებათა ჩვენს ლიტერატურაში ჯერ არ მომხდარა; კრიტიკული მსჯელობისა, ფილოსოფიურად აზროვნების აყვალებების ღრო ჩვენში ეხლა დგება—და მთელი რიგი მწერლების ინტელექტუალურ გამჭრიახობისა და შესაძლებლობის ფარგლებში იძლევა კრიტიკულ-ფილოსოფიური შემოქმედების ნიმუშებს.

სოფლმხედველობა, რომელიც ჩვენ შემოგვაჭვს ქართული აზროვნების ისტორიაში, ახალია თავის შინაარსით და ვფიქრობთ არ იქნება მოკლებული: ინტერესს ჩვენი რნ-ტელიგენციისა და საზოგადოებისათვის.

როგორც ყველაფური წუთისოფლად, ჩვენს სოფლმხედველობასაც აქვს აღბად დეფექტები: ყოველგვარ მეტყველებისა, და აზროვნების ორიგინალურ სისტემას ავტორის ტემპერამენტის და ორგანიულ-ფილოსოფიური დახრილობის გამომსახველი მეტაფიზიკური ზვიადობანიც თან ახლავს. შეიძლება ამასაც

ჰერნდეს ცივილიზაციის ისტორიაში თავისებური უნითმისტიური ღირებულება: თქმაც შეიძლება ორიგინალური იყოს, კილოს ხშირად სულის მღელვარება აზვიადებს.

ჩვენ იმედი გვაქვს მიგვითითებენ დეფექტებზე და ცალ შხრივად განაპირებულ დებულებებზე მიუდგომლად. ცოდნით, კულტურულ-ჭუმანიური გულთბილობით და არა ისე; როგორც ეს ჩვეულებად აქვს. ბარბაროსულ პერსონალიზმს, რომელსაც სამწუხაროდ, ხშირად ჰერნებია აღილი. ჩვენს წარსულში და რომელიც დღესაც აწვრილმანებს ჩვენს იდეალებსა და ზრახვებს.

კოშია: კაპანელი.

ცოდნის 20
1922 წ.



შ ე ს ა ვ ა ლ ი.

რაციონალიზმი—ისტორიული სოფლმხედველობის გნო-
სეოლოგიური ქპრპერა ფსიქოლოგიურად დაიშალა; ბერგსონი
ანსებობის ტრაგედიას ხედავს ინტელექტუალიზმში; ნიცეშე ნე-
ბისყოფის წვასა და ორგანიულ-ქიმიურ აორთქლებაში ახრ-
ჩობს ისტორიულ-მეშანურ ცნებებს; გიური აცხადებს, რომ
კაცობრიობის მორალს წუთისოფლად არ ესაჭიროება სანქცია-
la morale sans obligation ni sanction.

იდილიური სოფლმხედველობისა და სულიერი მყუდროების
ტაძარი ირლვევა სოციალ-ისტორიულ რევესტან ერთად და ცი-
ვილიზაციის ქარიშხლიან გაქანებაში ისმის ახალი ხმები, იშლები-
ან ილლიუზიებისა და მარადიული სოფიზმების ახალი მარაოები.

ჩვენც ფსიქოლოგიურად მსოფლიო იდეოლოგიის მეტა-
მორფოზას ვეთანაბრებით და ჩვენი შემოქმედებითი გამჭრია-
ხობის ფარგლებში ერთგვარ ფილოსოფიურ-ესთეტიურ სის-
ტემას ვიძლევთ.

ბითფეისზე და ქასმიზე სრული გამოსახულებაა ჩვენი
ფილოსოფიური სოფლმხედველობის: „სულისა“ და „მატე-
რიის“ შორის დამოკიდებულება ისე, როგორც ეს ფილოსო-
ფიურ სისტემებშია გამოხატული, ჩვენთვის ერთგვარი პარა-
ლოგიზმია და მთელი ეს წიგნი ამ ისტორიულ—მეშანური
პარალოგიზმის უარყოფაა.

სული როგორც მატერიის მუხვადობის დინაშიური
აორთქლება, მატერია როგორც სტატიური სახე კოსმიური სუ-
ლი დინამიური დენისა, მორალი როგორც ის-
ტორიულ-პლანეტარული ყანზოგადება ორგანიულ-ტერიტო-
რიული ჩვეულების, ტროპიზმი და სამყარო როგორც ეს-

თეორიური ფენომენი — აი, ჩვენი სოფლმხედველობის points d'émergence. წინამდებარე წიგნისწორედ ამ თვალსაზრისით არის დაწერილი და ყოველი ჩვენი წერილი როგორც ფილოსოფიური, ისე ესთეტიკურ-კრიტიკული და ისტორიულ — ფსიქოლოგიური, როგორც აქ მოთავსებული, ისე სხვაგანაც, როგორც ქართულად ეურნალ-გაზეთებში, ისე სხვა ენებზე (Справдание и Творчество,) ამ სოფლმხედველობით არეს დათანწყობილი ჩვენთვის რაციონალიზმი აზროვნების ისტორიაში მიზეზია ინკვიზიციებისა, შვიათობისა და ტრაგედიის: ქრისტე, სოკრატე, ჯორდანო ბრუნო ამ გრანდიოზული და სასხველის აეternitalis სოფისტური ტრაგედიის ჰიდი გმირებია, კანტის მორალი, მისი კათეგორიები და სმპერატივები ჰამლეტის ქარიშხლიანი სულის სისტემატიზაციაა.

ირაციონალობა ახასიათებს არსებობის ყოველ წუთს და მოძრაობას; ერთეულობის საჩბიელს. საზღვრავს მრავლობის სტიქიური დაგანწილება და ინდივიდუალობის ბეჭი ირაციონალური ნებისყოფაზეა დამოკიდებული.

შემთხვევათა დაუსრულებელი დენა არის ის, რასაც ჩვენ ვეძახით წუთისოფელს, სამყაროს, ყოვლობას.

არსებობის ცვალებადობა და სტიქიურობის შეგ იძნობა ადამიანში იწვევს ქასმიურ სევდას, რომელიც თავისებურად ახალისებს კაცობრიობის ინტელექტუალურ კულტურას; აღნავებს განცდას და მთლიან პიროვნებას ისევ ეძახის:

Praeter intelligere!

შეიგრძნებას რა ადამიანი თავის ყოფის წარმავალობას, შეიქმნება უფრო გულკეთილი და საფდრო: ორგანიული წვა კასმიურად გაშლის ადამიანის სულსა და რაც უფრო ქალაქური, რაც უფრო ანქოლებული და ათქრიალებული. იქნება წუთისოფლური ყოფა, მით უფრო მძლავრი, ტკბილი და თრგანიყდი გახდება ადამიანში წეურვიდი მარადობისა და მშენების — კოსმიზმი.

ჩვენს ყოველდღიურ ყოფას რომ ჩამოვაშოროთ ისტორიულ-ტრადიციული მორალი და შისი კათეგორიები, კუთ-

ხურ ჩვეულებათა ნაოჭები, ჩვენ რომ ყოველ საღამოს ვგრძნობდეთ, თუ როგორ აჩქარებით, სიზმარეულად, ქურდულად გაიკლიან წლები, როგორ ველურად, შმაგად, ატორტმანებით ჩავიძირებით არარაობრისა და რლვევის უფსკრულში, და მთელი ჩვენი ნერვიული ღელვიდან დაჩჩება მხოლოდ ერთი მუჭალა მტერი, რომელსაც გაანიავებს წუთისოფლის ქარიშხალი, ჩვენ გაცილებით უფრო ბედნიერი და გულკეთილი ვიქნებოდით, უფრო ხშირად აგვიჩუყდებოდა, სიყვარულით გული ამ უთავბოლო და მუდამ მოუწყობელ არსებობაში. მოვლენებიდა საგნები დროული, ღრეული და ხრწნა ყი ფორმებია მარალიულად უცვლელი ცვალებადობის; სური ყოვლობის ნივთიერების შინაგანი რყევის დინამიური აორთქლება; იდეები ორგანიულ ღელვათა თვითმეტრეტი ასხივოსნებაა და არსებობის ყოველი წუთი შემთხვევათა გაურკვეველი და უსაზღვრო დენაა; ჩვენი წუთისოფლური ტანჯვა და ყოფა ბოლოს და ბოლოს მხოლოდ თქმა და ზღაპრია, — ისტორია ლეგენდაა; ერები და ქალაქები, ცივილიზაცია და კულტურა, ორგანიული ფორმები, საუკონების ღრეული და კაცობრიობის განგაში მარადიული ლანდების კოშარული დემონი ტრაციაა, დაუსრულებელი და უთავბოლო კადრილია.

ჭია-ბუჭყებიდან შეიქმნა მე ადამიანის; ჭია-ბუჭყებად დაიშლება იგივე მე და უცვლელ ცვალებადობაში ვერასოდეს ველარგანმეორება მთლიანი იგივეობით. მხოლოდ დაშლილი უჯრედები მარადიულ ხეტიალში ერთმანეთს ველარ შეიცნობენ და ჩვენი მე დაფლეთილი, ჩვენი სული დაღრესილი უსახო ყოვლობაში დაიბნებიან.

ძიება გნოსიური, ძიება ამსოლიუტური. ჭეშმარიტების კაცობრიობის დონკიხოტობის კეთილშობილი სახეა და ცხადყოფს წუთისოფლად ჩვენს გულწრფელ ნაივობას, მაგრამ ყოველგვარი იდეა per se ორგანოტროპიული, ჯგუფური და ტემპერატურულია; სამყაროის ერთს კუჭხეში რაც ჭეშმარიტებაა, მეორე კუთხეში ის სიყალბეა; გოტენტორისათ-

ჭის რაც წმინდა და ლვთაებრივია, ის ჩვენთვის საზიზღარი და
სასაკილოა; რაც დღეს რომელიმე ერისათვის იდეალია, ის
შეიძლება ხვალ სათრეველი და სალალობო გახდეს.

კეშმარიტება ორგანიულ-ფსიქიური ჩვეულების დროული;
წარმავალი, ტემპერამენტული ფორმაა და *stib. specie aeter-*
nitatis ყველაფერი ლეგენდა და სოფიზმია.

ცხოვრების აზრი მოხერხება და თქმა.

საშყაროის დაუსრულებლობაში ლოგიური თვალთახედ-
ვით ნაპოლეონი იგივეა, რაც ტასმანიის ბეღურა, კანტი
იგივეა, რაც ცეოლონის კენგურუ.



ପିଲ୍ଲାରୀ ମନ୍ଦିର

სულისა და მატერიის ისტორიული განმარტება.

საბერძნეთის ფილოსოფოსების წარმოდგენაში სული არ-გვარია; პირველი გვარის სული არის იდეა, დაგონი; მას არა აქვთ ნივთიერი არსებობა, ის არის უსხეულო, მოკლებული გან-ფენილობას, ნასვრეტობას და სხვა მატერიულ თვისებებს. მე-არე გვარის სული—პაერის მსგავსი ორგანიული ნივთიერებაა, რომელიც მიმოფანტულია პაერში—სივრცეში, —აქედან შედის ადამიანის სისხლში, ნერვიულ სისტემაში და აცხრვე-ლებს მთელს ორგანიზმს. პნევმა—მეორე გვარის სული არის ფსიხის—პირველი გვარის სულის სადგური. ფსიხი არის სამ-ნაირი; ნერგოვნებითი ფსიხი, მგრძნობელობითი ფსიხი, რო-მელიც დგას უფრო მაღლა, ვიდრე ნერგოვნებითი; მე-სამე ყველაზე უფრო მაღალი და კეთილშობილი სული; იყო— მეტეველებითი სული.

პნევმაც სამგვარი იყო: პირველი ნივთიერების პნევმა; მეორე ცხოველობის პნევმა; მესამე შეადგენდა ზოგადი ხა-სიათის პნევმას. პირველგვარის პნევმის ადგილი იყო ღვიძლი: მზისეული ქსოვილებით, მეორე გვარის პნევმის ადგილი იყო გული: მესამენაირი პნევმის ადგილი იყო ტვინი ნერვებითურთ.

ფილოსოფოსი არის ტოტელი თავისებურად სარგებლობ-და ამ კლასიფიკირით: იგი ფიქრობდა, რომ ცხოვრების მა-სულდგმულებების ძალა სხვა და სხვა პირობებში სხვა და სხვა სახისა იყო: არის ტოტელის აზრით სამყაროში არის სული-ერობის სხვა და სხვა მდგომარეობა, რადგან სულიერობა შე-მოქმედებითი მუსიკადობაა, სრულყოფისკენ გაშლითი მიმღინ-რეობაა. სულიერობის ადგანებებით მიმღინარეობას არის ტო-

ტელი უწოდებს ენტელექტის: მცენარეულობაში არის მცენარეული სული, ცხოველობაში — ცხოველური, აღამიანში კი უმაღლესი წერტილი ენტელექტის, ყველაზე უფრო სრულყოფილი სახე უნივერსალური სულიერობისა:

ყველგან და ყველაფერში არის ტრფიალება ენტელექტისა: შინერალი, მცენარე, პირუტყვი, აღამიანი შემოქმედებითი წერტილებია, სადაც ისვენებს ენტელექტია, რომლებშიაც ცხადყოფილია სულყოფის სახეები და სახიერებანი.

ჰუმანისტები იმეორებოდენ არისტოტელის სიტყვებს და ამტკრცებდენ: სული ყველაფერშიან.

ჰუმანისტებისა და ანტიურ ფილოსოფოსების სოფლმხედველობაში სული არსებობდა როგორც ერთგვარი თვითმყოფი რაობა (სუბსტანცია): სული იყო ძალა, ენერგია, idée-force, — სული იყო ის, რაც ამოძრავებდა ნივთიერებას. თვითნივთიერება (მატერია) იყო ერთგვარი მასა, რომელსაც არ შეეძლო თავის თავად მოძრაობა, რომლის არსებობა დამოკიდებული იყო სულის არსებობაზე. სული, როგორც ამბობს პლატონი, ერთგვარი დემიურგია, შემოქმედი ცხოვრების სახეებისა და ფორმების. მატერია იყო „დაუსრულებელი“ და „გამოურკვეველი“, „ტლანქი“, „ბნელი“, „მნელი გვარი“, რომელიც ჰქმნის „მესამე დასაწყისს წუთისოფლისას“; რომელიც აზროვნებისთვის წარმოადგენს არარაობას, რომელსაც არა აქვს სახე, რომელიც „ყოველი მიმღებია“, რომელიც არ არის არც მიწა, არც წყალი, არც ჰაერი, არც ორთქლი, არც ცეცხლი. მატერია არის დემინიური ვრცელურობა, რომელშია იქმნება და რომელიც თვითონ ვერ ჰქმნის. მატერია. საჭიროა, როგორც მესამე ბრძოლებლობის განუსაზღვრელი რეალობა — რეალობა ბრძა, მოვლენა ყალბი, რომელიც გვეჩვენება დიდათ, მაგრამ თავისთავად პატარაა, რომლის არსებობა არის ეფექტურობა, არარაობა, რომლის სახე მუდამ გარდის და მუდამ სტყუის: ეგრე ახასიათებს პლატონი მატერიას თავის „თომეა“-ში. ნეოპლატონისტმა პლოტინმა თავის მეორე „ენე-

ადი“—ს მეოთხე წიგნში და მესამე „ენეალი“—ს მეექვსე წიგნში მოგვცა თითქმის უფრო მკაცრი, უფრო ულმობელი და ხასიათება მატერიას არ არის ორული, იგი მარტივია და „ერთეული ტლანქად მიმდინარე“, მას სხეული და რაოდენობა არა აქვს; მას არა აქვს ფორმა და ზომა: იგი მხოლოდ „ზომის ვრცელობას იძლევა“, უცხო ძალა ჰქმნის სახეს, ფორმას და რაოდენობას მატერიაში; მატერია არის მხოლოდ „ილლიუზია განვენილობისა“.


არისტოტელის აზრით, თუმცა მატერიას არა აქვს არავითარი დადებითი თვისება, მაგრამ აქვს „ნიჭიერება“ ყოვნისა და არ ყოფნის. მატერია მეტაფიზიკური ორმაგობაა და უარყოფს აზროვნების ლოგიურობას.

სულ სხვანაირად უყურებენ მატერიას თვით მატერიალისტები:

3952

მატერიალიზმის წარმომადგენლები დემოკრიტი, ეპიკური, ლევკიპი, ლუკრეციუსი კარა მატერიას სხნიან, როგორც ერთგვარ ყოვლობას, ერთგვარ აბსოლუტობას; მხოლოდ მატერია ნაწილდება, იმუხვება: ნაწილდები ერთმანეთს შორდებიან და ისევ ერთდებიან; მოძრაობა ნაწილდების არის. თვით ცხოვრება. ყოველი მატერიის ნაწილი ანუ ატომი ლებულობს მონაწილეობას. მოძრაობაში.

არაფერი წუთისოფლად არ იკარგება; ხრწნადი საგნების ატომები ერთმანეთს შორდებიან, მაგრამ არსებობას მაინც განაგრძობენ. არსებობენ თუ არა ატომები? ამის საყურადღებო პასუხს, საქმაოდ დასაბუთებულს ჩვენ ვხედავთ ლუკრეციუს კარის ჰოემა „De rerum natura“—ში: „ატომი ისე ჰატარაა, რომ ადამიანი მას ვერ ხედავს: გარეგან გრძნობათა ორგანოების საშუალებოთ ადამიანს არ შეუძლიან შეიცნაუროს და შეიგნოს ატომის არსებობა და ოდენობა; მაგრამ, რომ ატომი არსებობს, ამას ჩვენ გვიმოწმებენ სხვა და სხვა მაგალითები: ტანისამოსი, რომელიც გადაკიდებულია წყლის პირად, სოლუტება; როდესაც ტანისამოსი მზეზეა, ატომებს ეშინიათ და გარბიან. ამნაირად სიმშრალე და სისველე, ისე როგორც ყველაფერი დამოკიდებულია მოძ-



რაობაზე. ბეჭედი, რომელსაც ჩვენ რამოდენიმე წელიწადი ვატარებთ, წვრილდება: მას შორდებიან ნაწილები; რომელთა დანახვა ჩვენ არ შეგვიძლიან, მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ კი ვხედავთ, რომ ნაწილი შემაღენლობისა ბეჭედს დაკურგია და დღეს ის აღარ არის, რაც იყო.

ლუკრეციუსი კარა გველაპარაკება თავის პოემის მეორენაზი წილში ატომთა მოძრაობაზე და თვისებებზე; ატომები არიან განუწყვეტილ მოძრაობაში; ატომთა მოძრაობა არის შეუჩერებელი და დამათრება დაუსრულებელ უსაზღვროებაში, დალმათრევითი მოძრაობა ანუ პარვანდელი პარალელურია და სწორი, მხოლოდ შემდეგ სხვა და სხვა ატომთა და სხვა და სხვა ვარემცველობის გამო, მოძრაობათა პარალელები იშლებიან და იწყება არევ-დარევითი განგაში. რომ აისნება რომ ატომთა განგაშია და მოძრაობას ჩვენ ვერ ვხედავთ და საგნებს, რომელთა შემაღენლობა (ატომები) მოძრაობაშია; აქვთ წყნარი სახეები? — ამის პასუხად ლუკრეციუსი კარა იძლევა სურათს: წარმოვიდგინოთ, ამბობს იგი, შორს ჩვენგან თამაშობს ჯოგი; ცხვრები დახტიან ხან იქით, ხან აქით, მაგრამ მათი თამაშია და მოძრაობას ჩვენ ვერ ვხედავთ, რადგან შორს ვართ. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მაღლობს, რომელიც ჯოგის ფერად მოხსნს.

ატომები არიან სხვა და სხვა ფორმის: ზოგი მრკვალია, ზოგი წვეტიანი, ზოგი წყლუტი. დასავლეთ ევროპის ფილოსოფიაში ატომიზმს საპატიო ადგილი უკავია: არა მარტო მატერიალისტებს, თვით დეკარტსაც ჯეროდა ატომის არსებობა დეკარტი ჰფიქრობდა, რომ ატომს აქვს განცენილობა და ატომთა შორის ხედავდა მხოლოდ გარემონდობითი განსხვავებას. დეკარტის სიტყვით ატომი უზუაოა. მას არ, აქვს არც წონა; არც მას; წონას ატომი ღებულობს მხოლოდ მოძრაობაში. ნიუტონს არა მარტო ატომთა არსებობა ჯეროდა, არამედ ატომთა შორის ექებდა მსოფლიო მიმზიდველობის კანონის მიზეზს; აკოვარდო ატომებს ეძახის. ელემენტარულ

მოლეკულებს (molecules élémentaires); იგი შეეცალა და ემტკიცებია ატომების არსებობა journalé de Prysique-მი: Essai d'une manière de déterminer les masses relatives des molecules élémentaires des corps et des proportions selon lesquelles elles entrent dans les combinaisons.

ინგლისელმა ფიზიკოსმა Prout-მა 1815 წ.-და სამი წლის შემდეგ — 1818 წ. გერმანელმა მეცნიერმა Meinecke-მ წარმოადგინეს თავისებურად დასაბუთებული პიპოტეზია მატერიისა და ატომების თვითმყოფ რაობაზე. პროცესი და მეინკემ ერთგვარად გააღრმავეს თალეს მიღეთელის კოსმოლოგია: აიღეს წყალბადი მატერიის თვითმყოფ რაობად. პირველყოფილი „ქაოსი“ მათი აზრით სავსე იყო მხოლოდ წყალბადის ატომებით: წყალბადის ატომთა მილიარდები ინდრეოდენ და ირყეოდენ დაუსრულებლად; უთვალავ წელთა განმავლობაში გრძელდებოდა დაშეხვდა და განწვალება, რაც უფრო ცივდებოდა წყალბადიული მასა, მით უფრო იხეთქებოდა და ნაწილდებოდა.

ნაწილები უერთდებოდენ ერთმანეთს არევ-დარევით და უთავბოლოთ: თანდათან რთულდებოდა ქიმიური შემადგენლობა პირველყოფილი მატერიისა.

რთული ნივთიერება უერთდებოდა რთულს და ბუნებრივი რეაქტივებით იქმნებოდა მჟღაფული, ორგანიული ნივთიერება. ორგანიულ ნივთიერებაში ეწყობოდა თავისთავად, ბუნებრივად თრგანისაცია — ნერვიული სისტემა, რომლის ნაწილები უთვალავ წელთა განმავლობაში ერთმანეთს შეჩვეულნი ჰქმნიდენ ერთეულ, განუკვეთელ ხმაშეწერილების — იმ ხმაშეწყობილებას, რომელსაც აქვს მარადიულად შემთქმედებითი ხასიათი, რომელიც წარმოადგენს ყოვლობის ჟრატიოლებას, ენერგიას, ძალას, სულს.

ბოლო ტროს ატომის შედგენილობაც შეისწავლეს: ამ-ტკიცებენ, ატომი ელექტრიული იონებიდან შედგება და არ არსებობს მატერია, რომელსაც არ ჰქონდეს ელვიური ძალა.

სული და შემეცნება როგორც ორგანიული ჩვეულება.

ყოვლობის ენერგია—უნივერსალობის სულიერ მოვლენათა მრავლობაში გამოიხატება. სულიერი მოვლენები კი ჩნდებიან ორგანიულ—ნერვიულ სითხეში, რომელიც ბოლოს და ბოლოს შესდგება - იმ მინერალებიდან, რომელ-ნიც ბუყბუყობენ მინერალურ წყლების აუზებში, რო-მელთა აორთქლება ზრდის და ამაგრებს მცენარეულობას, რომელებით საზრდოობს ძლიერი ნებისყოფა ცხოველებისა და ადამიანების.

საზოგადოთ ცხოველებისა და ადამიანების ნერვების გა-ლიზიანება იწვევს ამ მინერალების არაჩვეულებრივად აჩქარებულ მოძრაობას. მოძრაობაში შატუჭალას ნერვიული ქნერგია: რაც უფრო ძლიერია გალიზიანება, მით უფრო დიდია ნერვიული ენერგიის დენა, მით უფრო ძლიდარია სული ადამიანი-სა ყოვლობის შეგრძნობებით და ემოციებით.

სული თავის შეგრძნობებით და ემოციებით, თავის სხი-ვოსანი-იდეებით და შეცნაურებებით ორგანიული მოძრაობის ქიმიური სახეცვლილების შედევია: ქიმიური ელემენტების შე-მოქმედებითი ატალება იძლევა სულიერობას ისე, როგორც აჩ-ქარებული მოძრაობა იძლევა სითბოსა და ცეცხლს.

მთელი უონება შემეცნების პროცესის მხოლოდ ჩვეულებით განცენებული სფეროა. სულიერობის და ემორჩილება ორგა-ნიულ-ნერვიულ ელემენტების სახეცვლილებას ისე, როგორც კონკრეტული სახეები ფიზიოლოგიურია და ბიოლოგიური ცხოვრებისა. ჩვენი საჭმელების ქიმიურ ელემენტებს ისეთივე გავლენა აქვს ჩვენს შემეცნებაზე, როგორც ჩვენს კუნთებზე:

იდეა ისე ისახება ბიორგანიულად ოოგორც შეგრძნობა, იდეას ისე ესაჭიროება თვითმწვრეტი გასხივთსნებისათვის ჩვენი მუსკულების ქიმიური შემადგენლობა, ოოგორც ფიზიოლოგიურ გალიზიანებას; ოოდესაც ჩვენ ჩქარად მივდივართ ან ავდივართ მთაზე თუნდაც ნელ-ნელა, ვამჩნევთ ოომ, ოც უფრო და უფრო გვეჭიმება მუსკულები ფეხებისა და მკლავების, მით უფრო და უფრო გვეძნელება განყენებულად აზროვნება და ფიქრი ტრანსცენდენტალობის სფეროში, ელემენტარული სახეები შემეცნებისა ამ დროს ჩვენ გვაქვს; გვაქვს წარმოდგენები, ფიზიოლოგიური შეგრძნობები, მაგრამ გვეძნგლება ასოციაციებზე ფიქრი და მეტაფიზიკურად მსჯელობა. ორგანიული ენერგია არაჩვეულებრივ მოძრაობაში ზედმეტი გვეხარჯება და სულიერობის სფეროში ვერ შედის ჩვენი ნერვების ქიმიური ელემენტების შემოქმედებითი პრალ-ლება.

მთელი ჩვენი შემეცნების პროცესი თრგანიულია ჯიშისაა.



ფსიქომატერიალიზმი და ორგანოტროპიზმი

საჭმლის მიღების შემდეგ თითქმის მთელი საათის განმავლობაში ჩვენ მეტად გვექნელება განყენებულად. ფიქტი, მეტაფიზიკურ თხზულების წაკითხვა და სხვა... ახალგაზდობისა და ტანსალობის დროს ჩვენ ვერ გამჩნევთ ამ სახის ორგანიულ მოქანულობას, მაგრამ დაახლოვებით აც და ათი წლის შემდეგ ჩვენ თითქმის ყოველთვის სადილის შემდეგ ვგრძნობთ არომ ჩვენი ორგანიზმი/ვერ ასრულებს ფიზიოლოგიურ მოვალეობასთან ერთად მეორე მოვალეობას ინტელექტუალურ სახისას. თუ ჩვენ თავს ძალის დავატანთ ამ დროს და მარნც დავიწყებთ გონებით მუშაობას, ჩვენ მაშინათვე გვიჩარება ძროლი, ვგრძნობთ თავის ტკიფილსა და ნერვების მოდუნებას. მაშასადამე, იდეის განსახულება თხოულობს ორგანიულსა და თერმიულ, ენერგიის დახარჯვას, ნერვების წვას და დრესვის. შემეცნების ფსიხიური condicio იქმნება იმ მასალებიდან რა მცსალებიდან შესდგება ორგანიულად ჩვენი ნერვიული სისტემა. იდეა არ არის ზებუნებრივი და ზემატერიული მოვლენა: იგი ნერვიული ნივთიერების წვის გასხივოსნებაა, ბიოორგანიულად იდეა ჩვენში ისე მზადდება, ისე იქმნება, როგორც ელვა ჰაერში, როგორც ცეცხლის ალი კაჟისა და ფოლადის შორის, როგორც მინერალური ელემენტების სხივოსანი ბუნებული მინერალურ ზოლებში.

სპეციალური ორგანოები: მხედველობის, გემოგნების, ყნოსვის, სმენის, შეხების ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, ვერ შემუშვევთ და ვერ გააქვთ ცხოვნების სახეები, თუ ორგანიზმი, ვერ კამს და ვერ სვამს წესიერად. მოხუცებულო-

ბის დროს სული ვერ იჩენს იმდენი აქტივობას, რამდენს ჩვენ ვხედავთ ახალგაზღობის დროს: შეგრძნობები, იდეები, იდეალები, ეფექტები — მთელი სულიერი აქტივობა მოდუნებულია ისე, როგორც მოდუნებულია თვით ორგანიზმი, რომელშიაც ხდება შემეცნება.

მოძრაობაში ისახება თვით შეგნება: შემეცნება იმდენად შინაარსიანია, რამდენად დიდია და ძლიერი ორგანიული გალიზიანება.. შემეცნება ატლეტურ ტანსალობაში კი არ ღრმავდება, არამედ ამ ტანსალობის გალიზიანების დაშლაში:

ონანისტები, მორფისტები და ერთოტიულად აღზნებული ადამიანები სულიერად მდიდრები არიან, მათ ვადვილებათ მგოსნობა, ორატორობა, მეტაფიზიკურად აზროვნება მანამდი; სანამდი არგანიული გალიზიანებებს აქვთ აქტიური ხასიათი, სანამდი ნერვიული. სისტემა იტანს შემოქმედებითი ტალღების მატერიალურ წვასა და მინერალების ოპროცესებას. მთელი სულიერობა იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მას ვხედავთ შემოქმედებითი ევოლუციის დღევანდელ პირობებში, ორგანიული შეჩვევისა და შეგრძნობის შედეგია. ფილოსოფიური ფსიხოლოგია ამტკიცებს ამას მაგალიონებით, რომელთა შორის სავსებით ირკვევა მატერიის გავლენა სულზე და სულის გავლენა მატერიაზე: ირკვევა ის, თუ როგორ ინახება სტატიურად, ფიზიოლოგიურ-მატერიულ სფეროში ორგანიული განცდისა, და ნერვიული მღელვარების ყოველი სახე, თუ როგორ იქმნება თანდათანობით სულიერობის სფეროში განსახეობა თვითმჭვრეტი მატერიისა.

პროფ. პავლოვს უნდოდა თურმეკუჭის საჭმლის მომნელებელი სითხის გამოკვლევა, ამისათვის რუსი შეცნიერი უჭრიდა მუცელს ძალას იმნაირად, რომ გარედან შესაძლებელი ყოფილიყო დანახვა კუჭის საჭმლის მომნელებელი. სითხის დენისა:

კუჭის გალიზიანება გარედან რომელიმე ნივთიერებით ან ხიცინით იწვევდა კუჭში საჭმლის მომნელებელი სითხეს. ამ ფიზიოლოგიურ აქტიდან პავლოვი ვადავიდა ფსიქიურზე: იგი

მხოლოდ აჩვენებდა საჭმელს ძალას. ფიზიოლოგიურ ქიმიიდან როგორც ვიცით, ყოველ საჭმელს ესაჭიროება კუპში განსაკუთრებული შემადგენლობის სითხე: ქონი, ცილი, კრახმალი, სიმჟავენი და სხვა ნივთიერებანი. პავლოვის ცდებში აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როდესაც ძალას საჭმელს აჩვენებენ, ძალლის შემეცნება ტვინიდან განკარგულებას იძლევა კუპში ამ და ამ შემადგენლობის სითხე მოამზადოს. შეცნაურება მხედველობით აპარატიდან მიღის ტვინში; ტვინი იძლევა განკარგულებას შესაფერი სითხის მოსამზადებლათ. შემეცნების ორგანიული სახე აქ საუცხოვოდ მტკიცდება: ორგანიზმში შენახულა მეხსიერება იმის, რომ ამ და ამ საჭმლის მომნელებელი სითხეში უნდა შედიოდეს ეს და ეს ნივთიერებათ,—და განკარგულებას ორგანიული ჩვეულების შემეცნებისას კუპი ასრულებს იდეალურად: მაშინათვე ჰქმნის და იძლევა იმ სითხეს, რომელიც ნაჩვენები საჭმლისათვის აუცილებელია.

ჰელ-გოლცი შემდევნაირად იქცეოდა: იღებდა ფანქარს ჰერპენდიკულიარულად და რამოდენიმე წუთი უყურებდა. შემდეგ აიღებდა სამკუთხიან პრიზმას და იყურებოდა ფანქრი-საკენ ამ პრიზმიდან: როგორც ვიცით, ეგეონი პრიზმას თვისება აქვს გვიჩვენოს საგანი არა იქ, სადაც არას, არამედ სხვაგან, რადგან სინათლის სხივებს განზე ისვრის. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს მეცნიერი პრიზმას გადადებდა და თვალებდა ხუკული მარჯვენა ხელით ეძებდა ფანქარს. თურმე ხელი ეძებდა ფანქარს არა იქ, სადაც პრიზმიდან მას ეჩვენებოდა, არამედ იქ, სადაც მანამდი ფანქარი იყო, მხოლოდ რამოდენიმე ცდის შემდეგ ხელი ეძებდა ფანქარს იქ, სადაც პრიზმიდან თვალი. იყურებოდა ცდების დროს.

მაგრამ, მეცნიერი ისევ უბრუნდებოდა პირვანდელ მდგრადიობას: ჯერ უყურებდა ფანქარს უპრიზმოთ რამოდენიმე წუთი, შემდეგ ხუჭავდა თვალებს და ხელით ეძებდა ფანქარს: შეჩვეული პრიზმიდან დანახვას, ხელი ეძებდა ფანქარს სწორედ იქ, სადაც უნდა ყოფილიყო პრიზმიდან რომ ეყურებიათ,

შემეცნების პროცესი ორგანო-ტროპიულია: ასოციაცია მხოლოდ ჩვეულებათა შეგრძნობაში იქმნება თანდათანობით.

მეო,— ამბობს ვუნდი, — შევაჩვიე ჩემი ძალი სიტყვა „,ჰოპის“ წარმოთქმის ღროს ჯოხზე გადახტუნვასო. როდესაც, ერთხელ, ბრძანება მივეცი „,ჰოპით“, მაგრამ უჯოხოთ, ძალმა გაკვირვებული შემომხედა, მხოლოდ როდესაც ბრძანება განმეორებული იყო, ძალმა დაიწყო ყეფა და წუხალი. ბოლოს, როდესაც რამოდენიმე ჯერ მოვითხოვე და განვიმეორე „,ჰოპ“, ძალმა ძალა დაატანა თავის თავს და იხტუნა ჰაერში, თან ხმა მაღლა წამოიყეფა, თითქო უკმაყოფილო იყო ჩემი მეტად არაჩვეულებრივი და უსაფუძვლო ბრძანებით. რამოდენიმე დღის შემდეგ ძალი სრულებით შეეჩვია ჩემს მოთხოვნილების და სიტყვა „,ჰოპზე“, უჯოხოთ თავისუფლათ ხტუნავდა ჰაერში. ასოციაცია ჯოხის სახისა და ბეგრა „,ჰოპ“ ძალმა შეითვისა, როგორც ორგანიული პროცესი და როდესაც ძალს უჯოხოთ მოთხოვეს ხტუნვა, ძალი გაკვირვებას გამოთქვამდა ორგანიული ღელვით:

თითქო ორგანიულად იშლებოდა ძალის პირვენება, ძალის სოფლმხედველობა, როდესაც ბრძანება არ შეეფერებოდა შეგრძნობილი სანამდვილეს: ძალი წუხდა, ყეფას იწყებდა. მთელი ჩვენი შემეცნების პროცესი თავისი ასოციაციებით და მორალით ბოლოს და ბოლოს წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით მხოლოდ ერავარი რთული სახეა იმ მეტად კონკრეტული მაგალითის, რომელიც ისახება ჯოხისა, ძალის და „,ჰოპის“ შორის.

ჩვენ შევეჩვიეთ ცხოვრების ღნთოლოგიური სახეცვლილების თანდათანობას და როდესაც ცხოვრება დრო გამოშვებით არღვევს მიმდინარეობის წესრიგს ან ისტორიულად, ან ბიოლოგიურად, ჩვენი სულიერი პიეტიზმი ირღვევა: „,ტრაგედიას“ ვეძახით ამ მომენტს და მეტად მწვავედ ვგრძნობთ ცხოვრების ეგრეთი „,უკულმართობას“: მიწის ძრა, პლანეტების არევ-დარევით მოძრაობა, სხვა და სხვა ღროს ხალხთა

გადასახლება და ისტორიულ სოციალური რევოლუციები—
თქმა არ უნდა, ბოლოს და ბოლოს ყველ-ფერი ეს ისეთივე
მეტაფიზიკური სულმოკლეობაა ისეთივე „ტრაგედია“ ორ-
გორც იმ ძალის სულიერი განცდა და ორგანიული მღელ-
ვარება, რომელმაც „ჰოპის“ დროს ჯოხი ვერ დაინახა და
ფიქრობდა: ვის გაუგონია „ჰოპი“ უჯოხოთა: ასოციაციები
ორგანიულ-პიოლოგიური შემოქმედებაა.

ნერვიული სისტემა შემოქმედი პარატი და სხვა და
სხვა ნაწილები ამ სისტემის ასრულებენ მხოლოდ იმ დანიშ-
ნულებებს, რომლებიც მათ ევალებათ. გარეგან. გრძნობათა
ორგანოები არიან თავისებური ფანჯრები, რომლებით ნერ-
ვიული სისტემა უკავშირდება მსოფლიოს ყოფას, წუთისო-
ფელს. მხედველობის, შეხებისა, ყნოსვისა, გემოვნებისა და
სმენის ორგანოები, როგორც მოხელეები, ემსახურებიან
ნერვიულ სისტემას: მიაქვთ ცენტრებში მიმღეობის სახეები,
შეგრძნობები და მოაქვთ ცენტრებიდან პერიფერიების გადა-
საცემათ ამბები და განკარგულებები. ორგანიზმი მთელი სა-
ხელმწიფოა, რომლის ფუნქციები განაწილებულია მოხელეობის
შორის და რომლის არსებობის დამოკიდებულია იმაზე, თუ
რამდენად კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას მოხე-
ლები; თუ რომელიმე ფუნქცია არ სრულდება როგორც სა-
ჭიროა, სახელმწიფო ინგრევა, რაყევა, ავადმყოფდება; ბო-
ლოს ავადმყოფი ბა იპყრობს მთელს სახელმწიფოს და სახელ-
მწიფო იშლება. მოვლენისა და საგნის რაობა არის ჩვენი
ორგანიულ ჩვეულებათა რაობა, ჩვენი ნერვიული მიმღეობის
ფენომენიური რაობა, მართალია სოფისტი: ადამიანი არის
სახომი წუთისოფლის; მატერიისა და მოძრაობის რაობა
მხოლოდ და მხოლოდ ფენომენიურია, მაგრამ რაკი შემეც-
ნების პროცესში ჩვენ გვაქვს საქმე არა საგნის რაობასთან,
არამედ საგნის მიმღეობის რაობასთან, ჩვენ შეგვიძლიან
ვსთქვათ, რომ საგანა არ არსებობს ჩვენს გარეშე უჩვენოთ:
მიმღეობა არის განცდა და არა ჭვრეტა, განცდა არის წვა

და წვის პოცესში იქმნება მიმღების რეალობა.. საგანი
ორმაგ ყოფაშია: ამაში კანტი მართალია, მაგრამ მიმღების
პოცესში საგანი არის მხოლოდ ფენომენი განცდისა და ფე-
ნომენის რეალობა არის განცდის რეალობა; კვრეტა არის
ნერვიული დრესვის სხივისებური ენერგია. ყოველივე შემეც-
ნება ორგანიული შემოქმედება და არ აჩვებობს არავითარი
განსაკუთრებული აპარატი შემეცნების. ტვინი ასტულებს ტე-
ლეფონის როლს, მას ევალება მხოლოდ იმის გადაცემა, რაც
უკვე მზად არის, ტვინის ხვეულები იგივეა, რაც ტელეფო-
ნის მავაულები; რომელთაც აქვთ დამოკიდებულება, ძარღვე-
ბისა და უჯრედების ჩასვრეტებთან.



ორგანოტროპიზმი და კოსმიზმი:

მოვლენებისა და საგნების სახეები წუთისოფლად ყოველგან იქმნება საერთო ცხოვრების პირობების მიხედვით — გეოგრაფიულისა და გეოლოგიური შესაძლებლობის ფარგლებში: შემოქმედებითი ეკოლოგიურია აყალიბებდა არსებობის ფორმებს იმ მასალებით, რომლებიც ადგილობრივად მოიპოვებოდენ და იყვნენ შეგუებულნი ქიმიო-ტროპიულად ტერიტორიულ მდგარებობასთან.

ორგანიული და არაორგანიული ბუნება, მცენარეულობა, პირუტყვი, ადამიანი, ქვეყნები და პლანეტები ყველა-ფერი თავისებური სახეა შემოქმედებითი ენტერექტის შესაძლებლობისა, ყველაფერს აზის ბეჭედი პირობების, შესაძლებლობისა და ტერიტორიისა. საკვირველია გარეგან გრძნობაა ორგანოების მოკვეთილობა: იქ, სადაც პარაზი იყო მსუბუქი და შესუნთქა იყო საჭირო დიდი, ადამიანს შეექმნა დიდი ცხვირი და გაშლილი პირი. იქ, სადაც პარაზი იყო მძიმე და შესუნთქვა პატარა იყო საჭირო, ცხვირიც შედარებით პატარაა და პირიც. არსებობის ზოგადი, კოსმიური პირობები ერთნაირი კალაპოტია ყოველ ორგანიზმისათვის, როგორც მცენარისათვის ისე ცხოველისათვის. ორგანიული ატენილობის ფორმა ყოველგან ტროპიულია და ყოველი ტროპიზმი ტერიტორიულია. სიცოცხლის ფენომენის სახე-ცვლილება უაღრესად ემორჩილება ეკოლუციის: და არის ყოველთვის შედეგი გარშემო წრის ფიზიურ თვისებების, იქნება ეს დარვინის არსებობისათვის ბრძოლის კანონზე აშენებული თუ შემთხვევათ დაზგაზე აკვეთილი — სულ ერთია. ყოველი არსის სასიცოცხლო ფუნქციები მოძრაობენ ტერ-

მოტროპიულად და ქიმიოტროპიულად: ნიღოსის კროკოდილს არ შეუძლიან ცხოვრება ჩრდილოეთის ოკეანეში და ჩრდილოეთის ეგრევ წოდებულ ოთრს დათვს არ შეუძლიან ცხოვრება აფრიკის უდაბნოში: შეეგუბას და შეჩვევას აქვს თავის ენერგია, რომელიც საზრდოობს ორგანიზმისა, და გარშემო წრის შორის ქიმიურ-ტერმიულ დამოკიდებულებით; საუკუნეთა განმავლობაში ეს დამოკიდებულება ხდება ორგანიზმი: კანის ნასვრეტებით და ქარღვებით შემოდის ორგანიზმში ქიმიური ნივთიერება, ორგანიზმი უცლება არა საჭირო ელექტრიცებიდან და ამნაირად იქმნება ინდივიდუალური სახე ტერმორობიული ტროპიზმით, ორგანიული შეეგრძნობით.

არსი ნელ-ნელა ითვისებს ორგანიულად ქიმიურ-ტერმიულ შემადგენლობას ცხოვრებისას და ხდება ცხოვრების შემოქმედებითი ინდივიდუალიზაცია: სითბო, სინათლე, ელექტრონი, ჰაერის მოძრაობა — ყველანი ერთად და სათითაოდ ჰქმნიან ნერვიული ატენილობის თავის ებურობას; ბევრი სხვა ნივთიერებათა ფუსფუსი და მოძრაობაც ღებულობს მონაწილეობას ამ თავისებურობის შექმნაში და: ბოლოს და ბოლოს ყოველი ორგანიული ქმნილება, მცენარე იქნება, ის თუ ცხოველი, რაგინდ შარტივი იყოს მისი სხეული, არის მეტად რთული ბიოლოგიური ინდივიდუალიზაცია ცხოვრების ელემენტებისა და ყოველი მის მოძრაობაში იკუმშება არა ერთი მილიონი წარსულის სახეებისა და ფორმების, არა ერთი წვა, არა ერთი ცახცახი პირველყოფილ ძალთა.

ნერვიული სისტემა არის ერთნაირი აპარატი ორგანიული ატენილობის სტიქიურ მოძრაობის; აპარატი ეს შეიქმნა პირველყოფილ ნივთიერებათა განწვალებაში სტიქიურად: აწავითანი მიზანშეწონილება, გონივრულობა ამ შემოქმედებაში არ ყოფილა, გარდა შესაძლებლობისა. აპარატმა მიიღო მხოლოდ ის სახე, რომელიც შესაძლებელი იყო მიეღო მას განსაზღვრულ ქიმიურ-ტერმიულ პირობებში. იმ საჭიროების მიხედვით, რომელიც თავისთავად იქმნებოდა უთავბოლო, და სტიქიური ყოველობის ორგანიულ ტენილობაში.

ძარღვები ცოცხალ ორგანიზმში იგივეა, ოც მდინარეები ბუნებაში: თუ ძარღვა ქსოვილი მკიდროა და სისხლით მდიდარია, ორგანიზმი ძლიერია და შემოქმედება მისი დიდია. თუ ძარღვებში არ არის ბლომად დაგროვილი ბიოლისტიკური სისხე პირველყოფილ წიგთიერებათა, ორგანიზმი ისე ღარიბია იდეალებით და გრძნობებით, ოოგორუ საპარა მცენარეებით და მწვანეულობით.

წუთისოფელი წიგთიერებათა წვაა და აშ ღვთ, ებრივი წვის შედევრი უნივერსალობის იდეოლოგიური ჟასხივოსნება.

გოეთის სული „ფაუსტ“-ში ამბობს: ცხოვრების ტალ-ლებში, მოქმედებათა ჭარიშხალში მე ამოვდივარ, მე ჩავდივარ.

ყოვლობის ენტელექტია მთლად გამოიხატება აშ სიტყვებ-ში: სული-სულიერი მღელვარება ამოლის და ჩადის ბრძოლის ცეცხლით და ორთქლით ცხოვრების ნაპრალებსა და უფსკრულებში: ორგანიული ცხოვრება იწვის, იმუხვება; სისხლის ბურთულები ბუყბუყობენ და ღნებიან; ნერვიული ქსოვილი განცდათა ტალ-ლებში მძიმდება და ნერვოვნებითი ინ-სტიქტი იცრიცება: ამოლიან თვითმკვრეტი სხივები თორგა-ნიულ უფსკრულიდან და ეფინებიან მთელს ინდივიდუალობის; იწყება გასხივოსნება, განათბა, გამჭვირვალება, ტყუილად-კი არ არის, რომ ხელოვანებმა მოისურვეს. წმინდანებისა და წინასწარმეტყველების სურათების თავების გარშემო შარავან-დედების გაკეთება: თითქო ეს თავისებური სიმბოლოა ორგანიული გასხივოსნებისა და სპირიტუალიზაციის.

ბიოლოგი და ბუნების მეტყველი საბატიკ ამბობს: ვინ იცის, როდესაც კაჟი ფოლადს ეკარება წა მათ. შორის ცეცხლის ალი ჩნდება, შეიძლება ეს „არა-ორგანიული“ ბუნების თავისებური მგრძნობელობის ენა იყოსო.

დიდი ფსიქოლოგები და პოეტები ამბობენ.—ბუნებასაც აქვს თავის ენა, თავის წუხილი, თავის სევდა, ოცნება, გრძნობა და იდეალებით. იბსენი და ჩვენი ბჩენი ვაჟა ფშაველა

ელაპარაკებიან მუნებას, კლდეებს და მდინარეებს. პერ გუნტი ლაღად გატარებულ ცხოვრების შემდეგ უკვე ღრმ დ. მოხუცებული ბრუნდება სახლში, და ოოდესაც მოხუცი ცეცხლისაგან გადამწვარი ტყიდა სახლისკენ მიეშურება, მას მოექმის უცნაური ხმა, რომელიც წააგავს ბავშის ქვითინს: ეს ბუნების ქვითინია, ეს ყოვლობის წვაა უცრემლებული: იგი ჰვლოვობს ფალუპულ სიკოცხლეს პერ გუნტისას, ამტკიცუნებს ჭალარა მგზავრს, რომ მან ამაოდ ჩატარა თავის ცაოვრება. ნისლები მიმოდიან მის ფეხთა ქვეშ და იღუმალად ებუტბუნებიან მას:

„ჩვენ აზრი ვართ, რომელნიც შენ ბოლომდის ვერ განსჭრიტე“, ქარისაგან დაფორიაქებულია, გამხმარი ფოთლები ჩურჩულობენ; „ჩვენ სიშლერანი ვართ რომელნიც შენ არ იძლერე“. ნამის ცვარნი ხის ტოტებიდან ცვივიან და ჩუმად ქვითინებენ; „ჩვენ საქმენი ვართ, რომელნიც შენ ვერ შეასრულე“.

აზრები, სიმღერები, ცრემლები, საქმეები—ყველაფერი ბუნებაში არის. ვაუა-ფშაველას გმირს—მინდიასაც კარგად ესმის ბუჩქებისა, ბორცვ-კორდებისა, ბალახების და მცენარეების წუხილი და სევდა, განსაკუთრებით მას. შემდეგ, რაც მან ტაჯვით გარდაქმნა თავის მე, შეჭამა გველის ხორცი—ცხოვრების სიმწარე და თავის ორგანიულ-ნერვიულ სიმჭვირვალეში შეიგრძნო მარადისობისადმი ლვოაებრივი სიყვარული. შართალია მეტნები საბატიე: სულიერობას აქვს ადგილი მინერალებსა და მცენარეებში; ელექტრონი, მაგნიტი, რაღი ელემენტებია უნივერსალური სულიერობის. მთელი სამყარო ასულდგმულებულია და ბუნება თავის ენტელექტით და გრაა დაციებით მხოლოდ აუერადებული სულიერობაა: ტლანქი, ხორციანი და წყლუტი მატერია ქვის ნატეხი იქნება შარა-გზაზე თუ ფილოსოფისის საფეთქელში მიმოქცევადი სისხლის. ბურთული—სულერთია —არ არის მოკლებული სულიერობას. ამბობენ: მთვარე მოქმედებს დედა მიწაზეო, მაგალიდად

იზიდავს ოკეანების წყლებს და იწვევს მათი ამოწევას და უკუქცევასო. რა ხდება ამ დროს? როგორ მოქმედობს მთვა-
რე ჩვენს პლანეტაზე? რა ძალა აქვს მთვარეს ისეთი, რომ
სივრცის დაუსრულებლობაში გადაღის ჩვენთვის წარმოსად-
გონ საზღვარს და იზიდავს ოკეანების წყლებს? ფიზიკა ამ-
ბობს: მოძრაობა წყალთა მასის, რომელსაც ჩვენ ვეძახით
ოკეანების ამოწევას და უკუქცევას, პერიოდიულად ხდება და
შედრის ცვლილებას იმ მდგომარეობისა, რომელშიაც არის
დროგამოშვებით მთვარე დედა-მიწის მიმართო.

ეს ლიომონოსოვის სტილით გამოთქმული დებულება ფიზი-
კოსების, ჩვენი აზრით, არათრით არ განსხვავდება იმ სადა
რელიგიურ-მისტიურ წარმოლგენისაგან, რომელიც აქვს თუნ-
დაც სამეცნიეროს მივარ უნილ კუთხეში რომელიმე სოფლის
დედაკაცს, როდესაც მას მთვარის მიბრუნების დროს ბავში
ავად გაუხდება და იყი, სრულებით დარწმუნებული იმაში,
რომ ეს მთვარის ბრძლია, ამბობს: ბავშს მთვარეული დაემართო.

როგორც სამეცნიეროს სოფლის დედაკაცმა არ იცის.
როგორ მოქმედებს მთვარე მობრუნების დროს ბავშის ნერ-
ვულ სისტემაზე და ხდის ბავშს ავად, არც ფლამარიონმა
იცის როგორ იზიდავს მთვარე შორიდან დაუსრულებელ ოკეა-
ნების უთვალავ ტალღებს...

ფაქტი ის არის, რომ იზიდავს და მოქმედებს ძალა მიმ-
ზიდველობისა და მოქმედებისა აქ ისე ცხადია, როგორც
სქესთა შორის ჩვენს პლანეტაზე სიყვარული და ფიზიკოსე-
ბის მძიმე სტილის მაგიერ ჩვენ შეგვეძლო უფრო პოეტურად
გვეთქა: შეყვარებული მთვარე დროგამოშვებით ჰკოცნის
ჩვენს ოკეანებს და ტალღები, როგორც ჯულიეტები, იწევიან
ხოლმე მაღლა.

ჟოვლობის უსაზღვროებაში გაშლილია სურვილი სიყვა-
რულისა და პლანეტები წარმოადგენენ ისეთივე მერქნიობიარე
ორგანიზმებს, როგორც ჩვენს დედა-მიწაზე ცხოველები და
აღამიანები.

სული ორგანიზმი არის მხოლოდ ნაწილი მსოფლიო
სულიერობისა და მატერია თავის ფორმით მხოლოდ ცხად-
ყოფს სულის დროგამოშვებით სტატიურ, შეკუმშულ, უძრავ
მდგრადიარებას. სული—ლოგოსი მატერიის მუხვადობაში სტი-
ქიურად შექმნილი ორგანიული მეხსიერებაა. ჩვენი ნერვები და
კუნთები ბირდინამიური მავთულებია ამ მეხსიერების. ჩვენში
მშვ ნიერად შენახული მეხსიერება ნერგოვნებითი და ცხოვე-
ლობითი ენტელექტისა როგორც ბიოლოგიური ფაქტი: წარბის
მუსკულის შეკვეცა ნიშნავს ყურადღებას; წამწამის მუსკულის
აწეკა ნიშნავს ჩაფიქრებას; ცხვირის ნესტოების მუსკულების
გაწევა წყრომას გამოხატავს; პირის კუთხეების მუსკულების
გაფარა იყება. ზიზღის ნიშანია.

სულიერობის ორგანოტროპიულობა მტკიცდება ამ ფაქ-
ტებით: — სულისა და მატერიის შორის დამაკიცებულება
ფსიქოფიზიურად ისკვევა: სული ორგანიული განცდის ენერგია
და წარმოუდგენელია, თუ არ იკის მატერია, მატერია და
მისი ფორმები წარმოუდგენელია, თუ არ არის სული.

სული მატერიის განწყალების დინამიური აორთქლება; მატე-
რია სულის სტატიური განსხვეულება.

მატერია ორგორც სუბსტანცია შეუძლებელია, რაღაც ყო-
ველი სუბსტანციობა სულის შემოქმედებითი განსახეობაა; სუ-
ლი ორგორც სუბსტანცია შეუძლებელია, რაღაც სულის
სუბსტანციობის წარმოდგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონ-
დეს ადამიანს, ორდესაც უნივერსალური სულიერობის მიმდი-
ნა ჩეონა. მიიღებს მატერიულ-სტატიურ სახეს. სული უმატერიო-
ერთფეროვანი ნირვანაა, — უსახო, გაურკვეველი ქაოსია, კოს-
მიური მატერია უსულო ბაბილონელების ფანტასტიურ თაომაც
წააგავს: ინტელექტისა და შემოქმედებით მუხვადობას მას ვერ
მივაწერთ, რაც უნდა სპირიტუალური იყოს. ჩვენი წარმოდგენა.



ევოლიუცია და მატერიის მარადობა

სამყარო, რომელშიაც შიმდინარეობს ყოფა. მინერალური, მცენარეული და ცხოველური არის მატერიული. განწვალების დაუსრულებლობა და ყოველი მოვლენა წუთისოფლად წარმოადგენს ერთგვარ სახეცვლილებით იგივეობას ამ დაუსრულებელ განწვალებისას: შეუჩერებელი და უთავბოლო რყევა საგანთა, რომელიც განუწყვეტლივ ხდება ჩვენს ოვალწინ, მუდმივი წარმოშობა ორგანიულისა და არაორგანიული ფორმების, ხალვათობა ფერადებისა და ბუნების ძალთა ვნებაზთა ღელვის არის მხოლოდ ირგვლივობითი მოძრაობა. იმ ელემენტების, რომელთა რიცხვი და ხარისხი რჩება ყოველთვის ერთი და იგივე და რომელთა შეუწყვეტელი შემოქმედებითი გადაჯგუფება ჰქმნის მარადიულ სხვადასხვაობის უსაზღვრო ფერადობას. წუთისოფელი მხოლოდ „ელემენტების“ ხეტიალია და ეგვიპტელების რელიგია ბიოლოგის ერთგვარ: შესავალს წარმოადგენს: ემბრიოლოგიური გამოკვლევანი გვიჩვენებენ (ბერის კანონი) რომ ყოველი უმაღლესი ტიპის ცხოველის ჩანასახი განიცდის სახეცვლილებათა მთელს: რიგს, სანამდი მიიღებდეს ბოლოს თავის საკუთარ გვარეულ ფორმას. ამნაირად ენტელექტის კიბე, რომლითაც პირველყოფილ მდგრამარეობიდან ამოდის ცხოველთა სამეფო არის. ასლი. იმ მდგრამარეობის, რომელსაც განიცდის ორგანიზმში ემბრიონი თავის სახტს დასრულებამდი: აღამიანის ჩანასახი თანდათანობითი ზრდის დროს იღებს სახეს თევზისას, ფრინველისას, მაიმუნისას და მხოლოდ ბოლოს აღამიანისას. ეგვიპტელი ბრძენი საუკუნეთა უფსკრულში ინსტიქტიურად გრძ-

ნობდა მცენარეულისა და პირუტყვულ ყოვლობასთან ნათე-
საობას და თავის წარმოდგენაში ურიგდებოდა იმ ბერს, რო-
მელიც მის სურიერ ყოფას მოელოდა...

წინედაც ჰქონდა ადამიანს ერთგვარ წარმოდგენა იმის
შასახებ, რომ არსებობის დაუსრულებელ ჯაჭვში მისი ცხოვ-
რება წარმოადგენდა. მხოლოდ ერთ რგოლს, ერთ მარჭვალს
და მთელი სიცოცხლე იყო მხოლოდ ელემენტების ტრიალი.
უთავბოლო და შეუჩერებელი.

რაც ყოფილა,— იქნებაო, ამბობდა ისრაელი ბრძენი,
დამწვარი განცდით და ნერვიული ღელვით. მართლაც ყვე-
ლაფერი ყველაფერში შედის და ყველაფერიდან ყველაფერი
ჩნდება და მეორედება: პურში, რომელსაც ჩვენ ვკამთ, პაერ
ში, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, წყალში, რომელსაც ჩვენ
ვსვამთ, ჩვენ ვიზიდავთ, ვიღებთ ნივთიერებათა ქიმიურ შე-
მაღენლობას, რომელიც საუკუნეთა სილქმეში შედიოდა
ჩვენი წინაპრების სისხლსა და ხორცში. იხტოზავრებისა
და პირველყოფილ „პითეკანტროპუსების“ მარილებით საზრ-
დოობენ მცენარეები.

სურნელოვანი ყვავილი, რომელიც სამოდ იღიზიანებს.
ჩვენს ყნოსვით ნერვებს სტიქიური დაგროვება მარადიული.
მუხვადობის კეთილშობილ ელემენტების და რაც დღეს ნა-
ვავში. ყარს, ის ხვალ თეთრ ზამბახად გაიშლება.

არაფერი იმიდან, რასაც ჩვენ წუთისოფლად ვხედავთ,
არ იკარგება:

უძირო სივრცე პლანეტარული წვით გადაირთქლილი,
ზღვა და მდინარეები, ცხოველთა და მცენარეთა დაუშრეტე-
ლი გზნება — ყველაფერი საერთო წყაროდან ჩნდება და ეს
წყარო ყოვლობის, მარადიულად მდინარე, როგორც დიდი
ოკეანე, არასოდეს არც იკლებს და არც მატულობს.

მცენარე, რომელიც დღეს თავმოშრონედ გაშლილა და
იზიდავს ხარბად მზის სხივებიდან სითბოსა და სინათლეს,

ხვალ ბუნებიდან ამ სითბოს და სინათლეს ბნელ ოთას გადასცემს და ააჩქარებს მოძრაობას პოეტისა ან ფაჭრის სისტემისას.

შეყვარებულნი, რომელნიც ერთმანეთს კვებიან სუნთქვაში ჰკუნიან და სიყვარულს ეფუცებიან; ასრულებენ მხოლოდ ბიოგენეტიურ მოვალეობას:

— ენერგია ყოვლობის უნდა გადასცენ ახალ ორგანიზმს რომლის ჩასახვის დროს ცინი გრძნ. რბენ კავშირს მარადისობასთან და თავიანთ სურვილთა აორთქლებაში უერთდებიან უნივერსალობას, — თითქმ უბრუნებენ მცენარეებსა, მინებალებსა და პირუტყვებს ბიოლოგიურად მიღებულ ელემენტებს. ორთქლმავლიდან წვის ენერგია შედის ვაგონების მოქრაოში; თოვეს წამლის ქიმიური დაშლა იძლევა სინათლა ა და შექნიურ ძალას; ვოლტის სვეტში ცინკი და უანგბადი ელექტრიულ ჩქერში გადადიან.

ფიზიოლოგიური გალიზიანება იძლევა შეგრძნობას; შეგრძნობა გადადის შთაბეჭდილებაში შთაბეჭდილება ჰქმნის შეცნაურებას.

ბიოლოგიური ზღვა ღელავს: ტალღა ტალღას მისდევს და მოძრაობა იძლევა სახიერებას საგნებისა და მოვლენებისას. სახე კვლილებით იგივეობაში ყოვლობის ენერგია ღებულობს სტატიურ-მატერიულ სახეს და არც ერთი ატომი თავის გრძნეული სხეულისა ბუნებას არ ეკარგება: გოტებისა და ვანდალების ძვლებით დანოუკრებული რინდვრებიდან იკვებება დღევანდელი ევროპა და პარიზელი ინტელიგენტის სისხლის ბურთულებში მოძრაობენ ბუნების წიაღში. სახეცვლილი ატამები ატილასა, კარლოსების და მათი ცხენების.

ბუნების ძალთა თამაში დაუსრულებელია. ზა ცველაფერი. ახალი წევთისოფლად არის მხოლოდ სახეცვლილი ელემენტებიდან შემდგარი მარადიული იგივეობა.

მუხვადი და განწვალებადი მატერია მოგზაურობს და საგნები მხოლოდ დასვენებითი წერტილებია. ამ უსაზღვრო მოგ:

ზაურობის: ზღვის ტალღების აქაფება, პლანეტების სივრცის უფსკრულში ტრიალი, პირუტყვთა და მცენარეთა ზმორება, ატომთა შორის მიმზიდველობა, სქესების შემოქმედებითი დამძიმება და ეზომანეთისადმი ვნებიანი ლტოლვა, მინერალების ბუყბუყი, სითბო, ელექტრონი, რადი და მაგნიტი—ჟველა-ფერი გვიმტკიცებს იჩას, რომ მატერიას აქვს შემოქმედებითი ენერგია, აქვს ძალა, აქვს სული.

მთელი ჩვენი შემეცნება არის მხოლოდ ცენტრალიზა-
ცია ნერვიული სისტემის განცდითი სულიერობის.

ჩვენი სხეულის ყოველ ნაწილს აქვს თავის საკუთარი შემეცნება, თავის საკუთარი ინტელექტი და სულიერობა, რო-
მელიც შედის ინდივიდუალურ სოფლმხედველობაში, რო-
გორც მდინარე ოკეანეში, და რომელიც საჭიროების დას-
მოქმედებს ავტონომიურად: საქმარისია ჩვენ თითო გვეტკა-
ნოს და რამდენიმე დღე თითო თავისთავად, უჩვენოდ ერი-
დება ჟველაფრის მიკარებას; შეიძლება ეს ვინმემ მიაწეროს
შეჩვევას, მაგრამ რა არის ჩვეულება თუ არა განცდითი სახე,
შემეცნებისა და სულიერობის?

არის მხედარი, რომელსაც ცენზე შეუძლია არა მარტო
მარჯვედ ჯდომა, არამედ თავისუფლად ძილი და დასკვენება
იმიტომ, რომ მასში დაგროვილა მეხსიერება დიდი ხნის ორ-
განიული განცდის და ჩვეულების, და ეს მეხსიერება მოქმე-
დებს როგორც ბიოლოგიური ენერგია: ინტელექტუალური
სახის.

ბავში რომ პირველად ანგანის წერას იწყებს, მთელი
ტანით მუშაობს: კალმისტარი რომ თითებით უკავია და საწერად
რომ ემზადება მაგილაზე თავდახრილი, მაშინ მისი ტანის ყვე-
ლა კუნთიც ლებულობს მონაწილეობას. წერის პროცესში
და ხარჯვეს ენერგიას. ზოგიერთ ბავშს პირიდან ენაც აქვს
გამოწეული როგორც ნიშანი ორგანიული აღელვებისა და
ნერვების დაჭიმვის.

მაგრამ ორგანიზმი ინახავს ჩვეულების ენერგიას და ოზოდენიმე წლის შემდეგ ბავშვს წერის ღრმას არ ესაჭიროება არც ნერვების დაჭიმვა, არც ენის გამოგრძელება, არც ორგანიული აღელვება.

ინტელექტი არის მოხერხება, ეშმაკეულობა — die liste der Vernunft, რომელიც იქნება სტიქიურად მატერიის მუნჯადობის პროცესში როგორც ბიოლოგიური ფაქტი.

სტატიური და დინამიური შხარები შემეცნებისა და სულიერობის, რომელიც შეადგენს ბერგსონის ფილოსოფიის საგანს, არის იგივე კანტის დუალიზმი-ძველი ფენომენისა და ნუმენის ფილოსოფია, რომელსაც აქვს ადგილი მხოლოდ ლოგიურ განზოგადებისა და სუბიექტივობის სფეროში.

ინტეუიცია არის განცდის ეპიფენომენი და სული სულიერ მოვლენათა ცხადყოფა: წუთისოფლის მოვლენებსა და საგნებს ჩვენი ორგანიულ-ნერვიული ჩვეულება აძლევს. ღირებულებას და სახიერებას.

არა რა არის ჩვენი შემეცნებაში ისეთი რამ, რასაც ჰქონდეს უნივერსალური, კოსმიური ხასიათი: ალპების აქით რაც კეშმარიტებაა, ის ალპების აქით სიცრუეა, ამბობდა პასკალი.

ჩვენი სოფლიშედველობა კუთხური, ტერიტორიული და ტროპიკულია; ჩვენი მორალი და პრინციპები, ჩვენი იდეატები და ღმერთები, ჩვენი მოკვეთილობა და სტილი — ყველაფერი ჩვენი შეფარდებულია იმ მღვმარეობასთან, რომელშიაც ჩვენ ვიმუშებით, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ სახეს, ფერებს, ღირებულებას და რომელიც ჩვენზე მაქმედებს...

ამასთანავე მატერიას, სხეულს აქვს გვარეული, რასიული კეთ ილშობილება: გოჭი, რომელიც აბრეშუმის საბანში აღზარდეს და სუფთა საღონში პარკეტებზე აგოგმანეს, რამდენიმე თვის შემდეგ ტალახსა და ნაგავს ეძებს: მემკვიდრეობითი ინსტიქტი უძახის ტალახისკენ და ვერავითარი პედაგოგი ვერ გარდაპქნის მისი უზიოლოგიურ-ნერვიულ მიღრეკილებას.

წიწილი კვერცხიდან ახლად გამოჩეკილი გამწარებით ექებს საკენკს ისე, როგორც დედა მისი: მთელი ორგანიული მეტსიერება მეტკიდრეობით გადმოსულა და ცხადმყოფდება როგორც ბიოლოგიური ფაქტი, რომელიც ამოძრავებს და ამოქმედებს სხეულს, მატერიას.

ყოველი სხეული, რა გინდ მარტივი იყოს ორგანიულად, არის უნივერსალური ენტელექტის. შეკვენების წერტილი: პლანეტების სისტემისა და მოძრაობიდან დაწყებული, გათავებული ცხოველებით და ადამიანებით ყველაფერი დაუსაულებელი და შეუჩერებელი შემოქმედებითი მდინარების წრატიური სახეებია.

ყოველი საგანი თავის მოძრაობით შეკავშირებულია ყოველობასთან; ყოველი მოვლენა თავის მსვლელობაში შებოჭილია საერთო ბიოლოგიური თხევის ძლიერებით, რომელიც მუდამ ქსოვს და შლის დოგორუ პენელოპას დაზგა ოდესეის მოლოდინში.

უბრალო ხელის აწევა, ფეხის გადადგმა ჩვენი, ჩვეულებრივი სიანჩხლე და ნერვიულობა ადამიანისა, ფიზიკური და ფისიქური თავისებურობანი ცხოველების—ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია. წარსულის ორგანიული ეკოლოგიის. შესაძლებლობით. ბუნებაში გვარებისა და ჯიშების არსებობა ბიოგენეტიური დეტერმინიზაციის ცხადყოფაა; ქათმის კვერცხიდან მხოლოდ ქათმი იბადება, ძალის შეილი ძალი იქნება, ქრის თესლი ისევ ქრეს იძლევა. რა სახის უნდა იყოს მდგომარეობა, გვარეული ენერგია მაინც თავს იჩენს: არსებობს ორგანიული მეხსიერება როგორც ბიოლოგიური ფაქტი და მხოლოდ ეს აძლევს ღირებულებას, ლოგიკას და აზრს ჩვენს ცხოვრებას.

გვარეული და ინდივიდუალური ბრგვინაობა: არის ბიოლოგიურად დაგროვილი პოტენციის ერთეული. სახიერება და სოციალური ფაქტორები ვერ იმოქმედებენ ამ პოტენციის გარეშე ისე, როგორც ექიმი ვერ მოარჩენს ავადმყოფს, რომელსაც აღარა ჰქონს სიცოცხლის ძალა.

მიქელანჯელოსა და ტოსკანელი კარბონარის სისხლი შემოქმედებითმა ევოლუციამ (évolution créatrice) სხვა და სხვა მასალებიდან დამზადა, — და ცხადია, მათი სულიერი და ინდივიდუალური ღირებულებანი სხვადასხვაობენ წუთისოფლად.

ერტელეჭიის საფეხურები მატერიული ყოვლობის შემოქმედებითი განწვალებაა და განწვალების პროცესში თავის თავად იქმნება ღირებულება გვარეშლი, რასული, ინდივიდუალური.

ყოველ ეპოქის ისტორიაში, ისე როგორც ყოველ ადამიანს, ყოველ ცხოველს, ყოველ მცენარეს ბუნებაში, აქვს თავის სული და თავის მატერია.

სული ისტორიაში ჰქონის ხასიათს, მატერია ჰქონის ტიპს: ხასიათი არის იდეა, აზრი, ლტოლვა; ტიპი — ფორმა, სხეული, ხახე:

* * *

არსებობს თუ არა თავის თავად (per se) ას, რასაც ჩვენ ვეძანი მატერიას, სხეულს, ნივთერებას? არა თუ არა ჩვენი შეგრძნობათა და შეცნაურებათა გარეშე სხვა სახის ყოფა, სხვა მდგომარეობათა და მოვლენათა ფორმები? სხეულ-ერეზი, მატერიულ-ბიოლოგიური განწვალება ყოფის, როგორც მიმღინარეობს უსაზღვროდ და შეუჩერებლად ისეთია per se, როგორც ჩვენ, ადამიანები ჩვენს ცოდვილს პლანეტაზე ცხედავთ ჩვენი სუსტი თვალებით, თუ სხვანირია, სხვა ფორმებისა და თვისებებისაა?

აზროვნების ისტორიაში ასეთი ხასიათის საკითხები ძველია და მათი ჩამოყალიბება კანტის ტერმინებში (ნოუმენი და ფენომენი) ლოგიური დასკვნაა მე XVIII საუკუნეზდი დასრულებული სოფლმხედველობისა.

მატერიის ორმაგი არსებობა იგვე ფენომენ-ლიზმია და როდესც ჩვენ ვამტკიცებთ ამ ორმაგ არსებობას, ისე როგორც ყოველოვის, ჩვენ ვტრიალებთ სუბჟექტურობისა. და ფენომენალობის სფეროში: შემეცნება წარმოებს ტრდიციულ

ცნებათა და ჩვეულებათა ს შულებით; შემეცნების პროცესი დამზადებული კათეგორიებიდან ერთგვარი განზოგადებითი გადასვლაა ინდივიდუალურ-ფსიქიურ ასიმილიაციაზე.

ჩვენი ცნებები ნამდვალი საგნებიდან გადაღებული სურათები ვი არ არის, არამედ ტრადიციულად მიღებული სიმბოლები, ნიშნები, რომელთაც ჩვენ შევეჩვიეთ ჩვენი გრძნობათა ორგანოების საშვალებით და შესაძლებლობრთ.

ჩვენ ვლაპარაკობთ არა საგანზე, არა საგნის თვისებებზე, არამედ იმ სიმბოლებზე, იმ ნიშნებზე, რომელთა გამოსახულებანი შეადგენენ ჩვენს აზროვნებას და რომელუც არსებობენ იმდრენად, რამდენად ჩვენ მათ გამნენებთ წუთისოფლად.

ჩვენ ვაძლევთ სახესა და სახიერებას მთელს ყოფას, მთელს სიცოცხლეს და მოძრაობას, მაგრამ ამავე დროს ვერავინ იტყვის ქვეყნად, რომ ჩვენი გრძნობათა ორგანოები ჩვენი თვალები და ყურები, ჩვენი შეხებითი და ყნოსვითი აპარატები იდეალური სისწორით იღებენ საგანთა ფორმებს და ნაკვთებს.

ჩვენს პლანეტაზე რომ უკბად გაჩნდენ სხვა ჯიშის „ალამიანები“, სხვანაირ გრძნობით აპარატების მქონე „ხალხი“, ალბად სულ სხვა სახესა და სხვა მოვლენებს დაზახავენ. პოლლანდიელი მეცნიერი ზვედენბერგი, რომელმაც პირველად ჩაიხედა მიკროსკოპში მე-XVII საუკუნეში დამლევს, კინალამ შეიშალა ჭკუიდან; მან დასწვა თავის ნაწერები და სთქვა: — ჩვენი აზროვნება შეურაცყოფაა ბუნების საიდუმლოებისო.

დაუსრულებლობისა და საიდუმლოების ოკეანეში ჩვენი ყოფა და კულტურა არის მხოლოდ პატარა, ეფემერული კუნძული: ის, რასაც ჩვენ ვეძახით მატერიას, ენერგიას, ძალას არის ერთგვარი ონთოლოგიური პროექტია იმის; რასაც ჩვენ ვეძახით სულს, იდეას, აზრს და რაც თავის თავად, per se წარმოადგენს მატერიას დინამიურ მუხვადობის იკვამლებას და სხივოსან აორთქლებას. მარადობისაკენ..

კოსმიზმი და ცხოვრების აზრი.

ორგანიული მებსიერება და კოსმიზმი.

პირველად სიტყვა გაჩნდა, — ამბობდენ თეოლოგები; გოეთემ შეასწორა: არა, სიტყვა კი არ ყოფილა. პირველად, საქმე იყო. ჩვენ ვფაქრობთ, არც სიტყვა, არც საქმე: პირველად განცდა იყო.

შორეულ წარსულში ჩვენ არ გვქონდა ჩამოყალიბებული ორგენიული სახეობა და მთელი ჩვენი ტანი ერთად ასრულებდა იმ ფუნქციებს. ოომელთაც დღეს ასრულებენ ჩვენი გარეგანი და შრაგანი გრძნობათა ორგანოები, თკალები, ყურები, კანი, ლორწოიანი გარსები და სხვა... ჩვენი ორგანოების მოყვანილობა შედეგია იმ შეფარდებულების, ოომელიც არ სებობდა უთვალავ საუკუნეთა განმავლობაში. ორგანიული ეოლიუციისა და კოსმიურ — სტატურა მსვლელობის შორის. ჩვენი ნერვიული სასტემა გალიზიანებათა მიმღები და გამანაწილებელი აპარატია; ეს საკვირველი აპარატი მით უფრო მარჯვედ, სახიერად რთულდებოდა და ვითარდებოდა, რაც უფრო მეტ გალიზიანებას იღებდა ჩვენი ტანი: ყოველგვარი გალიზიანების კვალი რჩებოდა ჩვენს სხეულში და რ დესაც გალიზიანება კვლავყოფდებოდა, ნერვიული სისტემა მარჯვედ იღებდა მას, რაცი კვალი ძველი გალიზიანების ხელს უწყობდა მიღებას.

შეფარდებულებიდან შეიქმნა ჩვეულების ძალა და ყოველ გვარი შემთხვევითი განმეორებული მოვლენა ჩვენს სხეულში უფრო მარჯვედ მოძრაობდა ვიდრე პირვანდელი.

საერთოდ არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს ბუნებაში კვალი მოძრაობის რჩება ოოგორც ბიოლოგიკური ფაკტი ორგანიული მებსიერების და ვინ იცის, შეიძლება ეს იყოს მთავარი მიზეზი ბუნების სახეების ჩამოყალიბებისა და ჩვენი ამე-

ტყველების. არა მარტო ცხოველ და ადამიანს, არამედ ყოველგვარ ნივთივრებას ბუნებაში აქვს თვისება. საკუთარი, ხშეციფიური: კაჯს რომ ფოლადი მიეკარება, ცეცხლი გაჩნდება; მაგრამ ყოველგვარი ქვა კაუის მაგიერობას ვერ გაწევს; მხოლოდ კაუს აქვს ამისთანა განსაკუთრებული თვისება. სპეციურობა ჩვენს ორგანოებს. მარტო კი ას ახასიათებს, არამედ „უასაკო“ ბუნებასაც და შესძლებელია მომავალში ფსიქოლოგიამ გაარღვიოს ჩინეთის კედელი ორგანიულის, და არაორგანული ბუნების შორის; თუ უანგბადის დანაწილება შეიძლება უფრო მარტივ ელემენტებიდ, ლბად შეგრძნობაც შეიძლება დაწილდეს... თუ ელექტრონის შემადგენელი ელემენტები დავინახეთ, ვაშინ სულის არსებობა, სულიერი მოვლენების მოძრაობა უფრო გასაგები იქნება ჩვენთვის.

სამყარო ჩვენ თანდათანობით გვიახლოვდება; რაც უფრო შორის მიდის ჩვენი გონება, მით უფრო ახლო, ვგრძნობთ თავს ბუნებასთან, ყოვლობასთან; შემეცნების ისტორიას ახსოვს დრო, როდესაც ადამიანი ერიდებოდა ბუნებას, სხეულს, მატერიას ყოვლობისას; ცხოველებიც უსულო რამეები იყვნენ ადამიანის წარმოდგენაში; ძალს სული არა აქვთ, ამბობდა დეკარტი. მაგრამ, დღეს შეიძლება სხვანაირი შეხედულება იქნიოს ადამიანში; ბუნების მეტყველება, ცხოველებისა და მცენარეების მორფოლოგიური დეტალები გვიმტკიცებენ, რომ გრძნობა და აზრი არის მთელს ბუნებაში, ყოვლობის ყველა ტანში. მცენარეებიც ისე სუნთქვავენ, როგორც ცხოველები და ადამიანები, და ამ სუნთქვის დროს სარგებლობენ სისხლით. მცენარის სუნთქვა გაძლიერებულიც შეიძლება იყვენ და მისუსტებულიც და ამის მიხედვით მცენარეებშიაც იქმნება სიობო, სიცხე, ორთქლი, ენერგია, სული. ცხოველთა სისხლის ფუნქციებსა და მცენარეთა სუნთქვის პროცესს შორის არა მარტო მსგავსება არსებობს, არამედ სრული იგივეობა. მცენარეთა უჯრედების თეთრი წვენი, — ეს იმათი სისხლია; ამ სისხლის საშუალებით სუნთქვავენ უჯრედები, იმის საშუალე-

ბითვე გაძლიერებული სუნთქვის დროს მცენარეს ეტყობა
ტანის სითბოს გადიდება. მართალია, მცენარეების სისხლი
თეთრია და უფერული, ორგორუ უხერხემლო რბილტანა
ცხოველებისა და მწერების სისხლი, მაგრამ დიდი გალიზიანებისა
და აჩქარებული სუნთქვის დროს ის იღებს მოწითალო ფერს.
და მაშინ კი სხანს დიდი მსგავსება იმ პირობებთან, რასაც
ცხოველთა სამეფოში ვხედავთ და რაც ანოყიერებს, ასაზრ-
დოებს ჩვენს ნებისყოფასა და სულიერობას, ჩვენს იდეალებსა
და გრძნობებს.

მცენარის გაჭრილ ადგილზე ჩნდება წითელი ლაქები—
ნიშანი ღრმა-ტკივილებისა და მწვავე განცდისა: გადაჭრილი
მცენარე ძლიერად სუნთქავს და ამის გამო თეთრი სისხლი
ივსება ჟანგბადით და ძლიერად გალიზიანებული პიგმენტები
წითლდებიან:

თითქმ ჩვენი სოფლმხედველობა თანდათანობით უნი-
ვერსალურ სახეს დებულობს: ჩვენ დღეს დარწმუნებული
ვართ, ცხოველების და ადამიანების ძირითადი ფიზიოლოგიუ-
რი თვისებები მცენარეებსაც აქვთ; ჩვენ დღეს ვიცით, რომ
განოყიერება, გამჩავლება, სუნთქვა, საჭმლის მიღება, ქიმი-
ური მუშაობა მცენარეებსაც შეუძლიათ; განსხვავება ცხოვე-
ლებისა და მცენარეების შორის დღევანდელი ბიოლოგისა
და მორფოლოგის მიხედვით მხოლოდ განცდის პოტენციალო-
ბაშია: ადამიანებისა და ცხოველების ორგანიული რევა, ფი-
ზიოლოგიური წვა უფრო ღრმაა შედარებით მცენარეების
ორგანიულ-ფიზიოლოგიურ მოვლენებთან, ამასთანავე ინ-
სტიქტიურ-ფსიქიურ თვისებებს ჩვენი ბუნებისას მცენარეებ-
შიაც ვხედავთ და სული ჩვენს წარმოდგენაში ბიჟუსმიურად
იშლება. შესაძლებელია, რომ ის ბუნება, რომელსაც ჩვენ
არაორგანიულს ვეძახით, რომელსაც არა აქვს დღევანდელი
ინტელიგენტს წარმოდგენაში სული და სხეული, იყოს სუ-
ლიერი და გონიერიც, შესაძლებელია სულის ძირითადი თვე-
სებები, ჩვენთვის უხილავი სახით, იყოს მინერალებშიაც.

კაუის აცეცხლება, წყლის რაკრაკი, ჰაერეთის ზუზუნი, ნივთების რახუნი უსათუოდ ელემენტების რყევის ამეტყველებაა და ერთგვარი ღელვის მაჩვენებელია. წარმართული სოფლმხედველობის კონცეპტი სთიქიებით და ღმერთებით ურთგვარად ეხმა ჩებიან ჩვენს გრძნობათა სუსტ ორგანოებს მსოფლიო სულიერობის შეცნაურებაში: ძველი ბერძნების მხატვრული სული გრძნობდა კოსმიურ სულიერობის რევას და ბუნების ხმებში ხედავდა თავის გონიერებისა და ილლიუზიების თანაბარ გამოსახულებას.

პოეტები და მეტაფიზიკოსები ღლესაც ჩვენი სულიერი მოვლენების მსგავსი სახეებს ეძებენ სამყაროში და ხშირად დღევანდელ მოაზრეს ზღვის პირად ან მუხის ძირას შეიძლება ისე აუჩუდეს გული, როგორც შორეულ წარსულში ელლინს აუჩუდებოდა, როდესაც მას სირენებისა, ნიზფებისა და დრიადების ხმები მოესმოდა.

ფოთლების შჩიალი, ტალღათა გუგუნი, ფრინველების ჭიკვიკი, პირუტყვების ღმუილი ისეთივე ეპოზიტიური გამოსახულება მსოფლიო ენტელექტის; როგორც ჩვენი ბგერები და მეტყველება.

თვით ჩვენი სხეული უჯრედების მთელი სამყაროა და ყოველი ჩვენი სურვილი ჩვენში მოთავსებული უთვალავი არსების სურვილთა ჯამია: ჩვენს „მე“-ს ამოძრავებენ, ამოქმედებენ პატარა სიოსიცის-ები და ყოველ წუთს ჩვენი ნებისყოფა განსაზღვრულია „ვიღაცების“ სურვილებით.

ჩვენი ინდივიდუალობა იძირება კოსმიურ სირთულეში; საუკუნები და ყველა დროის ორგანიული ფორმები ჩვენში იყუმშებიან და ჩვენს სხეულს, მის ნაწილებსა და უჯრედებს ნათესაობა აქვთ სამყაროის ნაწილებთან.

ბუნებისმეტყველებმა და ექიმებმა იციან ეს: მარილები, რომელთაც ექიმები ავათმყოფებს აძლევენ, როდესაც სხეულში შედიან, უჯრედებს აღიზიანებენ და ნერვიულ-ფსიქიურ აქტივობას იწვევენ; აღმართ არის რაღაც ნათესაობა, რაღაც დამკიდებულება ჩვენი ორგანო—ფსიქიურ აორთქლებისა და სამჯურნალო ნატრიებ შორის.

ყოველგვარი აღელვების დროს, ყოველგვარი დიდი წუნილისა და სიხარულის დროს ჩვენ ბუნებისაკენ ვიყურებით, თითქმ სული ჩვენი შორეულის დაუსრულებლობაში ეძიებს მეგობრობასა და ნათესაობას, თითქმ იგი ხელახლა რიტმიულად შედის იმ მარილებსა და სიმუავეში, იმ მინერალებსა და მცენარეებში, რომელნიც სამყაროშია მიმოფანტული და რომელთა ნაწილების აორთქლებით ჩვენში იქმნება ჩვენი სულის აქტივობა, ჩვენი იდეალები და ილლიუზიები.

ახალი კვლევა-ძეგბანი გვარწმუნებენ, რომ მოძრაობაში მატერიალური მასა მატერიალს. ჩვენთვის არ არსებობს მატერიალულო, არ არსებობს ისეთი ხიჭვი, რომელშიაც არ იყოს ერთგვარი შინაგანი რყევა, ბრგვისადა, ეზოგვარი, თვითგადამსახა დანამიური თვითათრთქლება; მხოლოდ რაც უფრო რყევაა დია მდგომარეობა მატერიალი მასის, რაც უფრო ძლიერია შინაგანი ატომიურ-იონური სიმძლო, მით უფრო დინამიურია თვითგადამსახი აორთქლება და ასხივოსნება; მოძრაობაში მატერიალი მასა ითენთება, იდრესვება, იონოდინამიზ-მით ივება: მასა მატელობს და მასასთან ერთად სულიერობის აორთქლება და სულიც.

მოვლენები და სახნები მხოლოდ სხვა და სხვა სტატიური სახეებია ყოვლობის დინამიური მოძრაობის: ბალახი, ქვა, ცხოველი, პლანეტა, ცეცხლი, აღამიანი, მიკრობი, მორიელი, სოკრატე სხვა და სხვა ფორმის შეკუმშული ელექტრო-ჰინა-მიური ერთეულებია, სტატიურად ჩამოყალიბებული ყოვლობის დეტერმინიზმით და ორგანოტროპიულად შეგრძნობილი ჩვენში.

სამყაროში ჩვენ ვამჩნევთ მხოლოდ ისეთ სტატიურ სახეებს, რომელთა შეცნაურება-შეცნობა შეუძლიან ჩვენს გრძნობათა ორგანოებს თავიანთ ტროპიულ ჩვეულებათა მიხედვით: მოელი ჩვენი გონება ყოფლობის დაუსრულებლობაში მხოლოდ ქაფის პუშტია და ჩვენი მე თავის გრძნობებით და იდეალებით ისე ეფემერულია და საცოდავი, როგორც უღრან ტყეში ქარისაგან აფიქრიაქებული ფოთლები, როგორც ოკეანის ტალღებში შემთხვევით გადაგდებული ნივთი.

გრძნობა და რიტმი.

ადამიანს წუთისოფელთან აქვს ოთხი სხვა და სხვა სახის
დამოკიდებულება:

1. ფიზიკური—გამომსახველი ორგანიული: მდგომარეობისა და ტროპიული შეთანაბრების;
2. ლოგიკური—გამომსახველი არსებობის ისეთი მომენტებისა, რომელთაც წინ მიუძღვის გონება;
3. მორალური—ნებისყოფის დაყენებელი—გარკვეულ გზაზე შეფარდებით საზოგადოებისა. და ისტორიის ტრადიციასთან;
4. ესთეტიკური—გამომსახველი ინდივიდუალური. გემოვნებისა და სულიერ წყობათა.

ადამიანის სახე შეიძლება მოკვეთილი იყოს სწორად; იგი შეიძლება პატივსაცემი იყოს თავის მახვილი გონებით; იგი შეიძლება საინტერესო იყოს მტკიცებასათით, მაგრამ ყველა ამ თვისებასთან ადამიანში შეიძლება იყოს ისეთი რამ, რაც მას, როგორც ინდივიდუმს, აძლევს განსაკუთრებულ სიმშევნეებს წუთისოფლად.

ბავშობიდანვე ადამიანში თავს იჩენს გენეტიკურ-ინდივიდუალური კულტი კულტი გამომხატველი ორგანიულ-ჯიშური დახრილობისა, მიღრეკილებისა, კულტი, რომელიც არის კონდენსატორი ბიოლოგიური მეხსიერების. და რომელიც ხშირად გვევლინება ან ორგანიული თვისებისა, ან ფსიქიური ნიჭიერების სახით.

არის კულტი ტანსალობის, ინტელექტური მახვილობის, მორალური ძიების, გემოვნებისა და სილამაზის; ყოველ კულტის ყავს თავისი წარმომადგენელი—კულტის სახის მატარებელი.

— გვარი, ჯიში, ერი, სახელმწიფო, კერძო ადამიანი. განსაკუთ
რებულ ისტორიულ-სოციალურ ხვეულში განსაკუთრებული
ბიოლოგიური პოტენცია იჩენს თავის ინდივიდუალურ სახეს,
ჩამოქნილს თანდათანობით სტიქიურ ღელვისა და კოსმიური
რყევის პროცესში.

ინდივიდუალობაში არის სამი დიდი მომენტი განტვისე
ბული ერთმანეთისაგან ჩვენი ლოგიური განყენებით — მომენ
ტი გრძნობისა, მომენტი ნებასყოფისა და მომენტი ინტელექტის.

ორგანიულ ევოლუციაში გრძნობას უფრო მნიშვნელოვანია დაგილა უჭირავს, ვიდრე ნებისყოფასა და ინტელექტის:
ნებასყოფა თავისებური და ამიური: ფორმაა გრძნობის; ნ-
ტელექტი ივივე გრძნობის ემანაციაა; გრძნობა როგორც
ბიოლოგიური ფაქტი შემოქმედდებით, მოძრაობის და რხევის
პირვანდელი თვითმხენი მიზეზია; გრძნობა მთლიანი ორგა-
ნიულ-ფსიქიური შლემენტია, ინტელექტი კი რყევადი; გრძნობა
ყოველთვის უფრო კოსმიური ხასიათისა; ვიდრე ინტელექტი:
გრძნობა ყოველთვის აერთებს და მხოლოდ აერთებს; ინტე-
ლექტი ბუნებრივად ანაწილებს და ხელოვნურად აერთებს.

გრძნობის პროცესი უხვი, ლალი, ძლიერი, მახვილი და
გამბედავია; მგრძნობიარე ადამიანი ყოველთვის გრძნობისა და
კეთილშობილების კარებთან დგას; ვნება სიყვარულში გადა-
დის; ვნებათა რყევა ერთგვარი რიტმის დასაწყისია; ვნებიანი
ველურია, მაგრამ ველური კეთილშობილი, გულკეთილი; გე-
მოვნება ოცნებით ფარავს წუთისოფლის ჭუჭყას და გახკერ-
ძოებულ ყოფას ტკბილი ალერსით, მოვრალი უჯრედების
რიტმიული ათამაშებით უკავშირებს შორეულობას, მარადობას.

ადამიანი ეძებს ვეფხის ლამაზ ტყავს, იჩმის მშენიერ-
ლებს, ზღვის ცხოველების ფერად ნაკუჭებს; ადამიანი იგო-
ნებს სხვა და სხვა ფორმას თიხის; რკინის, სპილენძის, ვერც-
ხლის ჭურჭლეულობისას; ადამიანი ქსოვს, ჰკვეთს, ჰქმნის —
აშენებს კოშკებს, სრა-პალატებს, თხზაქს სისტემებს და ჰიპო-
ტეზებს, რომ გაამშვერიეროს და გაამარადოს თავისი ყოფა. ჩმა-
ხი, ჭუჭყიანი, დროული და წარმავალი.

პირველყოფილი ტროგლოდიტი მშიშარა და მთათოლ-
ვარე თავის ბანჯველიან სხეულში გრძნობს ესტეტიურ ერო-
ტიულ მოთხოვნილებას; სექსუალური არყევა აღამიანის სა-
ერთოდ თავისებური ნახალური ფორმაა. წუთისოფლური უზ-
ნეობისა და მარტივულად უპრინციპო ყოფის; დრო-გამოშვე-
ბით ქარიშხლიანი არითმია ბუნების ძალების, ისტორიულ-კულ-
ტურული რყევა და განგაში, არევ-დარევითი ცივილიზაციუ-
რი ნახტომები და გაქანება ბიოლოგიური ეროსის დემონიუ-
რი თამაშია და ეს დემონიური თამაში ვნებიანი და სტაქიუ-
რი, აღელვილი ორგანიული ინსტიქტებით, აძლევს ყოველ
საუკუნის კულტურას თავისებურ სახეს, ვარეგნობას, ინდივი-
დუალობას.

კაცობრიობის ცივილიზაცია ბიოლოგიური ეროსის ემა-
ნაციაა. ჩვენი კულტურის სტატიური სახეები—ბიბლიოთეკე-
ბი, ბარილიეფები, მუზეუმები, ნანგრევების რომანტიული გა-
მომეტყველება, დროული. და წარმავალი მოფარგვებილობაა ორ-
განიულ-ბიოლოგიური ოპრთქლების.

მეცნიერება არ არის თვითური ცოდნა რაობის, მხო-
ლოდ ილლიუზიების დაკანწილებაა; ყოველი საუკუნის კეშმა-
რიტება სოფლმხედველობათა დათანწყობებაა ისტორიულ-ფიქიუ-
რი ჩვეულებათა მიხედვით.

თვით მათემატიკა თავის ფორმულებით, ინტეგრალებით,
დიფერენციალებით და ლიმიტებით, თვით მექანიკა თავის ეშ-
მაკეული მიხვედრილობით, თვით ბუნების-მეტყველება თავის
მორფოლოგიური დეტალებით ჩვენი აღელვებული და მარა-
დიულად მაძიებელი სულის მხოლოდ მოხერხებაა — die List
der Vernunft, მოხერხება, რომელსაც აქვს ობიექტიური
მნიშვნელობა იმდენად, რამდენად ჩვენი ორგანიულ-ფიქიუ-
რი ჩვეულება შემთხვევით შეეფარდება, კოსმიურ იქაციონა-
ლობას.

ალგებრაული და გეომეტრიული ფორმულები, ქიმიური
ელემენტების მოძრაობის კანონები, ასტრონომიული შეთანაბ-

რებანი კაცობრიობის ტანჯული სულის მახვილი ლეგენდებია, დამამშვენებელი წუთისოფლური თქრიალისა და კოშ-მარული აცეცხლების, კულტურას, ცივილიზაციას, მეცნიერებას, მეტყველებას აქვს მხოლოდ ესთეტიკური მნიშვნელობა: ფორმები ჩვენი შემოქმედებისა და მეტყველების დროული მოხერხების და გემოვნების გამოსახულებაა; უდიდესი და უმ-შვენიერესი ჩვენი შემოქმედება მაჩვენებელია ჩვენი ესთეტიური იდეალის ორიგინალობისა და სისრულის. ბოლოს და ბოლოს საინტერესოა არა ის, თუ რას ვაკეთებთ, არამედ როგორ ვაკეთებთ. კულტურულ-ცივილიზაციური შემოქმედება ერთგვარი ისტატობაა: გოტიური სტილის აწვერადება. რომანტიული აღმაფრენის სიმბოლოა; ქიფელის კოშკი ფრანგული სულის ატორტმანების იდეური სტატიკაა; შექსპირის კოსმიზმი ინგლისური გაშლილობის გამოსახულებაა.

ისტორიულ-კულტურული მღელვარება აყალიბებს ფორმებს: განცდა ჭიშნის სახეს.

საუკუნები და ერები, როგორც ლეგენდარულია არმიები, იყრიბებიან და იშლებიან: სახელმწიფოები და აღამიანები თავიანთი ჩვეულებებით, სურვილებით, იდეალებით და ილლიუზიებით აფაროქალდებიან, ათქოიალდებიან, ღელავენ, ექებენ და იტანჯებიან, საუკუნეთა განმავლობაში შრავლდებიან, ორგანიულ-ბიოლოგიურად იზრდებიან; დაიქანცებიან ღელვა-ძიებაში და წუთისოფელს შორდებიან, ვით უდაბნოში მოხეტიალე მგზავრები. დროთა მღუმარე სასაფლაოზე მოდიან სხვები და შლიან უთავბოლო პოემის ახალს ჩვეულებს, ჩმანავენ ახალს სიტყვებს, ივონებენ ღმერთებს და მეცნიერულ ზღაპრებს...

ყოფის ოკეანეს აღელვებს რღვევისა და ცვალებადობის რიტმი; მთელი სამყარო რიტმიულ მოძრაობათა დენაა: ზამთარი, გაზაფხული: ზაფხული, შემოდგომა; დღე და ღამე; სითბო და სიკივე; სიკეთე და ბორბოტება; სიკედილი და სიცოცხლე რიტმებია.

მსოფლიო ისტორიაში რევოლუციები და მყუდროების იდილიები; ფილოსოფიაში რწმენა და იჭვები; ბიოლოგიაში სისავსე და სიცალიერე; პლანეტების კოსმიურ მოძრაობაში გაყრა და მიმზიდველობა; სქესთა შორის ზიზღი და მჩიდარულობა იგივე რიტმებია, ყოვლობის დაუსრულებელი პოემის:

სიხარულის უთავბოლო ნახტომები ცეკვაში გადადის ორგანიულად; არევ-დარეული მოძრაობებიდან ჰარმონიული წყობა იქმნება; გაურკვეველი ბერები ტაკტს ემორჩილებიან, და იწყება მუსიკა-რიტმიული რხევა.

როიალის ხმაზე, ან კარგი ორატორული: მეტყველების სმენის დროს ხშირად ჩვენი კუნთურ-ნერვიული შეგრძნობანის სამოდ ატორტმანდებიან, რომ ჩვენ გვეძნელება დაჯდომა, გვეძნელება დგომა ერთს ალაგას, გვაღელვებს სურვილი მოძრაობისა, ხტუნებისა, სურვილი ესთეტიური გაქანებისა და ბრძოლისა... თითქმ უხალავი ატომები შემოდიან ჩვენში, ხტიან, ცეკვავენ; თითქმ ჩვენი ნერვიული სისტემის ხვეულებში ყველგან კოცნა და ალერსია; თითქმ ჩვენი სხეულის ყოველი უჯრედი გრძნობს გახალისებას, აცხოველებას; თითქმ ჩვენში ვიღაცები ამოძრავდენ, ამღერდენ, ამეტყველდენ; თითქმ უხილავს, უძასაკონდ და შეუცნობელს ვუახლოვდებით; სიმძიმე ჩვენი ტანისა, ჩვენი ფიზიოლოგიური ვრცელობა შეგრძნობათა არითმიაში იძირებიან; სული თანდათანობით იშლება; დროისა და სივრცის საზღვრების შეცნობა ილესება. ლირიულ-ესთეტიურ განცდაში; საუკუნოები იკუმშებიან და ისტორიული პერიოდების ხარვეზები ჩვენს წინაშე შლიან სამარადეამო ძიებათა ფერად მარაოებს.

მშვენიერების იდეა.

რა არის მშვენიერება? სად იბადება და რას წარმოადგენს მშვენიერების იდეა? თუთ საგანია, თუთ ბუნების მოვლენაა მშვენიერი, თუ ადამიანშია გარტო მშვენიერების იდეის შემომქმედი ძალა? საზოგადოთ მიღებულია, რომ სილამაზე შეადგენს საგნის ანუ მოვლენის თვისებას, ორგანიულ მოყვანილობას: ჩვენ თითქმის ყოველ დღი ვამბობთ „ლამაზი ხმა“ „მშვენიერი სახე“ „ლამაზი ქალი“ „მშვენიერი ბუნება“ — ვამბობთ ამას და თან საგანს ვაკუთონებთ. თვისებას, თითქო საგანი იყოს ლამაზი, მშვენიერი; ჩვენ როდესაც ვამბობთ ეს ქალი ლამაზია, და ჩემუნებული ვართ რომ სილამაზე შეადგენს ქალის თვისებას, რომელსაც აქვს ჩვენთვის ობიექტიური მნიშვნელობა და რომელიც სრულებით არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სულიერ განწყობილებაზეა ამ „სილამაზის“ მჭვრეტი.

ერთი სიტყვიო საზოგადოთ მიღებულია ის აზრი, რომ სილამაზე არის საგნის ანუ მოვლენის თვისება, წმინდა ორგანიული ხასიათის, რომელიც დამოუკიდებელია თავის არსებობით. სწორია თუ არა ეს აზრი? რა თქმა უნდა ააა: ჩვენ ვიცით, რომ ერთი და ივივე საგანი თითქმის ერთ და იმავე დროს სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვა შთაბეჭდილებას ახდენს თავის გარევნობით; ერთი ფაქტობს, რომ საგანი მშვენიერია, მეორეს საგანი ეზიზდება, მახინჯათ ეჩვენება. რაც უფრო თავისებურია ინდივიდუალური და ეროვნული წყობილება ადამიანის ცხოვრებისა, მით უფრო სუბიექტურია მისი ესთეტიური შეხედულება: სხვადასხვა პირობებსა და ცხოვრების მოვლენებში გაწვრთნილ ადამიანებს მშვენიერების იდეა სხვადასხვა სახით ეჩვენებათ და სხვადასხვა ესთეტიური იდეა-

ლո აქვთ. ისტორიულ, ეროვნულ და კლასიურ მიზეზებს ესთეტიურ იდეალის შექმნის პროცესში ზედ ემატება ინდი- ვიდუალურ — ორგანიული განცდის შემოქმედებითი აღგზნებუ- ლება.

ეროვნულ — ისტორიულ ცხრვრების ფარგლებში იქმნება ერის მორალი, ესთეტიკა, ერის ფილოსოფია და პოეზია, ლიტერატურა და მეცნიერება.

კაცობრიობის სული ისტორიულ შეგრძნობაში გამოიხატება,

ესთეტიური იდეალი, ისე როგორც ყოველი იდეალი, არის მრავალ საუკუნეთა და მრავალ ჩამომავლობითა განც- დის და თანდათანობით სულიერი ვარჯიშობის ნაყოფი. მშვე- ნიერია წუთისოფლად ყველაფერი, რის ყოფას და სახეს ჩვენ შევეჩვეთ; მშვენიერია ყველაფერი, რაც აქმაყოფილებს ჩვენს ნერვიულ გაღიზანებას, რაც ფსიქოლოგიურად შეეფარდება იმ გრძნიაბებს, რომელიც შემუშავებულა ინდივიდუალობაში ცხოვრებისა და ჩვეულებათა პირობების მიხედვით: აღმოსავ- ლეთში მაგალითად უყვართ მყვირალა ფერები, ჩაღილოეთში კი, სადაც მზე აღმოსავლეთურად არ აცხუნებს, უყვართ მკრ- თალი ფერები: მშვენიერების იდეა სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა სახისაა — საერთო მასშტაბი არ არსებობს; ჩინეთში ლამაზს ეძახიან ისეთ ქალს, რომელიც ტანად მსხვილია, ფე- ხები ჰატარა აქვს, თხელი თმა და დიდი ყურები. ჩვენში ასე- თი ქალი საზიზდარი იქნებოდა. იაპონელებს უყვართ ყვითე- ლი კანი და შავი კაბილები: თეთრი კბილები ძალლებს აქვთო, ამბობს იაპონელი. ჩვენს მგოლინებში კი თეთრი კბილების და- ნახება ღვთიურ ცანკას იწვევს. სამხრეთს აფრიკაში აზალგა- ზრდებს ძალით უმტკრევენ კბილებს, რაღვან სრულებით უკბი- ლო ახალგაზრდა სილამაზის იდეალიც. მშვენიერება ორგა- ნიულ შეჩვევის და ნერვიულ წვის შედეგია: ისტორიული პი- რობები, გეოგრაფიული მდებარეობა, შთამომავლობათა ადა- თები, ინდივიდუალობის თავისებურობა — აი ფსიქოლოგიური პირობები, რომელთა შორის ისახება მშვენიერების იდეა.

შევენიერება შემოქმედებითი ევოლიუციის ისტორიოლოგური სახეა: ყოველ კუთხეს დედამიწისას, სადაც უცხოერია აღა- მიანს, აქეს თავისი ისტორია და მასთან ერთად თავისი ესთე- ტიკა საკუთარი, საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი სულის აქტივობა და წყობილება. მშვენიერების იდეა უაღრესად ის- ტორიული ტროპიულია. ქართველს უყვარს ისეთი სახე, რო- მელიც ქართველის ტემპერამენტს შეეფერება; ევროპიელს უყვარს ის სახე, რომელიც ევროპიელის ტემპერამენტს შე- ეფერება: ტემპერამენტი კი მრავალ შთამომავლობათა განც- დის დაზღაზეა ნაქსოვი და მაშასაღაბე ყოველთვის ისტო- როულია, ყოველთვის იწნება განსაზღვრულ ეთნოგრა- ფიულ და ისტორიულ პირობებში, ცხოვრების. მძაფრ ბრძოლასა და ტანჯვაში მშვენიერების სახე არის მხოლოდ ისტორიულ-კულტურულ მგრძნობელობის და ორგანიული გა- ლიზიანების ესთეტიური განსახეობა. განსახეობა შემოქმედე- ბითი პროცესია და ამ შემოქმედებით პროცესში სილამაზის ემოციაა, რომელიც სუბიექტიურია და ორგანიული, ხდება ობიექტიური ილლიუზიის საშვალებით ძარღვთა წევაში სხვადა- სხვა აღამიანის ორგანიული წყოფილება ღებულობს მოჩვენებითი ობიექტიურ ხასიათს. ოდგან სხვადასხვა ნერვიული სისტემა სხვადასხვანაირად იწვის და განც- დის, სილამაზე ღრმად სუბიექტური ცნებაა; და სი- ლამაზის ემოციის „ობიექტივაცია“, სადაც უნდა იყოს და რა პირობებში, სულერაზია, ყოველთვის ინდივიდუალურია. მშვენიერების იდეა ეყრდნობა აღამიანის განცდას და სულის ძიებას: თუ სული კმაყოფილია; თუ აღამიანის გული ცხოვ- რების სახეების შეგრძნობით მთვრალია, მაშინ აღამიანს ეძნე- ლება; რა თქმა უნდა, მოძრაობა და ძიება, ეძნელება აშფო- თება და აღელვება, მაშინ იგი მოდუნებულია და სისხლის მოძრაობა მისი წყნარია. ამიტომ ილლიუზიებსა და ოცნებებს აღამიანის გულის სილრმეში ადგილი არა აქს, თუ აღამიანი ბედით კმაყოფილია, თუ არ იწვის სურვილებით იგი, თუ არ

იტანჯება სული მისი ცხოვრების სიჩმახით. დანტე ალიგიე-
რი იმიტომ ეტროლდა ბეატრიჩის სახის მშვენიერებას; რომ
გრძნობდა წუთისოფლის უკულმართობას, უწესრიგობასა და
სიმახინჯებს: დანტე უყურებდა ამ ცხოვრებას როგორც კოშ-
მარულ მოჩენებას და ეტროლდა ბეატრიჩის, როგორც მშვე-
ნიერებას, როგორც სულის დამამშვიდებელ ძალას. დანტე
იგრძნო ცხოვრების სიჩმახ და შექმნა ბეატრიჩის სახე, რომ
დაეფარა წუთისოფლის სიმახინჯე თავის გრძნეული სიზმრებით.

ბეატრიჩის სახე ნაზ და გრძნეულ სიზმრებითაა ნაქსოვი:
ადამიანს უნდა ჰქონდეს მშვენიერი სული, რომ ნახის მშვე-
ნიერი სიმარი. მხოლოდ სულის სიმშვენიერე სულის სინა-
ზეა და ვინც ტლანქ ცხოვრებას ურიგდება, სული მისი
ტლანქია, ისე როგორც ყოველდღიური ცხოვრება. მშვენიე-
რების იდეა ადამიანობასთან ერთად იბადება სწორედ იქ, სადაც
იწყება იდეალის შეგრძნობა, როგორც ფსიქოლოგიური აუ-
კილებლობა: როდესაც ადამიანი ამბობს საგანი მშვენიერიაო,
არკვევს და ახასიათებს არა ობიექტიურ მოვლენას, არამედ
თავის სულის შინაარსს და დამსხსიათებულ თვისებას. სილამა-
ზე არის იდეური კაფშირი ორგანიული განცდისა და სულის შო-
რის ილლიუზიის საშვალებით გატანილი ინდივიდუალობიდან
უნივერსალობაში: რაც უფრო მდიდარია ადამიანი ილლიუ-
ზიებით, მით უფრო ჩქარა იშლება ცხოვრება მის თვალწინ
ესთეტიურ ფენომენად, მით უფრო ხშირად ხედავს სული მო-
ქანცული ბეატრიჩეებას და დულცინეებს. სილამაზე სული-
ერი ხორციელობაა ილლიუზიების ტალღებში შექმნილი და
განცდის ცეცხლში „სინამდვილეთ“ ქცეული. სანამდი სული
განიცდის აღფრთოვანებას, სანამდი გული აღზნებულია, მა-
ნამდი მხოლოდ არსებობს „სინამდვილე“ მშვენიერი და
თვალწიარმტაცი: ძარღვების სიმთვრალე—ორგანული სიგიურ
სისხლის აჩქარებული მოძრაობით ჰქმნის სურვილის სიღრმავეს
და სული ადამიანის ლაღად დასეირნობს ოცნების. ბალებში,
სწყვეტს ყვავილებსა და ისვენებს სხვადასხვა ბუჩქის ძირის...

დღეს ხედავს ზღვის ტალღებზე მცურავს აფროდიტეს, ხვალ ღრუბელთა შორის მოკიმციმე ბეატრიჩეს, დღეს მხურვალედ „ეწეპება!“ ნესტან-დარეჯანს:

მკურდი მკერდა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა.

— ხვალ მულდაზარის ველზე თინათინის სახეს გაშლის კოსმიურ მშვენიერებად, მარიხსა და ოტარიდს შეუერთებს თავის ოცნებებსა და მშველ გრძნობებს. მშვენიერების იდეას იცნობენ მხოლოდ განცდით და გრძნობებით. მდიდრი ძარღვები: საგანი მით უფრო მშვენიერია, რაც უფრო ღრმაა ორგანიული წვა ადამიანისა, რომელიც კვრეტს საგანს; რაც უფრო აჩქარებით ბუყბუყებს ნერვიული სისტემა, მით უფრო მაღე რტაცებს ადამიანს ოცნება; რაც უფრო შეუბრალებელია ცხოვრების ქარიშხალი, რაც უფრო იბუგება წუთისოფლის სიმწარით ადამიანი, მით უფრო ლალად ნამავს ორგანიული ტანჯვა სულის შემოქმედებას, მით უფრო მდიდარია იდეალებით და ილლიუზიებით სული.

იდეა არის განცდის განსახუება. მშვენიერების იდეა იფშვნება ორგანიულად, იზრდება მით უფრო ჩქარა, რაც უფრო ღრმაა სულიერი მღელვარება. ნერვიული მოქანულობა ყოველთვის იწვევს სულის სილადეს, სისავსეს შემოქმედებითი სევდისას,— და შემოქმედებითი სევდა ჰქმნის ეროტიულ მკრთხულებაზეა: იწყება შეყვარების პროცესი და თან იზრდება: შემოქმედებითი სევდა, რომელიც ბოლოს და ბოლოს ღებულობს კოსმიურ ხსიათს. ორგანიული წვის ორთქლი ეფინება მთელს ინდივიდუალობას; ჩხვლეტს სხეულს, შეაქვს ეროტიული სითბო ძარღვთა ნასკრეტებში და სულით მთვრალი იძირება სიყვარულისა და სევდის გრძნობებში. ინძრევა, ირყვა, იწვის, იცრიცება ინდივიდუალობა რა თანდათან უასლოვდება ყოვლობას—უნივერსალობას: თვალწინ იშლება განუჭვრეტელი სამყარო მთებით, ოკეანებით, ჩქარად მორბე-ნალ მდინარეებით, ფერად სახეებით. შეგრძნობის ცეცხლი აღრმავებს სიყვარულს: თართოლა, სიცოცხლე, მოვლენათა და

საგანთა უბნობა, ზღვის ტალღებზე მზის სხივების ლივლივი, შუადღის ხილვა ტკბილვნებიანი — ყველაფერი დელავს, ყველაფერს ეძლევა ილლიუზიური ლირებულება სიყვარულის ენტელექტური, ყველაფერს აქვს მიმზიდველობა, რადგან მშვენიერების შეგრძნობა — ეს კუსტურული ანთროპოლოგიურია — ცხოვრების თვითმყოფი რაობის უარყოფაა და ოლლიუზიერების განმტკიცება.

წუთი-სოფელი თავისთავად არც შშვენიერია და არც საზიზღარი, არც კეთილმომქედია და არც ბოროტი: ცხოვრების დამახასიათებელი თვისებებია — სტაქიურობა და ირრაციონალობა. ადამიანის აზროვნება — ისტრიოლოგიურია, ადამიანის მორალი არ არის ბუნების მორალი. ჩვენს იდეალებსა და ოცნებებს, ჩვენს გრძნობებსა და ტრაგედიებს ბუნება არ იცნობს. ჩვენი ენა ბუნებას არ ესმის და არც ჩვენ გვესმის ბუნების ენა. ბეატრიჩები და დულცინები არსებობენ მხოლოდ ჩვენს სულიერ მოძრაობაში, ბუნებისათვის ბეატრიჩები და დულცინები იგივეა, რაც ბუჭყები და ჭიები.

წუთისოფლის მოვლენების თვითმყოფი რაობას ჩვენ არ ვიცნობთ, ჩვენ არ ვიცია რას წარმოადგენს საგნები და მოვლენები per se, ჩვენ ვეყრდნობით მხოლოდ ჩვენს ორგანიულ შეცნაურებას, ჩვენ სულიერ მიმღებას; ჩვენ ვიცით მხოლოდ რს, რასაც გვეუბნებიან ჩვენი გრძნობათა ორგანები და თვითდაკვირვებანი: ჩვენთვის წუთი-სოფელი ფენომენია მწვავე ორგანიული შეცნაურების და ჭვრეტის საგანთა და მოვლენათა სახეები და ფერები ფსიქოლოგიურად ილლიუზიურია: ჩვენი ნერვიული დრესვა და მღელვარება აძლევს ცხოვრებას სიმდიდრეს და ლირებულებას, სახეებსა და ფერებს; საკმარისია შეიცვალოს ჩვენი ნერვიული მდგომარეობა, რომ ცხოვრების მოვლენებმა მიიღონ სხვა სახეები და სხვა ფერები. ჩვენი იდეალი ჩვენი ორგანიული ცახუანის, ჩვენი ხორციელი წვის დიდხითა ინდივიდუალურ ლირწების დნებით შექმნილი, ან შთამომავლობის ფსიქოლოგიურ, წვრთნით აბოლებული და ანათებული.

ბეატრიჩეები და დულცინეები, ვენერები და ლაურები მშვენიერები არიან მხოლოდ იმიტომ, რომ შემოქმედებით სულმა მოინდომა მათი გამშვენიერება: როდესაც შემოქმედებით სულს ეკარგება თავის ხორციელი ენერგია, როდესაც ორგანიულ — ეროტიული ცეცხლი მღელვარებისა და მოძრაობის შემდეგ ჰქონება, საგანს ეყარგება თავის მშვენიერი სახე: პანზი პაინეს გმირს ტანგეიზერს, რომელიც ერთს გამოქვაბულში რვა დღის განმავლობაში სრკება სილამაზის ღმერთის — ვენერას სიყვარულით, რვა დღის შემდეგ საზიზლრაც ეჩვენება მშვენიერი „არსება“ და იგი გაჯავრებული ეუბნება მას: მე შენ არ მიყვარხახო. მშვენიერება ინდივიდუალურ — ეროტიული სურვილებისა და გულის ვნებათა იდეიუზიური განსხეულება: ერთხელ თურმე ინდოეთის ღმერთი — ფაშუ — შეხვდა მშვენიერ ქალწულს და დაუწყო მას გაშმაგებით ცქერა; ქალწულმა ვერ აიტანა ვიშნუს თვალების სიპასრე და უცბათ ამოეფარა ღმერთს უკან, მაშინ თურმე ღმერთს კინჩხევ ამოუვიდა თვალები და დაუწურ ცქერა ქალწულს: ძლიერია ინდივიდუალობაში სურვილის ძალა.

რა არის ტობოზელი დულცინეა; თუ არა ლამანჩელი რაინდის სურვილის იდეიუზიურ განსხეულება? ჩვენ ვიცით, რომ ტობოზელი დულცინეა (მშვენიერება). იყო ერთი ჩაგოდრებული გლეხის გოგო, სახელად ალდონსა: სანჩო პანჩო მას ეძახის ალდონსას და წარმოდგენილი ჰყავს მხოლოდ როგორც ალდონსა. მაგრამ ლამანჩელ რაინ უს ვინ დააჯერებს, რომ დულცინეა არის მხოლოდ ალდონსა? ვინ დააჯერებს დანტეს, რომ ბეატრიჩე არის უბრალო, სუსტი, ფიზიკურად საზიზლარი არსება? ვინ დაარწმუნებს ტარიელს, რომ ნესტან-დარეჯანის ორგანიულ მთლიანობაში არის ნაწილი წმინდა გონების თვალსაზრისით ესთეტიკურად მიუღებელი? ცხოვრება ესთეტიკური ფენომენია; მშვენიერების სახე აღამიანის სულის ილლიუზია.

არც ერთი მშვენიერი, არც ერთი საზიზლარი ქალი არ-
ად არ დაბადებულა და არც დაიბადება, ისე როგორც არც
ერთი ბორტებება და არც ერთი სიკეთე წუთისოფლად არა-
სოდეს „რ ყოფილა: „მშვენიერი“, „საზიზლარი“, „ბორტი“,
კეთილი“ — ყველაფერი ეს ჩვენი, ადამიანების გამოგონილია
და თავისთავად არაფერი მშვენიერი, არც არაფერი საზიზლა-
რი არ არსებობს; შინაარსს, ღირებულებას, თვისებებს, სა-
ხეებს და მიზნებს ცხოვრებას აძლევს მხოლოდ ადამიანი და
მისი ორგანიულ-ფსიქიური ჩვეულება.



ეგოიზმი და კოსმიზმი სიყვარულში.

სიყვარული და ეგოიზმი ერთად შეუძლებელია-ო იტყვის
comme il faut-ს ხალხი, მესჩანიზმით დამძიმებული და სა-
ლონურ ბავარდაეს შეჩვეული.

ჩენ ვამბობთ: სიყვარული ყოველთვის ეგოისტურია: აბა
რომელ ქალს შეუძლია სიყვარულისივის. თავის სიყვარული
დათმოს? თუ ქალს მართლა უყვარს კაცი არა თავისთვის,
რატომ ა. აძლევს კაცს ნებას სხვა ქალთან ისიამოვნოს? თუ
მას კაცი უყვარს არა როგორც იარაღი თავის სიამოვნები-
სათვის, არამედ გარეშე თავის სიამოვნებისა, უნდა უყვარდეს
ისიც, ვინც მის ქმარს ასიანოვნებს: ცხადია, ვერც ერთი
ტანსალი ქალი ვერ მოითმენს იმას, რომ მისთვის საყვარელი
კაცი სხვა ქალს კოცნიდეს მის თვალშინ:

რატომ? თუ მე ვინმე მიყვარს, რატომ არ მინდა, რომ
შას სხვამ ასიამოვნოს? ჩემს პატარა ბავშს ერთხელ გზაზე ძა-
ლიან მოსწყურდა, ვიღაც მგზავრმა მას წყალი დაალევინა;
მე ეს ისე მესიამოვნა, რომ დღესაც, როდესაც მომაგონდება
სახე იმ ადამიანის, რომელმაც ჩემს ბავშს წყალი დაალევინა,
სიყვარულისა და სათნოების გრძნობა დამივლის ძარღვებს.
ნასერეტებში.

რატომ ქალს არ უყვარს სხვა ქალი, რომელიც მის
ქმარს კოცნის, ასიამოვნებს? ცხადია ყოველგვარი სიყვარუ-
ლი თვითშეყვარებაა: როდესაც სოფიო ივანეს ელაპარაკება—
მე შენ მიყვარხარო, სიცრუეს ამბობს; სოფიოს უყვარს მხო-
ლოდ თავის დავი და თავის სიამოვნება.

სიყვარულის შიზნი ეგოისტურია, მაგრამ პროცესი კი
პანიკური და კოსმიური.

შშობლიური და ოჯახურ-ნათესაური სიყვარული სექსი-
ური სიყვარულისაგან წარმოიშვა; არსებობს მხოლოდ ერთად
ერთი ფორმა სიყვარულისა — სექსიური სიყვარული: დედა
შვალს რომ გალერსება ჰიზიოლოგიურად სქესუალობაში
ღნება და სულიერად ითალხება სექსიურ-ეროტიული რომან-
ტიზმით.

ქალიშვილი რომ თხოვდება, დედას უხარია იმიტომ,
რომ ქალიშვილის „ბედნიერებას“ თვითონ განიცდის თავის
წარსულის მოგონებასა და წარმოსახვაში.

ჩვენი თვალები როდესაც ლამაზ სახეს ხედავენ, ნერვები
სექსიური ტრფიალებით ითენთებიან; სილამაზისადმი ტრფია-
ლება ადამიანში მით უფრო მძლავრია, რაც უფრო ძლიერია
სქესობრივი მოთხოვნილება.

ლამაზი ქალის დანახვაზე ჩვენი სული კოსმიურად იშ-
ლება: მაშინათვე გვებადება სურვილი უსაზღრო სიყვარული-
სა და კეთილმოქმედების; ორგანიულ ხვეულებში მაშინათვე
აიშლებიან ტრფიალებანი და ნდომანი: გიყვარს არა მარტო
ქალი, რომელსაც ხედავ, არამედ ყველაფერი გარშემო, გიყ-
ვარს ტანისამოსი, რომელიც მას აცვია, გრევარს ქვაფენილი,
რომელზედაც ქალი დგას, გიყვარს ახლო მახლო იდამიანები,
მცენარეები, ბალახი, სახლები და მათი სახურავები, გიყვარს ამ
ღრის მთელი ქვეყანა, მთელი სამყარო ზესკნელით, ქვესკნე-
ლით და გარესკნელით.

სიყვარული ჩვენი სულის კოსმიზმის უდიდესი და უმშვე-
ნიერესი ფორმაა; თვით კოსმიზმი როგორც ფორმა ორგა-
ნიულ-ეროტიული ტრფიალების ერთგვარი ემანაციაა სექსუ-
ალობისა.

დიდი პოეტები შეცვარებულებს მთვარესა და პლ ანეტებ-
თან ალაპარაკებენ, ბალახებსა და მცენარეებსა სულიერად
უკავშირებენ; გოეთე, შილერი, შელლი, რუსთაველი, ბარა-
თაშვილი, ბესიკი, ვაჟა-ფშაველა სიყვარულს კოსმიზმის შეგრძ-
ნობას უთანაბრებენ; რუსთაველი შეცვარებულ ავთანდილს

ამდერებს მულდაზანზარის ველზე და ამ სიმღერით ჰაერი რიტმი-
ულად ატალდება, აირხევა; ბალახები და პირუტყვები ეროტიუ-
ლად აცახცახდებიან; თითქმ ვნების ამყოლეობაში აინძრევა
მთელი სამყარო და ჩვენი სულის ოცნება თავის მოჩვენებათა
გრძელი რიგით ფარავს აქმოთებულსა და ჭუჭყიან სინამდვი-
ლეს; შეყვარებულს ავიწყდება; რომ არსებობს ქვეყნად ორ-
განიული ნაკლი და უსრულობა; ჭუჭყი და წირპლი, ავიწ-
ყდება, რომ ქალს ხშირად გვირაბიული სუნი აქვს, ავიწყდება
რომ, ის, რასაც ის ღვთაებას ეძახის, არის მხოლოდ ფიზიო-
ლოგიური მასა.



კეშარიტების პრობლემა და ლოგიკა

შეუთანხმე აზრები ერთმანეთს, —ლაპარაკობლენ ელლონები; შეუთანხმე აზრები ავტორიტეტს, —ამბობდენ საშუალო საუკუნოებში; შეუთანხმე აზრები ფაქტებს —ამბობენ დღეს; ჰეგელი ფაქტებს ომს უცხადებდა: ფაქტები თუ ჩემს თეორიას არ ემარჩილებიან, მით უარესი ფაქტებიათვის, —ამბობდა ჰეგელი.

მაგრამ, დრო რომანტიული იდეოლოგიის შეიცვალა და ფაქტებს დღეს უფრო ენდობიან, ვიდრე რაციონალისტურ ტრიადებს, სხოლიერსა და გააზრებულ ზეიადობას. დღეს ფაქტების ინტერპრეტაცია საჭირო, იმიტომ, რომ ფაქტების ტრიალსა და ქარიშხალში ვიხრიობთ.

ჩვენი აზრი შემთხვევითი ფაქტის კაუზალური ასახვაა და ჩვენი მსჯელობა ასახული ფაქტების სისტემა. სისტემა მწყობრი და სახიერი: იმ დროს, რადესაც ფაქტები სამყაროში, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ერთმანეთთან ჩხუბობენ, ჩვენს პატარა თავის ქალაში იდეები და სახეები ფაქტებისა ერთმანეთთან მეგობრულად ბინადრობენ.

ფაქტის ასახვას ცნებას ეძახიან და ყოველი ცნება ასახული ნიშნებისა და თვისებათა ერთგვარი კოეფიციენტია: ჩვეულება აგროვებს ფაქტის ასახულ თვისებებს და ერთ ცნებაში აყალიბებს; ცნება ფაქტის ცხადყოფა: თუ ცნება არ არის, არც ფაქტი არსებობს; თუ ცნება არის, ფაქტი ცხადყოფილია სიტყვით, სახელით; სიტყვა ერთგვარი სავიზიტო ბარათია ცნების, ერთგვარი აფიშაა, გამომსახველი ცნების გარემულობისა და ფაქტის მოცემულობის.

ჩვენ ვიცნობთ არა საგანს, არამედ სავნის თვისებებს; შემეცნება ასახულ თვისებათა სისტემაა: მაგიდა შავია, გრძე-

ლი, ფართე და იშონის ათ გირვანქას; რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმს, რომ რაღაცა ალიზიანებს ჩვენს მხედველობით ძარღვს და რაც ალიზიანებს, იმას სახელად დაარქვეს მაგიდა; შევეჩვიეთ ჩვენ ამ სიტყვას იმიტომ, რომ სანჯმდი ჩვენ ვიხ-მარდით მას, სხვებმა იხმარეს და ჩვენ ეს გვესმოდა; შემდეგ ჩვენ დავიწყეთ ხმარება ამ სიტყვის ასე, როგორც სხვები ხმა-რობდენ; მაგიდა იშონის ათ: გირვანქას — ეს ნიშნავს იმას, რომ მის ასაწევად საჭიროა ენერგია ნაკლება, ვიდრე თერთ-მეტ გირვანქიანს ესაჭიროება და მეტი, ვიდრე ცხრა გირვან-ქიანს... ესე იგი საგანი იწვევს ჩვენი კუნთების ერთგვარ გა-ლიზიანებას; ამნაირად თვისებათა ასახვა შთაბეჭდილებათა სის-ტემაა; ჩვენი წარმოდგენა საგანზე მეტს არაფერს შეიცავს, გარდა შთაბეჭდილებებისა და როდესაც ჩვენ საგნის განმარ-ტებას ვიძლევით, მხოლოდ ვალაგებთ ჩვეულების მიხედვით შეგრძნობათა რიგსა და რაოდენობას; საგნის შინაგანი, თვი-თური რაობა არის შეუცნობელი (კანტის ნოუმენი) მიზეზი ჩვენი ნერვიულ-ფსიქიურ გალიზიანებათა. შთაბეჭდილებათა ფორმას აყალიბებს ორგანოტროპიზმი: ავილოთ წინადადება: „კეთილშობილი ადამიანი ლირსია პატივისცემის“; ან ალიზი ამ წინადადების შემდეგს გვიჩვენებს: სიტყვა კეთილშობილი ნიშნავს ყოველდღიურ ჩვეულებაში ვანმტკიცებულ დადებით ცნებას; ცნებას თრგანოტროპიულს, ჯგუფურს, ტერიტორიულს, კუთხურს; თავის თავად ეს ცნება ანალიტიურია და თრგანო-ტროპიული; ჩვენ მაინც უმატებთ სიტყვას — „ლირსია“; რო-მელიც სახავს კეთილშობილებასთან ჩვენს დამოკიდებულებას; სიტყვა „პატივისცემა“ ნიშნავს კეთილშობილების ლირებუ-ლების გადაკავშირებას სხვებთან, რომელთა პატივისცემა ონ-თოლოგიურ ჩვეულებათა ასახვაა.

გავარკვიოთ გეომეტრიული ცნება: „სამჟაფრედი“; სამ-ჟუთხედის განმარტებაში ისე, როგორც ყოველ განმარტება-ში ორი მხარეა: ერთი ლაპარაკობს; რომ არსებობს წუთი-სოფლად ფიგურა, რომელიც შემოფარგლულია სამი სწორი:

წირით; მეორე ნაწილი: — ასეთ ფიგურას ეძახიან სამჯეობედი. პირველი არის საფუძველი ონთოლოგიურად ახატული, ის-ტორიულ-ტერიტორიულ ჩვეულებებით განმტკიცებული, ზღანეტარული (შეიძლება მარიხზე სხვანაირი ასახვა იყოს სამკუთხედის); მეორე არის თვით განმარტება ონთოლოგიურად ასახულ ჩვეულებათა; პირველი შეიძლება იყოს კეშმარიტება, ან სიცრუე; მეორე არც კეშმარიტებაა და არც სიცრუე; პირველი არის საფუძველი ყოველგვარ თეორიებათა და მთაზრებათა სამკუთხედის შესახებ; მეორე არის რეზიუმე ფაქტებისა ერთ სიტყვაში — სამკუთხედში.. ნირველი ჭეშმარიტებაა იმდენად, რამდენად მეორე მოხსენება და თქმაა; ნირველი ცოდნაა იმდენად, რამდენად მეორე ენის შეტყველების საშუალებაა; პირველი გამოსახავს დამოკიდებულებას სამ სწორ წირთა შორის; მეორე ამ დამოკიდებულების სახელწოდებაა.

ბუნება ჩვენი შემეცნების ორ მხარეს შეიცავს: მას ერთი მხრით აქვს საქმე სიტყვებთან, მეორე მხრით მოვლენებთან, ფაქტებთან; სიტყვებსა და ფაქტებს ერთოებს ერთმანეთთან ჩვეულება წუთისოფლური, ჩვენი განცდით დაწმენდილი და შეფარდებული შთაბეჭდილებებით გაღიზიანებულ სულიერ მდგომარეობასთან.

ბოლოს და ბოლოს შემეცნების პროცესი არამაც თუ ფირქიურია, არამედ ნეკრიზიულიც: ჩვენ შეგვაქვს ჩვენი ნერვიულ-ფსიქიური ინდივიდუალობის დაკვირვებულობაში და სული ჩვენი დაუსრულებლობის დენაში იგივეა, რაც თერმოშეტრი ქვაბული: ჩვენ ვიძლევით ყოვლობის მოქლენების განმარტებას ჩვენი შთაბეჭდილებებით და ნერვიულ-ფსიქიური შეცნაურებებით ისე, როგორც ქვაბული რყევადი მდგომარეობის თანდათანობით ცვლილებების ასახვას იძლევა შიგ მოთავსებული თერმომეტრი.

საგანი წუთისოფლად მხოლოდ იმ წუთიდან არსებობს, რა წუთს იგი ცნებაში აისახება: კეშმარიტება თავის თავად არსებობს იმდენად, რამდენადაც კეშმარიტება ჩვენთვის (*). არ-

*) შ. ნეცუბიძეს წიგნი „ლექტოლოგიის საფუძვლები“, „კეშმარიტების პრობლემა“ (თბილისი, 1922 წ. წიგნი I.), სწორედ ამ საკითხს ეხება. შ. ნეცუბიძე იძლევა კეშმარიტების პრობლემის ორგინალურ დასაბუთებას. ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში „ალექთოლოგიის საფუძვლები“ საპატიო ადგილს დაიჭირს,

სებობს; ჩვენ გადაგვაქვს ჩვენი მეობიდან უნივერსალობაში სახედბი; ჩვენს ორგანიულ-ფსოქიურ ჩვეულებაში იჩალება ტრანსცენდენტალური გონება და ფაქტის ასახულ თვისებათა აყვალადებაში სული ჩვენი ქსოვს ონთოლოგიური რეალიზმის ფორმებს; ჩვენ შევიცნობთ ფაქტის რეალობაში მხოლოდ იმ თვისებებს, რომელთაც ჩვენ მივათვისებთ ფაქტს ჩვენი სურვილებისა და ორგნიულ-ტექნიკამენტულ დახრილობის გავლენით. საგანთა და მოვლენათა დენას ჩვენ შევიცნობთ იმით, რომ ვეძებთ კანონს. გამომსახველის სტატიურობისას; ჩვენ შეცდლობთ ფაქტი ფაქტს გადავაბათ; შემდეგ ხელოვნურად შევათმაშოთ ფაქტები და ცდების საშუალებით ფორმულები გამოვიყვანოთ; მაგრამ ფაქტი, რომელსაც მე შევიცნობ არის ხელოვნურად ამოგლეჯილი ყოვლობის სტიქიური დენიდან: მე რომ სხვანაირი გრძნობა მქონდეს, ან სხვანაირი ტრანსცენდენტალური პირობა ფაქტის შეცნობის, თვით ფაქტი სხვა სახეს მიიღებდა; ცხადია აქიდან. კეშმარიტება თავის თავად არ არსებობს, რადგან შემთხვევასთი და დეფექტური სტრუქტურა შეცნობის შემთხვევით ფაქტს იჩინებს: ვინ იცის ბუნებაში რამდენი პასკალისა და ბოლი-მარიოტის კანონისებური ფაქტები აღმოჩნდებოდა (შეიძლება კიდევ უკეთესი), ჩვენ რომ უკეთესად მოწყობილი გრძნობათა ორგანოები გვქონდეს. ჩვენი შემეცნება წააგავს ფარგლეს, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს, შეიძლება შევიწროვდეს; წრეწირი, რომელსაც ჩვენი შემეცნება ხაზავს არა ბუნებრივია, არამედ ხელოვნური.

ჩვენ რომ ჩვენი თვალებით ან სმენით ფაქტს შევიცნობთ, განა ის კეშმარიტი შეცნობა? ჩვენ რომ მიკროსკოპში ვიყურებით და გადიდებულ მოვლენებს ვხედავთ, ვინ არის იმის თავმდები, რომ ჩვენი თვალები და გამაღილებელი შუშა არ გვატყუებს? — ვხედავთ რაღაცებს, შევიცნობთ, სახელებს დავარქევთ ისე, როგორც ჩვენ გვეხერხება, როგორც შეგვიძლია, როგორც მოვისურვებთ და შემდეგ ვლაპარაკობთ ეს კეშმარიტებათ: შეიძლება კაცი დაეთანხმოს დროების ემაზრს, რომ საგანი არსებობს მანამდი, სანამდი ჩვენ შევიც-

ნობთ, შავრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენ მიერ შეცნობილი საგანი ისეთია; როგორც ჩვენ შევიცნობთ.

დღემდი ფიზიკა გვასწავლიდა მოლეკულები, ატომებისა-გან შედგებაო; დღეს ფიზიკოსები ამტკრებენ მოლეკულები და თვით ატომები ელვიური იონებისაგან შედგებაო. ჩვენ როდესაც ვლაპარაკობდით: მოლეკულები მხოლოდ ატომებისაგან შედგებაო, განა ეს კეშმარიტება იყო? ესლა ლაპარაკობენ; ატომები ელექტრო-იონებისაგან შედგებაო: ვინ იტყვის, არის თუ არა ეს დებულება კეშმარიტება თავისთავად?

ავსტრალიაში ადგილობრივ მცხოვრებებს თურმე ასე-თი წარმოდგენა აქვთ იღამიანის მოვალეობაზე: ვინმეს რომ ნათესავი მოუკვდება, ვალდებულია მეზობელ ტომს მოუკლას სამაგიერო ერთი წევრი, რასგან თავისს ნათესავის სიკვდილს ავსტრალიელი აბრალებს მეზობელ ტომს, რომელმაც მას გამოუგზავნა ბორიტი სული:

ერთხელ თურმე ექიმ ლოდორს, რომელიც იყო მმართველი ავსტრალიის ერთ-ერთ პროვინციის, გამოეცხადა ერთი ავსტრალიელი, რომელსაც გარდაეცვალა ცალი; ავსტრალიელმა თხოვა ლოდორს: გამიშვი და მეზობელ ტომს მოუკლავ სამაგიეროსო ექიმმა ლოდორმა დაპირდა, რომ თუ კი კიდევ ამისთანას ფქმას გაბედავდა ავსტრალიელი, იგრ მას ციხეში ჩაგდებდა. ავსტრალიელი დაცვადმყოფდა, მას აწუხებდა სინიდისი და თავის მოვალეობის შეუსრულებლობა: ცოლის სული მას ხშირად ეცხადებოდა და, როგორც ჰამლეტს, მოს-ვენებას არ იძლევდა.

ერთხელ წამოვარდა თურმე ლოგინიდან ავადმყოფი ავსტ-რალიელი და გაიქცა: რამოდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა და გამოუცხადა ექიმ ლოდორს: რაც გინდა მიქენი, შევას-რულე ჩემი ჭეშმარიტი მოვალეობა, მეზობელს ცოლი მოუკა-ლია. ლოდორმა შეიპყრო ავსტრალიელი და ციხეში გაგ-ზენა.

საინტერისოა: ალეთოლოგის თვალთახედვით ვისკენ არის აბსოლუტური ჭეშმარიტება — ინგლისელისა თუ ავსტრალიელის?

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ორი სხვა და სხვა სახის კულტურულ-ტრაპიული ტრადიცია აქ ერთმანეთს, შეხვდა და პრობლემა ჭეშმარიტების — პრობლემა ლოგიური გადაიქცა ტერიტორიულ-ტრაპიულ პრობლემად.

ლოგიკა მხოლოდ ჩვეულებით აყოვლადებული ინტელექტუალური ზოგადობაა — ზოგადობა კუთხური, ჯგუფური, ხშირად ტემპერამენტული ხასიათის, და როგორც ასეთი ყალბი მარადობისა და უნივერსალობის თვალთახედვით.

ყოვლობის მიმდინარეობა ალოგიურია და რაც უფრო გაყვება ადამიანი ლოგიკას, მით უფრო უბედური იქნება იგი წუთისოფლად.

ჭეშმარიტება როგორც პრობლემა ლოგიკის საგანია; ლოგიკის დებულებები საფუძველია ჭეშმარიტების; შემცინების დროს ჩვენ ვსარგებლობთ იმით, რაც გვაქვს და რა-საც ჩვეულებრივათ ვენდობით: მენ დებირანი; რენუვი და ბოლცანო. სინამდვილის ოდენობის ჩვენი აზრის გარემოვე-ლობას უფარდებენ და, როგორც პარმენილი, საგნისა და შეცნობის შორის იგივეობას ხედავენ. ფსიქოლოგიურად ბუნებრივია. როდესაც ფილოსოფოსები რაციონალისტები საგანს შეცნობას ფურდებენ და სანამდი საგანს შეიცნობენ, შეაქვთ შეცნობის პროცესში თავიანთი აპრიორიზმი და პრედიკატები: კანტმა ადრე შეამჩნია ეს, მაგრამ მაინც აპრიორიზმა და ტრანსცენდენტალობას მიენდო, როგორც აუცილებელ პირობებს შემცენებისას.

ვაგრამ, როს წარმოადგენს ეს აუცილებელი პირობები და არსებობს. თუ არა თავისთვალ ჭეშმარიტება, რომელსაც ჩვენ ვიჭერთ არსებობის ოკეანეში: ამ აუცილებელი პირობებით?

როგორც დავინახეთ, ფაქტისა და შემცენების შორის დამოკიდებულება ყოველთვის შემთხვევისა ხასიათისაა. შე-

შეცნების უდიადესი მომენტები — განყენება, შედარება, აყველადება ბოლოს და ბოლოს ერთგვარი ფსიქიური combination-isn-ებია და შედეგი ამ კომბინეზონების არის ცნება, რომელიც ერთგვარ გაზრებულ სინტეზს წარმოადგენს — სინტეზს შეგრძნობილ თვისებათა.

მაგრამ, თვისებათა შეგრძნობა და შეცნობა, როგორც აპერცეპციის პროცესი გვიჩვენებს, ფსიქოლოგისტურია და არა ლიგისტური. ყოველ ადამიანს პროფესიისა და სულიერი წვრთნის ფსიქიური ატრიბუტები შეაქვს. საგნის შეცნობის პროცესში: ფანჯარს მოწაფე და ვაჭარი სხვა და სხვა სახით შეიცნობენ; ძროხის კუნთებს მხატვარი და ყასაბი სხვა და სხვა თვალთახედვით უყურებენ: აპრიორული და ტრანსცენდენტალური რაც არის შემეცნების პროცესში, ყველაფერი შემოტანილია პროფესიული წინდახრილობით და ონთოლოგიურ ჩვეულებათა ასახვით. დარჩა აპერცეპციის ინდუქტიური ელემენტი — თვისებების რაობათა შეცნაურება და ამ ელემენტის განზოგადება ხან განყენების სახით, ხან შედარებისა და ხან აყველადების.

მაგრამ განყენება, შედარება, აყველადება, სწვრივადობა და სხვა მთავარი მომენტები შემეცნებისა აზროვნების ჩვეულების სტატიკა და როგორც ახეთები ცხადყოფენ საგნის თვისებათა სისტემას და არა საგნისა და საგნის რაობას.

საგნის თვისებათა სისტემაში ჰეშმარიტების გამოსახვა სრულებით არ ნიშნავს საგნის რაობის შეცნობას; როგორც ცარიელი ბოთლებისა და კოლოფების ჩამოწყობა თაროებზე: სავაჭრო სახლის გახსნას არ ნიშნავს.

ლოგიკის ძირითადი პრინციპები ფსიქიური ჩვეულებითა განმტკიცებული; განუწყვეტილობა და ხშირი განმეორება ფსიქიური ფაქტის აღლევს საფუძველს აზროვნებას ისე, როგორც ფიზიკურ მოძრაობათა ხშირი განმეორება აღლევს საშვალებას მარჯვე მოძრაობისას კუნიებს.

ფსიქოლოგია ორგანოტროპიულია და ლოგიკა მხოლოდ ერთგვარი სტატიურ-გრაფიული განყოფილება ფსიქოლო-

გის; რუსეთში ველენსკი და ჩვენში ბ. ნუცუბიძე წინააღმდეგ ამტკიცებენ:^{۲۰}) მათი და მათა წინაპრების აზრით ლოგიკა სრულებით დამოუკიდებელია ფსიქოლოგიისაგან, პირიქით, ფსიქოლოგიის ეძლევა ლირებულება იმიტომ, რომ არსებობს ლოგიკის კანონები...

ჩვენთვის ლოგიკა მხოლოდ ერთგვა რი დაკვირვების სისტემა, როგორც გრამატიკა: ლოგიკა აკვირდება შემეცნების ბუნებას, გრამატიკა კი ენის ბუნებას; ლოგიკის ცოდნა აღამიანს არ შველის შეცდომებში, არც გრამატიკა შველის მანც და მაინც ენის შესწავლაში: ვისაც უნდა შეისწავლოს ქართული ენა და ლიტერატურა, უნდა შეისწავლოს რუსთაველი; თმოგველი, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, და არა ხუნდაძის გრამატიკა.

ლოგიკა მხოლოდ სტატისტიკა აზროვნების ბუნებაში; აზროვნების ფაქტები კი ალოგიურ ყოვლობას უკავშირდებიან:

დაგიგა მისადება რთგორც მეტოდი, რთგორც სერიი და არა რთგორც ნორმა, არა რთგორც საზომი.

რაც უფრო უმეშვეოდ და ლირიული განცდებით შევდივართ ყოვლობაში, რაც უფრო შორს ვიხედებით კეთილშობილი ზრახვებით და ინტიუიციით; რაც უფრო კოსმიური და მეტაონთოლოგიურია სული ჩვენი, მით უფრო ვამჩნევთ, რომ ლოგიკა როგორც ნორმა ყალბია და კაციბრიობის კულტურის ერთგვარ დეფექტს წარმოადგენს.

საშუალო საუკუნოების ინკვიზიციებსა და ინტელექტუალურ კარხაკეტილობას ლოგიკა ხელს უწყობდა; ყოველგვარ ჯგუფურსა და კუთხურ განაპირებას ლოგიკით ასაბუთებდნ; ლოგიკამ აწამა ქრისტე, სოკრატე, ბრუნო, გალილე; ლოგიკით ხელმძღვანელობდნ; დიპლომატიური შანტაჟებისა და აფერების დროს.

^{۲۰}) ჩვენ აյ ვეხებით კეშარიტების პრობლემას იძლენად, რამდენად ჩვენ გვესაკიროვება უარყოფა ამ პრობლემის ჩვენი სოულმხედველობის გამოსარკვევად. შ. ნუცუბიძეს ფილოსოფიურ დებულებებს ჩვენ ცალკა გავარჩევთ..

ლოგიյა უარყოფს გენიოსურდ კეთილშობილებისა და კოსმიური სევდის გაშოთობას. ლოგიკა სულისა და ნების-ყოფის ზორკილია: ლოგიკის დებულებები მეშჩანური იმის
il faut-ს მარტვლებია.

ლოგიკას საუკეთესო ფორმა არის სოფიზმი—ფორმა, რომელიც უარყოფს ლოგიკას და კარიკატურულად ეთანაბრება ყოვლობის ორაციონალობას.



ი დ ე ა ლ ე ბ ი ს ე ვ ა ლ ი უ ც ი ა

კულტურის ისტორიაში ხშირად არის მომენტები მიმღინარეობათა გაერთიანების, სინტეზის: ერთმანეთს საუკუნეთა განმავლობაში დაშორებული ელემენტები სხვა და სხვა მიზეზის გამო ერთდებიან, მთლიან სახეს იღებენ,

აგრეთვე არის მომენტები გაყრისა და განაპირების: ელემენტები, რომელნიც წინად მთლიან ერთეულში იყვნენ მოთავსებულნი, ერთმანეთს შორიდებიან და სხვა და სხვა გზით იწყებენ „ევოლუციას“, ხეტიალს.

მომენტი სინტეზის „პროგრესიული“ მომენტია ისტორიაში; მომენტი გაყრისა და დანაწილების „რეგრესის“ მაჩვენებელია.

ძველი პოლიციურ-მონარქიული სახელმწიფოები—ბაბილონი, ასურეთი, სპარსეთი დაიყრენ მაკედონელებმა: კულტურა ამ სახელმწიფოების, დათანწყობებული ელლინიზმით, შევიდა ხმელთა შუა ზღვის ცივილიზაციაში, რომელშიაც დროთა ვითარებაში ჩაისახა ქრისტიანული მოძღვრების მაგარი ორგანიზაციები.

ანტიური ცივილიზაცია დებულობს უნივერსალურ ხასიათს: ფსიქოლოგიურ გაშლილობისა და კოსმიზმს მატერიულ ფორმას აძლევს ცეზარების მსოფლიო ხასიათის გაქანება; მაგრამ, საშუალო საუკუნეები ფეოდალური განწყალებით არღვევენ მთლიან კულტურულ-ცივილიზაციურ მიმდინარეობას და რელიგიური პერსექტივების პაერეთი. ისტორიულ-ჩასიულ ტემპერამენტის მიხედვით კაცობრიობის კულტურის: მთლიან მიმდიმარეობას ორად ყოფს:

ერთი მიმართულება იღებს ბიძანტიურ-აღმოსავლეთურ სახეს; მეორე—რომანიურ-გერმანულს, დასავლეთურს.

ბიძანტიურ-აღმოსავლეთური კულტურა ცუდ პირობებში ვითარდება, ბიძანტიას ჯერ ჯვაროსანთა ლაშქრები იკავებენ, შემდეგ თურქები, ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე სლავური სახელმწიფოები ორიგინალობას ვერ იჩენენ; რუსეთს მოძრაობის საშვალებას არ აძლევენ მონგოლები ორ ნახევარი საუკუნის განმავლობაში; საქართველოს სისტემატიურად აოხრებენ ისევ მონგოლები და სპარსელები.

რომანო-გერმანული ცივილიზაცია გაცილებით უკეთეს პირობებში ვითარდება: საქართველო, რუსეთი და სხვა კულტურული სახელმწიფოები იფარავენ საუკუნეთა განმავლობაში ევროპას აღმოსავლეთის უზრდოებისაგან: ხალხთა დიდი გადასახლების შემდეგ ევროპა დასვენებულია; მან არ იკის ვინ არიან ჯელალ-ედინები, ქაიხოსროები, ჩინგის-ხანები, ბატიები და სხვა...

ევროპა არ სწყვეტს კავშირს საშუალო საუკუნოების განმავლობაში ანტიურ ქვეყნებთან, ძველი ცივილიზაციის სხივოსან წარმომადგენლებთან: პლატონი და არისტოტელი რსე-თივე ავტორიტეტები არიან ევროპისელებისათვის საშუალო საუკუნოებში, როგორც ქრისთეს მოციქულები და წინასწარმეტყველები.

მართალია ფანტიურ-რელიგიური გატაცება, პაპების მრუშობა და ბერების ორდენებს ლირწებრივობა კულტურული მუშაობის წესიერ მიმდინარეობას ხელს უშლიან, მაგრამ წყურვილი შემოქმედებისა და ჰეშმარიტების ხილვის, წყურვილი ცოდნისა და მშვენიერების ევროპისელს ისევ ელალინიზმისაკენ ეძახის: თვით კათოლიკური ეკლესია, მიუხედავად თავის სიმკაცრისა და ასკეტიზმის, საპატიო აღილს უთმობს წარმართულ ესთეტიკას; პარიზის ცნობილი ღვთის შობლის ტაძრის (Notre Dame de Paris) სახურავზე კათოლიკე მხატვარს გამოყავს საუცხოვო სიმბოლო სიშმაგისა და ჯიქურიანობას—Chimère. კულტი დიონისისა დიდი ხალისთ სრულდება დღემდი ევროპის დიდი ქალაქების ქუჩებში ეგრედ წოდებული კარნავალის სახით.

საშუალო საუკუნოების იდეოლოგი, ქრისტიანი, მორწმუნე კათოლიკე დანტე ალეგიერი ანტიური მწერლების ჯოვანეთში მოთავსებას ვერ ბედის და რაღაც უმერი; პლატონი, არისტოტელი, ციცერონი მონათლული არ იყვნენ, დანტე იძულებულია დატოვოს ისინი სამოთხის გარეთ, სადმე ჯოვანეთის მახლობლად, მაგრამ იქ, სადაც ტანჯვა არ არის.

ასეთი განსაკუთრებული პატივის ცემა ანტიური კულტურის ახასიათებს მთელს საშუალო საუკუნოებს; ტერტიულიანი ლაპარაკობს: ქრისტიანული ფილოსოფია მხოლოდ კეთილშობილი დაგვიზგვინებაა წარმართული კულტურის კეთილშობილი ზრახვებისათ; მინუცი სულის უკვდაებას ამტკიცებს. სხვათა შორის პლატონისა და პითაგორის სიტყვებით; წმინდა ამბროსი პატივს სცემს ანტიურ ქვეყანას და რომის რესპუბლიკის ეპოქას. მშვენიერ დროს ეძახის (Gaston Boissier. La fin du paganisme, 1 254, 279, 339).

რენესანსის ეპოქა ამის შემდეგ ფსიქოლოგიურად გასაგებია: კლასიკური ცივილიზაციის გაკვლავყოფებას ნიატაგი ქონიდა თვით საშუალო საუკუნოებშიაც; ახალი საუკუნოების სოც.-ისტორიული და გეოგრაფიული კუსმიზმი მთლიანობისა და ბუნებრივობის ნატვრაში უფრო მძლავრად იხრება თავისუფლებისა და ესთეტიკური იდეალებისაკენ.

კლასიკური ლიტერატურა ჰუმანისტების ხელში და ბიბლიია პროტესტანტების უბეში—ორი დიდი ძალაა, რომელნიც ებრძვიან მონასტრული ტრადიციების სიმურალეს, სქოლის-ტიურ უსულობებას. ჰუმანისტების იდეალია მთლიანი პიროვნება, ადამიანობა სრული, დამთავრებული; პროტესტანტები და ოჯორმატორები ქრისტიანული მიმღვრების ეკლესიური ფორმებისა და ორგანიზაციების განახლებას აპირებენ კულტურის საერთო მიმღინარეობასთან. შეფარდებით და საზოგადოებრივი სულიერი განწყობილების ალლოს აღებით.

რენესანსის იყო რენესანსის ფსიქოლოგიური გაგრძელება რელიგიის სფეროში და გამოსახავდა ახალი საუკუნოების

ახალს მორალს, არღვევდა კათოლიკურ-ფეოდალურ სოფლი-
მხელველობას და იძლეოდა პეტსპექტივებს, რომელნიც აკმა-
ყოფილებდენ იმ დროს რელიგიურად მოახსე წარებს.

კაცობრიობა დაქანცული აღმოსაჟლეთში ლაშქრობით,
დეკოდალური განწვალებით, მტკიცე სახელმწიფოებრივი ორ-
განაზაციების უქონლობით, გრძნობს მოთხოვნილებას სული-
ერი განახლებისა და ახალი ფილოსოფიურ-რელიგიური პრინ-
ციპების ძიების.

გეოგრაფიული და კოსმიური სოფლმხედველობის გაჯარ-
თოება, ამერიკის აღმოჩენა, ოკეანების გაცნობა, დასაბეჭდი
მანქანების გამოგონება, ბუნების მეტყველებისა და მორალის
სფეროში ახალი კვლევა-ძიებანი კათოლიკური მთლიანი სოფლ-
მხელველობის მაგიერ ნიადაგს უმზადებენ ადამიანის ქოტიურ
სულიერ დრამას, მონტენის მწარე თქმას: que sais-je?

რომის პაპების თეოკრატიული მმართველობის იდეალი
ფეოდალიზმთან ერთად დაიღუპა და ვერც ანსელმი კენტერ-
ბერიელის Credo ანt intelligam, ვერც თომა აქვინელის
პათოსიური მეტყველება, ვერც დაგვიანებული ტრილენტის
კონგრესი ვერ ახერხებენ საშუალო საუკუნოების სოფლმხედ-
ველობის ჩესტავრაციას.

თვით იეზუიტიზმი, მისი პედაგოგიური და დიპლომატი-
ური ცდები, მისი პოლიტიკურ-რელიგიური ზრახვები მხო-
ლოდ ამწვავებენ არსებობის ტრაგედიის გრძნობას და ყო-
ველგვარი უკუნედვა, ყოველგვარი სურვალი წარსულის დაბ-
რუნების რწვევს წინააღმდეგობას აზროვნებისა და გრძნობის
სფეროში.

ლიუტერის თეზისებს, რომელნიც ვიტენბერგის უნივერ-
სიტეტის კარებზე იყო აკრული, ფსიქოლოგიურად აყოვლა
დებს. რენესანსის ხელოვნება ვნებიანობისა და წარმართული-
გრძნობების ამშლელი. ტიციანის ვენერა თავისი ლალად აბორ-
ცვილი ძუძუებით ისე ებრძოდა რომის პაპებსა და ასკეტიზმს
როგორც რუსსთ და ვოლტერი კათოლიკობას და კლერიკა-
ლობას.

ირლვევა სახოგადოთ კვიეთიური და იდილიური სული-ერი წყობა და ადამიანი გრძნობს თავის უსუსურობას, უმწე-ობას შოვლენათა და საგანთა უსაზღვრო ღერაში.

სოციალური ინტერესების წინააღმდეგობანი, ყოველ-დღიური ცხოვრების უაზროვ ატორტმანებული და მაუში მოძრაობა, დიადი პრინციპების და ფიქჩების უშედეგოდ და-ლუპვა, ქეშმარიტებისა და კეთილშობილების დამარცხება— ყველაფერი ეს იწვევს პესიმისტურაზრებსა და სევდას.

დაცვეთილი ფრაზა „მსაფლიო სევდა“ უფრო ორმა ხასიათისაა, ვიდრე სიცუვიერების ოფიციალური ისტორიკოსები ფიქრობენ: მანფრედისა და ფაუსტის წუხილი, ჰავლეტის ტრაგედია, ბარათაშვილისა და ლეოპარდის სასოჭარკვეთილე. გა კაცობრიობის უკეთილშობილებისა და უმშენენერესი გრძ-ნობის გამოსახულებაა.

საშუალო საუკუნოებში არ იყო ისე მწარე წინააღმდე-გობა იდეალისა და სინამდვილის შორის: ყოველგვარ საში-ნელებისა და საზიზლროების კათოლიკობა ხსნდიდა რელიგიური საჭიროებით: სისხლი, ღალატი, სიკვდილით დასჯა, წვალება — ყველაფერი მისალები იყო, თუ კი იმაებს მოითხოვდა ინ-ტერესი რელიგიისა და ეკლესიური ტრადიციების.

ახალს საუკუნოებში კათოლიკობას დაეკარგა მალა; ავ-ტორიტეტი ეკლესიისა დაეცა; ადამიანი შეტი ვერ არწმუ-ნების თავის თავს, რომ იდეალს შეუძლია გაამართოს სინამ-დვილე. იჭვები იპყრობს ადამიანს სულს და ნებისყოფას ინტე-ლექტი ახზიობს იმიტომ, რომ ადამიანი მთლად არ აქი-ს განთავისუფლებული ტრადიციისაგან: გრძნობა იმისა, რომ არსებობს უთანხმოება იდეალისა და სინამდვილის შორის; არის. მიზეზი ტანჯვისა და ცრემლების, რაღვან ადამიანს ა- ყოფნის გამბედაობა. ისტორიკულ-ტრადიციულ ღირებულ წა- თა სრული გადაფასების.

რენესანსი, რეფორმაცია, სატრანგეთის დიდი რევოლუ- ცუცია ინდივიდუალური მთლიანობისა და უფლებრიგობისათ-

ვის იბრძვიან, მაგრამ წარსულის კულტი, ისტორიულ-ლოგიური ტრაფარეტი ანაზევრებს ენერგიას ამ ბრძოლისას და მებრძოლი ივსება მხოლოდ იჭვებით.

ჰამლეტი არ იცის რა ქნას და ეძებს ფაქტებს, რომ დარწმუნდეს — სად არის კეშმარიტება; მაგრამ ლოგიურ ჰამლეტის ტრადიციული და ყალბია; ჰამლეტი კეთილშობილი რაინდია ძიებაში, მაგრამ პრინციპი ამ ძიების ყალბია.

ჰამლეტს ესაკიროება თავის სულის დასამშვიდებლად წერისაფლური უზნეობა გაამართლოს მორალური პრინციპების წინაშე, მხოლოდ ეს მორალური პრინციპები, რომლითაც ჰამლეტი ზომავს წუთისოფლურ უზნეობას, რეალობას, ორგანიულ მრჩევობას, ფიზიოლოგიურ წვას, რას წარმოადგენს თავისთვალი? არის თუ არა ღირებულება ტრანსცენდენტური, მარადიული იმ თვალთახედვაში, რომელსაც ჰამლეტი უცხადებს ნდობას, რომლითაც იგი ატაცებულია?

ჰამლეტს მამა მოუკლეს და სული მამის მოსვენებას არ აძლევს მას: შურისძიებისაკენ ეძახის. სული აქ არის სიმბოლო კაცობრიობის ისტორიული მორალის, სუსტებისა და უძლურების მორალის. რა უნდა სულს? — სულს აწუხებს, რომ ქალი, რომელიც მას კოცნიდა, მას ეკუთვნოდა მთელი ტანით, ეხლა სხვას ყავს; ეხლა ამ ქალს სხვა კოცნის, სხვა ეალერსება, ეხლა ეს ქალი სხვისია მთელი ტანით.

მაგრამ ეს ხომ ბუნების კანონია: ბრძოლა, სუსტის და-მარტება, ძლიერის გამარჯვება; სუსტებას ხვედრი ძლიერებს ეკუთვნის; მაგრამ მამა მოკლა და რძალი ცოლად წაიყვანა, მწვავი ფაქტია, მაგრამ ფაქტი მისაღები ბიოლოგიურ და, ფი-ზიოლოგიური თვალთახედვით.

სქესობრივი წვა, მზიდარულობა ვნებათა, ფიზიოლოგიურ-ნერვულობა, რეალობა, განცდა, ნდომა მიკარებისა, შე-ერთებისა — ეს ხომ საღის სხეულის თვისებებია; თვისებები მო-უშორებელი.

მხოლოდ ჰამლეტის მამის სული მსჯელობს როგორც ლუარსაბ თათქარიძე ძილში: თათქარიძეს ესიზმრება, ვითომ:

მოკვდა, საფლავში ჩაასვენეს და მარტოდ დარჩა, მას აწუ-
ხებს ის, რომ ცოლი მისი დარეჯანი არ ჩაყვა მას საფლავში.

ჰამლეტის მამის სულიც ეგრე სჯის: ტრადიციული მო-
რალი, ლოგიკა საუკუნეების მეშჩანური, ფილისტერული
ფსიქოლოგია მოდგმათა თხოულობენ, რომ ქმას არ ყავდეს
ცოლად ძმის ქვრივი, მაგრამ ამ ლოგიკას, ამ მორალს ავიწყ-
დება, რომ ქალისადმი ტრადიციება თავის თხვად არ ემორჩი-
ლება არც მორალს, არც ლოგიკას. საზოგადოთ ცხოვრებას
არ უდგება არც ჩვენი მორალი, არც ჩვენი ლოგიკა: ჩვენი
მორალი, მისი პრინციპები, ჩვენი ლოგიკა, მისი კაოგორიები
მხოლოდ ჩვენი წუთისოფლური ჩვეულებების შედეგია; გარე-
შე ჩვენი ჩვეულებათა ჩვენს იდეალებსა და პრინციპებს არა
იქს. არავითარი საფუძველი, არავითარი ორალობა; ფორმები
ჩვენი მორალისა და აზროვნების ისე იკეცება ჩვენს ნერვიულ-
ფიზიოლოგიურ თვისებებში, მათ ჩვეულებებში, როგორც ტა-
ნისამოსი, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვატარებთ და
რომელიც თანდათანობით ღებულობს ჩვენი ტანადობის გა-
მომსახველ ფორმას. რასაც სპეციერი შეფარდებულების კანონს
ეძახის, ის ბოლოს და ბოლოს ორგანიული ჩვეულების კა-
ნონია.

სული ჩვენი უნდა შეეჩიოს მწვერვალებისა და სიღრმე-
ების დანახვას, როგორც ჩვენი ტანი ეჩვევა შემოღომის
სუსტი ნოტიო ჰაერესთ: წუთისოფლური ლირებულებები—
ოჯახი, ნათესაობა, სიყვარული, იმედი, ალერსი, მეგობრობა—
—იდილიურ-კვიეთიური ცნებებია—ისტორიული. მეშჩანიზ-
მის გამომსახველი:

ტრაგედია ინდივიდუალიზმისა ბრლოს. და ბოლოს ჩვე-
ულებათა ტრაგედიაა და იმ დღიდან, რა დღეს აღამიანი
დარწმუნდება, რომ ბორბოტება და სიკეთე ისტორიაში ისეთივე
მოვლენებია, როგორც სითბო და სიცივე ფიზიკაში, შეგრძ-
ნობა ასებობის სიმწარისა ჩუქუში განახევრდება.

ქვეყნას არა ყავს მმართველი, რომელიც იდგეს ქვეყნის,
გარეშე და აწესრიგებდეს ქვეყნის მიმდინარეობას—საგანთა

და მოვლენათა დენას: ტრანსცენდენტური, გარესკნელური: მიზანი ცხოვრებას არა აქვს; ჩვენ ვერ ვამჩნევთ კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულ აზრს, მიზანს; ყოველი ერი, ყოველი საუკუნე, როგორც ლეიდენის კონდენსატორი, დატვირთული ბიოლოგიური ენერგიით, იცოდება და შემდეგ უმიზნოდ უსაზღვროებაში იყარება: იყო ბაბილონი, მას ჰქონდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ყავდა მმართველები, იქმნებოდა მეტყველება, ლიტერატურა, ინდუსტრია; სიყვარული, ვნებათა ლელვა, ილლიუზიები, გრძნობები ამშვენიერებდენ, ასახიერებლენ მიწა-წყალს, მინდონ-ველებს, ქალაქებსა და სოფლებს. იყო ეგვიპტე ფარაონებით, მოგვებით, სფინქსებით, წვერადებით, იდეალებით; ელლადა თავისი მშვენიერი ღმერთებით, ტრაგედიული მითებით და ლამაზი განცდებით; რომი ძლევა-მოსილი გაშლილობით და გამბედაობით, ორატორებით და იმპერატორებით იყვნენ და აღარ არაან? დარჩა არსებობისა და დოდების ნანგრევები მოწყენილი, დალრეჯილი; დარჩა ისტორიული თქმები, დებულებები სავარგონი გიმნაზიური მჭერმეტყველებისათვის; საუკუნოები გაივლიან და ამ თქმებსაც აღარ ეწება ადგილი; სხვა საქმეები, სხვა დროის ლეგენდები დაიკავებენ მათ ადგილს.

ვის ახსოვს დღეს რომელიმე ძველი ელილინის თავის: ქალა, სადაც მოთავსებული იყო ლამაზი იდეალები და ოცნებები საუკუნეთა წვიმები და გეოლოგიური ნაკვები ფარავენ ინდივიდუალურ ვინაობას, მის კეთილშობილ განცდება და მისტიურ შორეულობაში გააზრებულ ლანდებს. დაკარგული ვართ უფსკრულში; სადღაც, ვქანაობთ, ვირყევით, ვღელავთ, იმედებში ვართ და იმედებით ვიღუპებით, ვიგონებთ სქოლებსა და კათეგორიებს, ჩვენს ილლიუზიებში შექმნილ კერპებს ვემორიჩილებით, ვთვრებით იდეებით, როგორც ალქოგოლით და ბოლოს კერპებსაც და იდეებსაც ვიცვლით, როგორც ტანისამოსს.

ჩვენს „მე“-ს ჩვენვე ვკლავთ და სიახლის მაცდურ დატირებებში ვებრძვია დაშტკიცებულსა და მიღებულს...

კარგად ამბობს ღოსტოვესკის რასკოლნიკოვი: „მე ქალი არ მომიკლავს, მე პრინციპი მოვკალიო“¹. პრინციპი შეცნობილ ჩვეულებათა ლოგიური სინტეზია და როგორც ასეთი ინტელექტუალური კულტურის ნავთსაყუდელს წარიმოადგენს. მხოლოდ ამ მდორე ნავთსაყუდელში იხრჩობა ხალისი და სიცოცხლე ჩვენი ყოფისა; რაც უფრო მაღე გავა აქიდან მდელგარე ოკეანეში კაცობრიობის სული, რაც უფრო მივენდობით აფექტებს, სტიქიურ-კოსმიურ ყომარბაზობას, მით უფრო ლამაზი იქნება ჩვენი არსებობა წუთისოფლად.

ჰემლეტის ტრაგედია იმაშია, რომ ხომალდი მისი აზროვნების ისტორიულ-ლოგიური ტრადიციის მდორე ნავთსადგურში დგას; ჰემლეტი ვერ კლავს პრინციპს, მხოლოდ ეძებს და ემორჩილება, შურიანობს და ნაღვლიანობაში იხრჩობა, როგორც ილია ჭავჭავაძის მეურმე, რომელიც თავის უძლურების გამო შურით ხარებს უტყალაშუნებს შოლტებს.

ნაპოლეონსა და ცეზარს შეუძლიათ ათასების დახოცვა ბრძოლის ველზე ფეტიშებისა და ყალბი ღმერთების სახელით; რასკოლნიკოვსა და ჰემლეტს თითო აღამიანის მოკვლაც ეძნელებათ. ტრაგედია ინდივიდუალობის მხოლოდ ჩვეულების ტრაგედიაა და ვინ იცის, შეიძლება ყველაფერი, რითაც ჩვენ, წუთისოფლად თავს ვინუგეშებთ, მხოლოდ ლანდური ჩვენებაა ტკბილი ჩვეულების, მეშჩანური იდილიის.

ფილოსოფოსმა უუნდა პატარა ძალი შეაჩვია ჯოხზე ხტუნვას; როდესაც ფილოსოფოსი ძალს ეტყოდა: „პოპს!“, ძალი ჯოხს გადახტებოდა. ერთხელ ვუნდა ძალს უბრძანა უჯოხოთ ხტუნვა; „პოპო!“, — უთხრა ფილოსოფოსმა ძალს, მაგრამ ძალი, შეჩვეული „პოპის!“ დროს ჯოხის დანახვას, არ დაინძრა აღილიდან და სულელურად შეუურებდა პატრონს, — თითქო ესაყვედურებოდა თვალებით — ვის გაუგონია „პოპ!“ უჯოხოთო?

ფილოსოფოსის ჯოხი სიმბოლოა ორგანიული ჩვეულების, ტრადიციის, პრინციპის, კერპის: ჩვენც გვიკვირს, როდესაც ცხოვრება უპრინციპოდ (უჯოხოდ) გვახტუნებს.

პროგრესი და მარადობის იდეა

პროგრესი ორ არსებობა.

არსებობის თუ არა პროგრესი? — ასეთი საკითხი პევრს უსაფუძვლოდ მიაჩნია: — არსებობს, რა თქმა უნდა; ქალაქების გაშენება, რეინის გზები, ტელეფონები, ტელეგრაფები, აკადემიები და სამეცნიერო ლაბორატორიები, ფუფუქების საგნები — განა ყველაფერი ეს კაცობრიობის წინსვლის ნიშანი არ არის? პროგრესი არსებობს: ისტორია თანდათანობით აგროვებს ფაქტებს, მასალებს; ერები გამოდიან პირველყოფილ მდგომარეობიდან, სტოვებენ ტყეებს და აშენებენ ქალაქებს, სწავლობენ, იძენენ ცოდნას, აკეთებენ გზებს, ხიდებს, ეცნობიან ერთმანეთს — განა ეს პროგრესი არ არის შედარებით იმ მდგომარეობასთან: რომელშიაც კაცობრიობა იმყოფებოდა რამოდენიმე ათასი წლის წინად; ეს მდგომარეობა უკეთესია, უფრო ლამაზია და მისაღები, უფრო ხელს უწყობს საერთოდ კაცობრიობის გაკეთილშობილებას; მაშ პროგრესი არსებობს: ასეთია ლოგიკა კაცობრიობის.

მართალია თუ არა ეს აზრი? ხდება თუ არა საერთოდ ცხოვრების ელემენტების გაეჭილებოდება?

სახელმწიფოებრივი ფორმა არსებობისა უარყოფს პროგრესის იდეას; ისტორია გვიმტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები არსებობენ, არის განუწყვეტელი ბრძოლა და ომი სახელმწიფოთა შორის.. ომის დროს ხდება შერჩევა არა უკეთესი ელემენტების, არამედ ისეთი ელემენტების, რომელნიც საერთო ცხოვრების გაკეთილშობილებას ხელს უშლიან: ომი მოითხოვს, რომ უკეთესები; ტანსაღები გამოვიდენ ბრძოლის ველზე და ეს ტანსალი ხალხი ხოცავს ერთმანეთს. იმ დროს, როდესაც სუსტნი, ავადმყოფნი შინ რჩებიან, ამრავ-

ლებენ ავადმყოფ მოდგმებს, თაობებს. უკეთესი, უმშვენიერესი ელემენტი ისპობა; სუსტი, უარესი, ფიზიოლოგიური და ორგანიული სიმახინჯის განსახიერება აგრძელებს თავის არსებობას თავისი ავადმყოფი თესლით. განა კაცობრიობის ინტერესი მოითხოვს, რომ უკეთესი და უმშვენიერესი ელემენტია დაილუპოს და გლახა დარჩეს?

სად არის აქ წინსვლა?

ავილოთ ცივილიზაციის მეორე თანამდევი თვისება: გაქლაქების პროცესი. შემჩნეულია, რომ სახელმწიფო, ერი. მით უფრო კულტურულია, მით უფრო პატვცემულია, მით უფრო მეტი ლირებულების მატარებელია საერთო თვალთახედვით, რაც მეტი ქალაქებია იმ მიწა-წყალზე, რომელიც უჭირავს ერს, სახელმწიფოს.

მაგრამ ყოველი ქალაქი არის ერთგვარი საავადმყოფო: ჭლექი, რევმატიზმი, ნევრიზი, ლუქი უფრო ქალაქშია გავრცელებული, ვიდრე სოფელში. პარაზიტები გადამდებ სნეულებათა სწორედ ქალაქში მრავლდებიან. სოფლის პაერი ჭყალავს პარაზიტებს; ქალაქის აყროლებული პაერი მათ ამრავლებს. სოფლიდან მოსული ტანსალი ელემენტი, ტანსალი ადამიანის მეორე, მესამე მოდგმა ქალაქში უსათუოდ ავადმყოფდება ან ჭლექით, ან ნევროზით, ან ლუქით ან სხვა რამე გადამდები სენით. შეიძლება ითქვას თამამად: რაც მეტი ქალაქია იმ მიწა-წყალზე, რომელიც ერს უჭირავს, მით უფრო ავადმყოფია ერი, მით უფრო ახლოა იგი. განადგურების კარებთან. გაქალაქებას თან სდევს დეგენერაცია, ორგანიული გადაშენება, ხრწნა..... ქალაქი ბუდეა საშინელების, ავადმყოფობის, ქალაქი ბუდეა ტრაგედიისა. კულტურა, ცივილიზაცია გამოიხატება ქალაქების მრავლობაში, მხოლოდ ყოველი ქალაქი მომასწავებელია უბედურების, ავადმყოფობის, დეგენერაციის: პაზიზი, ბერლინი, ლონდონი – ცენტრებია კაცობრიობის ტრაგედიისა: ჭლექი, ლუქი, ნევროზი ანადგურებს კაცობრიობას ამ ცენტრებში. სოციალური შეზ-

ჩევა ომის დროს და გაქალაქების პროცესი ისტორიაში უკა-
ყოფენ პროგრესს, კაცობრიობის ორგანიულსა და ცივილი-
ზაციურ გაკეთილშობილებას.

მეტყვიან: მეცნიერება და მისი ღირებულება ხომ უდა-
ვო? ჩვენ ხომ ეხლა მეტი ვიცით, ვიდრე ჩვენმა წინაპრებში
იცოდენ? მედიცინა, ასტრონომია, ბუნების მეტყველება ჩვე-
ნი შემეცნების თანდათანობით განვითარების მაჩვენებელია...
დადგება დრო, როდესაც ჩვენ ყველაფერი გვეცოდინება.

— ჩვენი შემეცნება მხოლოდ გარეეგნულად არის დიალი და
თვალსაჩინო; არსებითად ჩვენ იმაზე მეტი ბევრი არაფერი
ვიცით, რაც იცოდენ საბერძნეთში არის სტოტელის დროს;
ჩვენ დღესაც ბევრი რამე არ ვ' ცით: ჩვენი გარეგანი გრძნო-
ბათა ორგანოები სუსტია სამყაროს რაობის შესაცნაურებლად,
მიკროსკოპი, გამადადებელი შუშა ამის დამამტკიცებელია:
როდესაც ჩვენ მიკროსკოპში ვიხედებით, ვხედავთ, რომ 1 აგა-
ნი ისეთი არ ყოფილი, როგორც მას ჩვენ ვხედავთ ჩვეულე-
ბრივად: საგანს აქვს ჩვეულებრივად ისეთი სახე, როგორის
შილება შეუძლია, ჩვენს. მხედველობით აპარატს, ჩვენ რომ
სხვანაპირი თვალები გვეკონდეს, მაშინ საგანიც სხვა სახის იქ-
ნებოდა; სამყარო, რომელსაც ჩვენ ვხედავთ არის მხოლოდ ის
სამყარო, რომლის დანახვა შეუძლია ჩვენს თვალებს.

ვერავინ დაგვიდგება, რა თქმა უნდა, იმის თავდებად,
რომ ჩვენი თვალები სწორად ხედავენ სამყაროს: რეალობას.
ორგანიული ევოლუციის თანდათანობით სახეცვლილებამ
შექმნა ჩვენი გარეგანი გრძნობათა ოჩგანოები, ერთგვარ
ფანჯრები, ერთგვარი ღარები, რომლებით უთვალავ წელთა
განმავლობაში მოძრაობდენ სტიქიურად, ბიოდინამიურად
პროცესურფილი პროტოზები და სპერმები, მაგრამ ფანჯრები
და ღარები. შეიქმნა მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში
და არც ერთ ჩვენს ორგანოს იდეალური სახე არა აქვს;
მიზანშეწონილებას, და იდეალობას ბუნება დასცინის, ენა
და მორალი—ადამიანის სამყაროს ენა და მორალი არ არის.

სვედენბერგმა, პოლანდიელ მეცნიერმა, რომელმაც პირ-
ველად ჩაიხედა მიკროსკოპში, აღმა და დასწვა უველაფერი,
რაც მას ჰქონდა დაწერილი: გამადიდებელმა შუშამ დაარწმუნ-
ნა, რომ მისი წმინდა გონების კატეგორიები; რომელნიც
იყვნენ აშენებულნი მისი მხედველობითი აპარატის ასახვაზე,
სტუმდენ და სამყაროს ჰქონდა სხვა სახე, არა ისეთი, რო-
გორიც მას ეჩვენებოდა და როგორიც მან ასწერა.....

ჩვენი ცოდნა, მთელი ჩვენი სოფლმხედველობა იმაზე
არის აშენებული, თუ რა სახისაა ჩვენი ორგანიულ ფიზიო-
ლოგიური ჩვეულება: თანდათან გაფართოება, თანდათან
გაღრმავება ორგანიული ჩვეულებისა არის საფუძველი ჩვენი
აზროვნებისა:

სულის აქტუალობას ჰქონის მემკვიდრეობითი მიღებუ-
ლი ენერგია ორგანიული ჩვეულებისა.

სოფლმხედველობა ადამიანის ჩვეულების განვითარე-
ბის ნაყოფია. აბსოლიუტური, უნივერსალური ხასიათი ჩვენს
შემეცნებას არა აქვს: ჩვენი სული, ჩვენი ორგანიული განც-
დის აორთქლებაა... ჩვენი იდეები უფრო ჩვენი ნერვულ
სისტემასთან არიან დაკავშირებული, ვიღრე სამყაროსთან;
ამიტომ რამდენი მოაზრეა წუთისოფლად, იმდენი სეხეა და
სხვა თვალისებრი მიეწერება სამეცნიეროს: სპინოზა ყოველგან ხე-
დავს მათემატიკურ ღვთაებას, ბერგსონი სტიქოურ ძალთა ათა-
მაშებას (elan vital) კანტი უკავშირებს მოვალეობის იდეას
ვარსკვლავებსა და სივრცის ესტეტიურ ჭვრეტას. ყოველი ფი-
ლოსოფოსი თავის ორგანიულ-ესთეტიური განცდის ფანჯრი-
დან იყურება სამყაროში და ყოველ მათგანს ეს ქვეყანა ეჩვე-
ნება იმ სახით, რა სახე უფრო შეეფარდება მისი ორგანიული
ჩვეულების დენას. ჩვენ ვუახლოვდებით კეშმარიტებას მხო-
ლოდ ილლიუზის ფარგლებში: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ
ბევრი უჯრედები და ხვეულები შევისწავლეთ, ჩვენი დამოკი-
დებულება ბუნებასთან ისეთივეა, როგორიც იყო შორეულ
წარსულში: ბევრი რამ ჩვენ წინად არ ვიცოდით და დღეს (.)

ას ვიცით მიუხედავათ ჩვენი მეცნიერული. და იყალებიური გაქნილობისა, ჩვენზე ისე ბატონობს შემთხვევათა გრძელი რიგი, როგორც ბატონობდა აჯამიანზე მრავალ საუკუნეთა წინად.

რაც უფრო შორს მივდივართ ჩვენ ჩვენს კვლევა-ძიება-ში, მით უფრო საშინელია ეს ცხოვრება; ჩვენ თითქო შეეღიყართ დაუსრულებელ სამხეცეში:

სხვ და სხვა გვარი მიკრობები სხვა და სხვა ნაირად რაზმდებან ჩვენს გარშემო, ახალ-ახალ სახელებს. ვარქმევთ მათ, ვებრძვათ დრო გამოშვებით, მაგრამ ვემორჩილებით ბოლოს და ბოლოს. . .

სამყაროში ნახევრზე ჩეტი მიკრობებს ეცუთვნის, პარაზიტები ჩვენში და ჩვენს გარშემო ისე დასეირნობენ, როგორც მეფეები თავიანთ სასახლეებში. მეცნიერს, რომელიც ქვეყნის შემეცნებას ფიქრობს, სიცოცხლეს უსპობს ხშირად უბრალო ტილი, უბრალო ხიწვი. თუ არსებობს ქვეყნად მიზანშეწონილი წინსვლა, თუ არსებობს ბუნებაში პროგრესი, თუ მართლა ბუნების მიზანია კეთილშობა და უკეთესოელემენტების გაჩენა, მაშინ რა საჭიროა ადამიანის შემდეგ პარაზიტების გაჩენა? ზოგერთი გვარის ტილები, ვენერიულ სნეულებათა მიკრობები გაჩნდენ, ცხადია, ადამიანის შემდეგ. თუ ბუნებამ შეცდომით შექმნა ადამიანის გაჩენამდე მორიელი, ოწყილები და სხვა გვარი მავნე ცხოველები, შეიძლება ეს საჭირო იყო ორგანიული ეჭოლი, ციისათვის, მაგრამ სრულებით ვაუგებარია ადამიანის გაჩენის შემდეგ პარაზიტების გაჩენა: ეს იმას ნიშნავს, რომ ნაპოლეონისა და ლუესის მიკრობებს ბუნება ერთნაირად უყურებს. და მათ შორის განსხვავებას ას ხედავს. ნუ თუ ნაპოლეონი უფრო კეთილშობილი სახე არ არის შემოქმედებითი ევოლუციის; ვიდრე ლუესის მიკრობი? პარაზიტი ცხოვრობენ ბერგსონებიც და სუსუნატის პონკოკებიც. რად ესაჭიროებოდა შემოქმედემით ევოლუციას? რა საჭიროა M-ის სევინის სხეულთან ოთახ-

ში ბინადრობდეს საზიზლარი მორიელი? მაგრამ, კიდევ უფრო უაზრობა არაა განა სასქესო ორგანოს არსებობა იმ ალაგას, სადაც იგი არსებობს? განა ღვთიური ცახცახი, რომელსაც ჩვენ განვიცდით სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროს უფრო ლამაზი და ესთეტიურად მისაღები ადგილით რ უნდა იყოს გაღიზიანებული? ეტყობა ჩვენი ესთეტიკა; ჩვენი მორალი, ჩვენი კათეგორიები ბუნებისათვის უცნობია და თქმულება პროგრესისა და საერთო ცხოვრების მიზანშე წონილობის შესახებ ერთგვარი ზღაპარია, შექმნილი იმ დროს, როდესაც ადამიანს ენატრებოდა მყუდრო, მეშჩანურად აწყობილი, ტკბალი ცხოვრება - ცხოვრება სავსე იდილიებით. ფილოსოფია, მისი მოვალეობის იდეა, მისი კათეგორიები ერთგვარი გამომხატველია კაცობრიობის მეშჩანური სულიერი განწყობილებისა. პროგრესისა და მიზანშეწონილების იდეა მხოლოდ ისტორიული ზღაპარია.

ისტორია არის შემთხვევათა გაქანების პროცესი, შემთხვევების კოლოსალური რყევა; ამ დაუსრულებელ რყევასა და გაქანებაში არ არის შესვენება, არის ქარიშხალი, ხეტიალი, გარდაქმნა, სახეცვლილება; ადამიანები, მათი კულტურა, ცივილიზაციური ღირებულებანი, საუკუნოები, აკადემიები, დადი ქალაქები დროიული, შემთხვევითი ფორმებია ყოვლობის მარადიული ხეტიალის. სხვა და სხვა დრო, დაწესებულებანი, ღირებულებანი, კულტურული ტიპები, მართალია დაშლილი ელემენტებად შედიან ახალს მიმართულებებში, როგორც ბაბილონელების ასტრონომიული ცნებანი, როგორც ელლინების სოფლმხედველობა ევროპის კულტურაში, მაგრამ მთლიანობა, ცნდივიდუალობა, სახეობა კულტურულ-ცივილიზაციური იკარგება ყოფის დაუსრულებლობაში და ისტორიული ეპოქა, მისი სული და იდეა წარმოადგენს სამყაროში ტრაგედიულ ეფექტებას, რომლის ნაწილები მარადიულ ხეტიალში ერთმანეთს ვერ ცნობენ და რომელსაც ეკარგება წუთისოფლური ინდივიდუალური მოფარგლულობა.

ჩვენ ვიცით ციფილიზაციური სტანდარტურა, ეკონომიკური ტიპები, სახელმწიფო ებრძოვი ფორმები მეცნიერების, მაგრამ, ჩვენ ვიცით მხოლოდ შემთხვევათ დაჩჩნილ მასალებით; მეფეები და დიდი მოღვაწენი, წინასწარმეტყველები და მოგვები, მეცნიერები და ფილოსოფიურები აკეთებდენ თავიანთ დიდსა და საკაცობრიო საქმეებს შემთხვევით: ნიუტონს რომ მაგარი სურდუ დამართოდა რმ დღეს, რა დღეს მას თავში მოუვიდა იდეა მიმზიდველობის კანონისა; შეიძლება შემდევ სრულებით არ დაფიქტებულიყო ამ კანონზე, და კაცობრიობას შეიძლება დღესაც არ ჰქონდა გარკვეული წარმოდგენა სამყაროის მოძრაობის შესახებ.

ნაპოლეონის მამა რომ დამთვრალი იყო იმ დროისთვის, როდესაც ნაპოლეონი ჩაისახა დედის მუცელში, შეიძლება თვით ნაპოლეონი რახიტიკი და რეგვენი ყოფილიყო, როგორც ჩვეულებრივად ხდება. ალკოგოლიკების ოჯახში.

შემთხვევითია ყოველი წარმოსახვა, შემთხვევითია ყოველი მოქმედება, მოძრაობა და ფორმა: გარკვეული, განსაზღვრული, სწორი, ლოგიური და მიზანშეწონილი პლანეტარულ ყოფაში არა რა არის; კულტურულ-ცივილიზაციური ათქრიალება და ნერვიული ლაყლაყი შემთხვევათ: დემონიური თამაშია და რაც არის ისტორიაში, არის მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევათა დენამ წარმოშვა...

არც თეოლოგიური, არც იმანენტურ-თელეოლოგიური. აზრი და მიზანი ჩვენს უოფასა და კულტურას არა ბქს წუთის სოფლად.

იყო დარ პრეისტორიული: ადამიანი ცხოვრობდა გამოქაბულებში, დადიოდა შიშველი; მხეცის ტყავის გაძრობა მისი იდეალი იყო; მას ჰქონდა ერთად ერთი იარაღი — ქვის ნაჯახი; ადამიანი არ იკნობდა დედამიწის სიმდიდრეს, ნერთების თვისებებს; ჰაერეთის მოვლენები მასში იწვევდა გაკვირვებას; მიწის დამუშავება არ შეეძლო, მრეწველი ვერ გახდებოდა; შიშველი, ღარაბი, ალქატი, მშიერი ადამიანი და დიოდა ტყეში, ისვენებდა წყლის პირად.

გრძელი რიგი პარისტორიულ მოდგმაზა გაყვა ჟამთა დენას; შეუცნობელი, გაურკვეველი ბურუსი ფარავს შორეული წარსულის კულტურას, წინაისტორიულ ეონებს.

ციფილიზაცია ეგვიპტური, ქალდეური, სპარსული, ელლინური და რომაული რიგ-რიგად გადიან ისტორიიდან. მოთვლიო კულტურის დიდი ქალაქები: ობესი, სპარტა, კართაგენი, ათინა, რომი ტოვებენ ნანგრევებს; კაციბრიობა მაინც ჯიუტად იბრძეის: მეცნიერები არყვევენ მატერიის თვისებებს, კოსმიურ სფეროებს, ერებიაშენებენ ქალაქებსა და სახელმწიფოებს; ქალაქთა შორის გაყავთ გზები, გვირაბები, მავთულები; აშრობენ ჭაობებს და ჭანჭრობებს; ქალაქებში აკეთებენ სახლებს, სასახლეებს, მუზეუმებს, ასანსიონებს. ქარხნებში ამზადებენ საჭირო ნივთებს და საგნებს; ფერმებში საქონლებს და ფრინველებს ამრავლებენ; აღნობენ მაღნებს, წურავებ სუნელოვან მცენარეებს; კოსმეტიურ სითხეებს კონსერვებად აწყობენ; სამკურნალო მარილებს, სწმენდენ ქიმიურ ლაბორატორიებში.

* ხომალდები აერთებენ კონტინენტებს და უკანებზე ლალად დასეირნობენ; რაღია მიარევს ჰაერეთის ტალღებს და კუნძულები ერთმანეთს დაშორებულნი, გარკვევით ლაპარაკობენ ერთმანეთის გასაგონად.

გალები, ბოსტნები, ამწვანებული მინდორ-ველები, ხეხილი, რკინის გზებით დასერილი და ულექტრონით განათებული აგარაკები; დიდი ქალაქები თევატრებით, ვიტრინებით და ქვაფენილებით, მეცნიერებით, პოეზიით და ფილოსოფიით — აი დღეებანდელი სახე მსოფლიო კულტურის.

მაგრამ, უკულმართ წუთისოფელში ადამიანი დღესაც ისე უბედური და საცადავია, როგორც პრეისტორიულ ეპოქებში: შიში და აგონია დღესაც სწვავენ ადამიანის ნერვებს; უსამართლობა და წინააღმდეგობა დღესაც კლავენ ადამიანის ნების ყოფას. თუ ტროგლოდიტს ეშინოდა მხეცებისა და გველების, დღევანდელ ადამიანს მიკრობებისა და ტილების ეშინია.

ნ-უტონებს და პ სკალებს ბუნება ისე ხოცავს და მორავ-ლებს, როგორც მორიელებსა და გონიუკებს.

ჯიშებისა და გვარების ევოლუცია სიკეთესა და ბორო-ტებას ისე ითქმნს, როგორც ჩვენ ვითქმნთ სიცივესა და ხით-ბოს (კვალებადობას): სამყაროს აზღვევებულ ძალთა გაქანე-ბაში ადამიანი თავისი ფორმულებით და ქიმიკიული წრეში-რებით საცოდავია, საზიზლარი რომ არ იყოს თავის ფლიდო-ბით, ცულლუტობით, პრანქიაობით და ფიზიოლოგიური მოყ-ვანილობით.

არასოდეს კაკობრიობის წარსულში გულშემატკიცრობას და თანა გრძნობას არ ჰქონებია აღგრლა, და სწორედ ამაშია ცხოვრების საშინელება — ადამიანის მორალისა. და სინამდვილის შორის უთანებოება: ერთი რომ საფლავში მიდის და ფერფლიად იქცევა, მეორე ერთისი ცეცხლში იძირება, პირ-ველყოფაში ძალთა სიგირისა და ნეტარების მორევში ბანაობს; ერთს რომ სიყვარულის და ბედნერების ბულბული უმღერის, მეორეს მაშინ ცხოვრების თავშეუკავებელი და უზნეო დე-მონი ჯოჯოხეთისაკენ მიაქანებს; ერთი რომ სივრცეში მიმო-ჭანტულ მნათობთა გუნდების ჭვრეტით სტკაბება და უთვა-ლავ ყვავილთა სუნთქვით ძლება; მეორეს მაშინ პირი ევსები ქიებია და ბუზებით.

ადამიანი — პოეზიისა და ფილოსოფიის საუნჯე, ჟეშმა-რიცებათა ზეიადი მეტყველი, კულტურისა და ცივილიზაციის მესაჟე, ჭუჭყიანი, სუნიანი და მყრალია, როგორც ტაბასტი-ანი დედა-კაცი.

ოჯახი, ცოლი, შვილი, ნათესაობა, სახლი, სამზარეუ-ლო, კულტურა — ჩვეულებებათ გატკბილებული სახელ ებია. წუთისიფლური ჭუჭყი და სუნი უნდა გეზიზლებოდეს, თუ ხარ კეთილშობილი...

მარა ღობაში ჩვენი ოჯახი და სიყვარული ნათესაობა და მეგ აბრებ. ისე გაიფანტება, როგორც ცეილონის კუნძულზე ჭარიშხალის დროს ტყეში დამტრჩევალ ბელურის ფრთები...

ჩვენი სული და გონება სოფიზმებითაა დაბლანდული: კაცობრიობას არა აქვს შინაგანი შედუღება, ერთეული სული; არსებობენ ეპოქები, არ ერსეპობს ისტორია: თითქმი გრანდიოზული მძიმე არტილერია, სავსე ცეცხლით და ენერგიით, ლელავს და ორთქლდება სამყარო: ჭლექის მიკრობები და სოკრატები, რლვევის დემონები და კეთილშობილი სულები ერთნაირად დაძრწიან, შემთხვევებს ერთნაირად ემორჩილებიან.

გაივლიან რა ჩქარსა და უაზრო ცვლილებებს, დაღლილი, დათენთალი ერები შეუცნობელ უფსკრულისაკენ მიექანებიან: თითქმი აცეცხლებული ლეგენდარული არმია მატიებელი სულების, ჩვენ გამოვდივართ არარაობიდან და შემოვიჩნენთ რა ქარიშხლიანი გაქანებით ჩვენს ყოფას ჩმახსა და უთავბოლოს, ისევ არარაობაში ვიკარგებით.



მ ა რ ა დ თ ბ ი ს ი დ უ ა.

მა—ლა—ას.

საღამო ეამს, როდესაც დიდი ქალაქის ქუჩებში ჩოჩქოლი დაწყნარდება და სივრცეში შორიდან აიშლება ძაღლების სევდიანი ყეფა, სული ჩვენი ატორტმანდება და გული ნერვი-ულად შეიკუმშება; საღკუნეთა კარები ლანდურ ჩვენებაში გაიღება: ერებსა და სახელმწიფოებს, სხვადასხვა დროის ღმერ-თებსა და ლეგენდებს, მეტყველების სისტემებსა და პიპოტე-ზებს არაც მწუხრული ზეწარი გადაეფარება: ატირდებიან ხეები, ფოთლებში აშჩიალდება ენტელექიის რიტმი და მდი-ნარები ნელად აორთქლდებიან, თითქო ნერვები ყოვლობის გრანდიოზული სხეულის; რომელიც დაუსრულებლად იწვის და ღელავს, განიცდის და კვამლდება. დიდი ქალაქის ნოტიო ღინჯად აილრუბლება და ყოფა აღამიანის, ამ ბურუსით გარ-შემორტყმული, თითქო იძირება გაურკვეველსა და უთავბო-ლო ნირგანაში.

სამყარო იწყებს ლოცვას: შინერალების ბუჭუყი, მცენა-რების ზმირება, პირუტყვების ღელება, აზამიანების განწყდა ღვთიური რყევაა უნივერსალური სულიერობის, ყოვლობის ენტელექიის. ჩვენს ნერვიულ სისტემაშიაც იღვიძებს სურვილი განყოვლადების, სურვილი საფსე სინაზით, საფსე ალერსით და შეკურვილით.

არც ერთი ბოროტი აზრი, არც ერთი ცუდი ფიქრი ჩვენში აღარ არის... სივრცე, კაცობრიობა, ქალაქი, სახურა-ვები სახლებისა და ქუჩების აგუგუნებული ტროტუარები მა-რადობის იდეით ივსება: თითქო უხილავი ატომები ჩვენი

განცდისა და სულის მღელვარების ეფინებიან წუთისოფელს, საგნებსა და მოვლენებს; თითქო ჩვენში ალაპარაკდენ ჩვენი წინაპრების დაუკმაყოფილებელი სურვილები, ხითქო ჩვენში ამღერდენ დალუპული სახელმწიფოები, ერები და ბიოლოგიური ტიპები.

ადამიანთა შორის მტრობა და ლალვა, წუთისოფლის ჭრები და ინტიმიგები სასაკილო და საზიზღარის ამ წუთს დაუსრულებლობის წინაშე: გაუგებარია, რატომ ადამიანი ადამიანს ახაჩობს; რა-საჭიროა ქვეყნად ამდენი ცრემლები, ამდენი წვალება და ერთმანეთის დევნა: ქვეყნა დიდია, არ სებობა: მარადიული, მოძრაობა დაუსრულებელი; პლანეტა-რუსი სახეცვლილება უსაზღვრო, ჩვენი-ინდივიდუალური ყოფა კი წარმაველი, ხრწადი და უსუსური.

შეემ სირცეილი არ იცის, არც პლანეტებია. ჩვენი ენით მოლაპარაკე; მთავარ კინ იცის რამდენი საღკუნეა დაყურებს გულგრილად. დეჭა-მიწასა და მის ცოდვებს.

პირველყოფილი ქაოსიდან ადამიანის კულტურამდე დიდი და გრძელი გზაა გასული, გზა ოლტო-ჩოლტო.

არსები და მოვლენები ყოველ წუთს ილუპებოდენ და დღესაც ილუპებიან ამ გზაზე.

ლეპიდუნდრონებისა და იხტიოზაფერების ეპოქა, გეოლო-გიურ-ცულკანიური ღელვანი, ტრიაკლოდიტების ხეტიალი და შიში, სახელმწიფოების დაღუპული იმედები, ალიმბის ასხი-ვოსნება, ლმერთების, გმირების და იმპერატორების ტაბახი, მეცნიერება, სოფიზმები ყველაფერი ლეგენდაა— ტანჯული სულის ლეგენდა.

ჩვენი ქიმიის და ფიზიკის კანონები, მათემატიკის ფორ-მულები და ლიმიტები მოხერხებული თქმაა კოსმიური ლეგენდის, მხოლოდ თქმა, ზღაპარი . . ზავის ქალა, რომელშიაც დღეს მოთავსებულია დიადი აზრები და იდეალები, რომელიც დღეს ერთგვარი საყდარია ბუნებას მოვლენებისა ხვალ მტვ-რად იქცევა და ჭია-ბუნებით ივსება.

ჩვენი ზეიადი და გაპრანჭული ყოფიდან აჩება მხოლოდ ერთი მუქა-ლა მტვერი და ვინ იცის სამყაროს დაუსრულებლობაში ვინ უფრო მაღლა დგას: ნაპოლეონი თუ ტასმანის ბეღურა, კანტი თუ ცეილონის კუნგურუ?

სევდავ მარადობისა, დაუსრულებლობის იდეა! რა პატარაა თქვენს წინაშე წუთისოფელი? რა სასაცილოა ჩვენი ყოფა, რა უმიზნოა ჩვენი ლელვანი? რა სულმაკლეობაა ჩვენი წუხილი?

ოჯახი, ცოლი, შვილი, დელა; ნათესაობა; ერთმანეთის პატივისცემა და ფარისევლობა, მეგობრობა, ზეიადი პათოსი და უზრუნველყოფილი მაქნარება, ჩვენი კუთხური ჩვეულებები, მორალი, აზრები — ყველაფერი ღროულია. ღირებულება მარადიული არაფერს არა აქვა, ყველაფერი, შემთხვევითაა: შემთხვევით ვიბადებით, შემთხვევიუ წავალთ წუთისოფლიდან და უდიდესი ყოფა, უმშვენიერესი სახე დავიწყებას მიეცემა..

ჩემს გვერდით აგურ სძინავს ჩემს პატარა ქალიშვილს, ღიმილი პატარა ტუჩებს ნელად არხევს: ეტყობა, ძილში ჩაყრლია ტკბილი ფიქრები და უმანკო სული ოცნებას განაგრძობს; არსებობის ტკივილები. მას ამ უძად არ აწუხებს; სული მისი დარღვა და იჭვებს არ იცნობს.

მაგრამ, ვინ იცის, რომელი შემთხვევა, სად რას იზაშს: ვინ იცის ზომელი სენის საზიზღარი მიკრობი სად როდის შეიპარება მის მშვენიერ ტანში? ვინ იცის, რა ტანჯვა მოელის? რამდენი ცრემლები დასკირდება? ვინ იცის, რა პირობებში დავშორდებით წუთისოფლად ჩვენ ერთმანეთს? შემდეგ ხომ ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს ვერ შევხდებოთ; დაუსრულებლობის დენაში შეიძლება ჩვენი სხეულების უჯრედები ერთმანეთს შეხვდენ სადმე, რომელიმე ხეობაში, ან მთას მწვერვალზე, ან ოკეანის უფსერულში, ან გარყვნილი ქალაქის რომელიმე მტვერიან შესახვევში, მაგრამ ერთმანეთს ისინი ვეღარ იცნობენ, ისე დაშორდებიან ერთმანეთს და გაგრძელდება სამყაროში მათი ხეტიალი უნუგეშო.

სჩყვარული, იმედები, ალენისის ტკბილი გრძნობანი, ჩვენი ყოველდღიური ჩვეულებები, ერთმანეთის ცქერა, თამაში, სიხარული, — ყველაფერი გაჰქრება, გაჰქრება ისე, როგორც სიზმარი, როგორც ლეპიუნდრონები და ბრონტოზავრები, გალიკარნასელი შეოცნებენი და სევდიანი რომანტიკოსები.

რაღაა ჩვენი ყოფა, წუთისოფელი? რა საჭიროა ეს ცრემლები, სევდა, წუხილი, კომერციული განგაში და მაშინების თქრიალი? რა გვაჩქარებს, რას დავეძებთ?..

ერები, სახელშიფრები რისთვინ ღელავენ? ყველაფერი ტერიტორიულ-ფიზიოლოგიური ეგოიზმის და ყოველგვარის რომანტიკა ორგანიული სისაესის ვნებიანი აორთქლებაა: ეგვიპტე, ასურეთი, ათინა, რომი, კართავენი ღელავდენ; ტერიტორიულ-ფიზიოლოგიურად იწვოდენ, ეძებდენ, იმედებში. იყვნენ... სადღა არიან კეთილშობილი, მაძიებელი სულები?

აღელდენ, ასხივოსდნენ, გაჰქრენ...

— დარჩა მხოლოდ ღეგენდა, თქვა; დარჩა მხოლოდ მოგონება ცარიელი, სევდიანი, — დავიწყება მარადიული, არა-რაობა მტკერიანი, ამოება ჩუმი.

სამყაროში დაძრწიან წარსულის უჯრედები და სულები: პირუტყვების ღმურლში, მცენარეების შრიალში, მინერალების აქაფებაში, ჩვენი საფეხქელის რიტმიულ რხევაში. წარსული მღერის, მუსიკის უკრავს...

ყოველ წუთს ჩვენ ვიშლებით, წარსულში ვიძირებით, ვიყარებით: ირლვევა ჩვენი ყოფა, იცრიცება ჩვენი სახე და უჯრედები ჩვენი ორგანიული ერთეულისა თანდათანობით შერდებიან ერთმანეთს და თითოეულ მათგანს მიაქვს ჩვენი სულის ნაწილი, მიაქვს ჩვენი ტკბილი ჩვეულებები და იმედები.

ყოვლობის არითმია არგაიმეორებს არასოდეს სურვილებსა და ტკბილ ჩვეულებებს ჩვენი შეთბით: მარადობის თქრიალში განმეორდება ყველაფერი, ჩვენი სხეულის ნაწილებიც განმეორდებიან, მაგრამ ჩვენი მე-მთლიანი, ერთეული, ვნებიანი, შე-

მომქმედი, ცეცხლოვანი, ჩვენიმე თესლით, სისხლით, სიყვარულით, იმედებით ვერასოდეს ველაზ განმეორდება. რატომ დალიდან საღამომდი ერთმანეთს არ ვკოცნით? რატომ ერმთანეთის ალექსში არ ვატარებთ დროს? რატომ აღამიანებს ერთ-მანეთი სტულთ, ეზიზლებათ?

არსებობის ქარი მიჰქის და მიეჩქანება; აღამიანს, მცენარეს, პირუტყვს — ყველაფერს შემთხვევა ათამაშებს: რაც იყო აღარ არის, რაც არის, აღარ იქნება. ლეგენდები და ოქმულებები დარჩება; ბოლოს ლეგენდებსაც დაუვიწყებენ, ხსენებაც არ იქნება.

სივრცეს, პლანეტებს, ზესკნელს, გარესკნელს ჩვენი წვალება, უმიზნო განგაში და ტკივილები არ აწუხებთ: ჩვენ სადღაც უბატრონოთ ვართ დაკარგული და არავის. ვეცოდებით.

შემთხვევა გვათამაშებს ყოველ წუთს: შემთხვევა ქუჩაში, შემთხვევა რკინის გზაზე, შემთხვევა ზღვაზე, შემთხვევა ჭამის დროს, შემთხვევა წყლის დალევაზე, შემთხვევა დღიო, შემთხვევა ღამით — წუთისოფელი შემთხვევათა: შეუწყეტელი დენაა: დიდი ქალაქებში მეცნიერები და ლუესის მიკრობები ერთნაირად ემორჩილებიან შემთხვევებს...

აღამიანები მაინც ტჩაბახობენ, მარც იპზანჭებიან; მეცნიერები და ქალები მიზნებს ისახავენ და იმედებით ბერდებიან:

ქვეყანა საესეა ცუუ ჰიპოტეზებით და ყალბი პათოსით. ქალები, კოცნას ერიდებან და ინახავენ ლამაზ ტუჩებს ჭიებისათვის; განკერძოებულია მშენებელება, თითქო მდინარეში წყალის დალევა არ შეეძლოს რამოდენიმე პირუტყვს ერთად.

ავადმყოფისთვის ეჭიმი მოგყვავს და ვარჩენთ იმიტომ, რომ ხელმეორედ გახდეს ავად, თითქო ერთხელ ტანჯვა საჭმარისი არ იყოს..

სოფიზმებით და მეშჩანობით შეკრულია წუთისოფელი: ნებისყოფა რომ ერთ ნაბიჯს წინ გადააღმევიებს აღამიანს,

ტრადიციული სოფიზმები მეორე ნაბიჯით უკან წევენ მას...

უდიდესი მტერი აღაშიანის მისივე სოფიზმებია; უდიდესი დეფექტი კულტურის ლოგიკა — ჩვენი, ტრადიციული, ისტორიული ლოგიკა, ლოგიკა, რომელც ჩამოკიდებია ჩვენს სულს, როგორც ძველი ტანისამოსის სასირცხვო ნაგლეჯები...

დააკვირდით სივრცის სიღრმეს! უ უც ზომა და არც საზღვარია; ჩვენ აღა მოვჭორეთ წუთისოფლად, გამოვიგონეთ კათეგორიები, მორალი, მოვალეობა და ვიხრჩობით ჩვენს კორებში.

საწყალი ადამიანი ტრუმბს თავისთვის, სივრცე ლურჯი, თვალმიუწდომელი იცინის...

*

იყვნენ საუკუნოები და ხალხნი; მზე ამოდიოდა და ჩადიოდა როგორც ყოველთვის; მოდგმები არევდარევით ოცვლებოდენ; ოჯახური და სოციალური ღირებულებანი იქმნებოდენ; ქალები ქსოვდენ, კაცები ნადირობდენ, ვაჭრობდენ, ოცნებობდენ, მუშაობდენ.—აშენებდენ სახლებს, თხრიდენ არხებს, იყო სიყვარული და ალერსი, იყო სევდა და წუხილი.

უთვალავი კეთილშობილი ზრახვანი, დიადი განცდანი და ფიქრები, იდეალები და მოქმედებანი იყო — ფაუსტებისა და პამლეტების ეპოქა — ჩვენი ცივილიზაციის ტრაგედია — ყალბი მოჩალის ლამაზი ვათოსი იყო და ხსენება დარჩა ჭლექითა და ლუესით დაავადებულ კაცობრიობაში.

მოდგმა მოდგმას მისდევს აჩქარებით; სხეულებრივი ფორმები აჩსებობისა მარადიული წყვდიალიდან გამოდიან: ტრიალებენ, ირყევიან, ქანაობენ, ექებენ და ტირილით ისევ წყვდიალში იკარგებიან. ლანდები მოძრაობენ პლანეტარულ გარსში გახვეულნი: თითქო გრანდიოზული, მძიმე არტილერია, ლელავს და ორთქლდება კაცობრიობა; გაივლის რა ჩქარსა და უჯაზრო ცვლილებებს, შეუცნობელ უფსკრულისა კენ, მიექანება.

თითქო ლეგენდარული არმია მაძიებელი სულების; ჩვენ

გამოვდივართ არარაობიდან და შემოვირბენთ რა ქარიშხლიანი გაქანებით ჩვენს ყოფას ჩმახსა და უთავბოლოს, ისევ არა- რაობაში ვიკარგებით.

მართალია, ჩვენი განცდა და სულის კვეთება მომავალში. შევლენ, უჯრედები ჩვენი ტანის იქნებიან დაუსრულებელ ხეტიალში; ჩვენი სხეული, ქიმიურად სახეცვლილი, ნაწილე- ბად შეფა სხვა სხეულებში, მაგრამ ჩვენი მე, ჩვენი სახე არა- სოდეს აღარ იქნება; წავა და ვეღარ წამოვა კვლავ წუთი- სოფლად: ბუნების ცვლილება სპობს ინდივიდუალობის სი- სალეს; ინდივიდუმს შეიტე ელემენტია ბიოლოგიურ სახე- ცვლილების და ნივთიერებათა მიმოქცევადობა შლის სახეს, ტიპს: რკინა უანგად იქცევა, სპილენძი ხენჯად, ადამიანი მტვრად.

მარადობა ათრევს და ალალობებს ელემენტებს, სახეს კი ხრწნის...



წ ა რ მ ა ვ ა ლ ო ბ ი ს ს ე ვ დ ა

So ist das Leben.

ნიცქა

დაუსრულებელი ფერადობა, ლაბარატორიებისა და ინსტიტუტების გაშენება, ღიდ ქალაქებში უაზრო ჩოხქოლი, პოუსვენარი მღელვარება, პროფესიონებისა და დოკუმენტების ტაბაბახი, ტყუილი, სიცრუე, მოწამლული ჰაერით სუნთქვა, ჭლექი, ვენერიული სნეულებანი, შანტაჟი, კომერციული აფერები, გაძვერა და უსინდისო პირთა ინტრიგები, დილეტანტების და უზნეო ქალების შეღებილი ლოკები, მშრომელთა ოფიციალი, მოტყუებულთა ცრემლები, მეოცნებეთა შიმშილი და სილატრე, აი ცივილიზაცია, აი ის, რასაც ჩვენ ვეძახით კულტურას, განათლებას, წინსვლას...

მაგრამ ყველაფერი ეს იყო ძველად:

რომი, ბაბილონი, კართაგენი, ათინა ელაზნენ კულტურას,—სული დალიეს ამ „ბედნიერებაში“.

ჩვენს ღიდ ქალაქებსაც ძველი ცივილიზაციის ცენტრების ბედი მოელის:

მიიხრწება ორგანიულად და აშოშრება წუთისოფლად პრობლემებისა და რეაქტორების, ინტრიგებისა და შანტაჟების; მყრალი ჭაობი; ბოლო მოეღება ალქიმიკების ფუსტუსს და მორწმუნეთა იდეალი კოშმარით დამთავრდება: ველად გაჭრილ პირუტყვთა ბლავილი და შუალამის სიჩუმეში ძალის სევდიანი ყეფა სიმფონიურად დასრულებენ არსებობის ზღაპარს.

რაც არის, აღარ იქნება...

საუკუნე საუკუნეს მისდევს და აჩქარებით ერთმანეთს ფარავს, ვით დაუსრულებელი ჯაჭვის შარქველები; საზღვარი არა აქვს სამყაროს, საზღვარი არა აქვს არც სივრცეს:

ჩაც უფრო შორს იხედება საწყალი აზამიანის გონება, მით უფრო დიდია ეს ქვეყანა და პატარაა დამიანი — ადამიანი, ოცნებებისა და ცრემლების აღუსებელი ჭურჭელი.

პლანეტები და ვარსკვლავები სივრცის სიღრმეში მიმოფანტულან, ოკეანები და მათი კუნძულები გაშლილან დედამიწის გარშემო; დედამიწაზე მინეზალებისა, მცენარეებისა და ცხოველთა გრძნეული სუნთქვა ისმის უსწორ-მასწორო, ხალვათი.

საუკუნეთა დასაწყისში აკეცხლებული კოსმიური ნისლოვანები სივრცეში დახეტიალობდნენ; ერთი მათგანი შეიქმნა ჩვენი მზე თავისი გარშემო მოსრიალე პლანეტებით, რომელნიც უთვალავ წელთა განმავლობაში მოსწყდენ შუაგულს; სივრცეში თანდათანობით გაცივდენ; გაცივებულსა და ჭიშკიან ფენებზე მინერალურ ელემენტების უსწორმასწორო გადაჯგუფებასა და აბუცბუცებაში მცენარეები და ცხოველები გაჩნდენ, მათშორის წარმოიშვა ადამიანი, მოხერხებული, ფლიდი, ცულ-ლური, მანკიერი და ეშმაკი ადამიანი.

* * *

წუთი სოფელი ძალდატანებაა: ჭიანჭველა მიეჩქარება: მწერის დასაჭრად, მონადირე ტყეში ათვალიერებს თავის მსხვერპლს, მეთევზე გულის ფანტქლით ელის. ანკესზე თვეზის მოხვედრას; მეომარი მტერს ემუქრება და შურით ივსება; თითქო ვერ ეტევა ამ ქვეყნად, თითქო მას არ ყოფნის მზე და ჰაერი.

* * *

ქარი ჰქრის, წყალი მიდის, ბრუნავს უაზროდ წუთი სოფელი;

ეგრე იყო, ეგრე იქნება, მაგრამ რაც იყო, აღარ არის; რაც არის, აღარ განმეორდება.

გრძნობ თუ არა, ადამიანო, სევდას მარტოობის და წარმავალობისას?

გრძნობ თუ არა, როგორ იქაჩება. შენი სახეობა დაუსრულებელ ძალთა და სახეოა მიმდინარეობაში?

— თუ გრძნობ, რადა ხარ ეგრე შეტიანი და ბოროტი? შეიყვარე და შეიგრძენი არსი ყოველი:

შევურთე სული შენი სიცოცხლის მოძრაობას, სუნთქვას. ბალახებისას და მდინარეებს: ნორთქლებას: ხომ ხედავ რა უცბად ჰქონება ყველაფერი?

შხოლოდ მეხსიერება, მწვავე მეხსიერება. რჩება, რომელიც აქ აძლევს მოსვენებას ჩვენს. სულს, სხეულს და ნერვებს. მართლაც, რა არის სიამოვნება, რომელიც ჩვენ. ბელნიერებას გვპირდება?

ან რა არის ტანჯვა, ჩომელიც ჩვენ ვგრე გვაშინებს?

შხოლოდ ჩვენი ჩვეულება, ჩვეულების სიტკბოება და მისი უარყოფა.

რა უაზროა აღამიანის ცხოვრება?

* * *

ჩვენ არ ვიყავით წუთისოფლად, ვართ და აღარ. ვიქნებით: მარადობა წარსულში, ესე იგი ბნელი და თვალგადაუწვდენელი უფსკრული; მარადობა მომავალში, ესე იგი, ისევ ბნელი და თვალგადაუწვდენელი უფსკრული:

შუაში რაღაც მოჩვენება; პატარა, სუსტი, წარმავალი მოჩვენება, რომელიც საღლაც მიეჩარება, რაღაცას ექებს და თან ამ ძიებასთან ერთად ჰქონება და იკარგება; სივრცე ლურჯი, თვალმიუწდომელი ფანჯრებიდან შორს ტურფად იშლება.

— ეგრე იყო, ეგრე იქნება. რად არის წარმავალი აღამიანის ცხოვრება?

* * *

ან რა აშინებს აღამიანს და რატომ არის იგი ეგრე სულმოკლე? სულ ერთი არ არის განა:

— სამი დღე გაგრძელდება ჩვენი სიცოცხლე თუ სამი საუკუნე?

ყველაფერი ამაოება და უაზრო მოქანცულობაა, მოქანცულობა დაუსრულებელი. ხრწნა და დავიწყება წუთისოფლად ყველაფერის ბედია.

ჰქონება სუკმაწვილე, სურვილები თითების მწველი. ნეტ-დებიან; კეთილშობილი ზრახვანი გულისა და სულის. ოღარ განმეორდებიან და მოგონებანი იმისა; რაც იყო, დიღხანს ჩვენთან აღარ დარჩებიან.

ქარი დაბეჭავს და სახე გამოიცვლება; ენებათა ლელვაში, დაჭანცულ გულს დასვენება მოენატრება, მთელი ცხოვრება თითქო დაცინვით შეგხედავს; და ის, რაც შენ წუთისოფლად გინახავა, სიკეთე იყო თუ ბოროტება; ტანჯვა იყო თუ სია-მოვნება, ზღაპრად დარჩება; სინანულის გრძნობა გულზე ჩა-მოვეკიდება, როგორც მძიმე ქვა, ცრემლებით წარსულს ვერ-დაბრუნებ და დაუკმაყოფილებელ სურვილთა შურის ძიება დაგახრიბობს, როგორც შეუბრალებელი მევალე. ყოფა შენი მერყევია, ისე როგორც ყველაფერი წუთისოფლად:

ცხოვრებაში, როგორც სიცრუეთა და მოტყუებათა ჯურ-ლმულში, ყოველ წუთს უნდა ელოდე უსამართლოებას და განსაცდელს. სიცრუე ყველაფერში, და ყოველგან სიცრუე:

არ ასებობს წუთისოფლად არც ერთი ლირებულება: მეგობრობა, ნათესაო՞ა, საზოგადოება, სიყვარული, თანაგრძ-ნობა,—ყველაფერი მოტყუებაა; არ არის ქვეყნად ისეთი აღ-გილი, სადაც წმინდასა და კეთილშობილ სულს შეეძლოს დასვენება სიყვარულისა და მიმზიტველობის მახლობლად—ადამიანი მარტოა: მას გარშემოერტყმის პლანეტარული სიკი-ვე, კულტურული ფარასევლობა და უმწეობა. ცხოვრების სისავსე, სიხარულის გრძნობა, წარმართული ცნებათა ლელვა, კახცახი სიყვარულის და ნდომა: მშვენიერებისა მხოლოდ ორ-ფანიული ბუყბუყის აორთქლება.

* * *

წუთისოფლელი ირაციონალური, უთავბოლო და უზნეო მიმდინარეობაა: უძლეურია ადამიანის გონება და ყალბია ყვე-ლი პრინციპი ასებობისა. სოკრატე ბრძენმა თურმე საჭამლა-ვი დალია და ცრხიდან გაქცევაზე უარი სთქვა—რატომ? ქრის-ტე ჯვარზე აცვეს: ვიღაცას სურვილი იყო ეს, მაგრამ რის-ოვის?—ჯორდანო ბრუნო ცეცხლში დაწვეს, —რა მიზნით?

განა ამით რამე შეიცვალა დაუსრულებლობაში? სივრცე ცივად გაშლილია და ფარავს ჩვენს პლანეტას ამაყად. ყველა-ფერს აქვს თავის ადგილი ცხოვრებაში: ფორმათა და სახეთა სხვა და სხვაობა, ცვალებადობა მდგომარეობათა და მიმდინარეობათა... — ყველაფერს აქვს თავისი საფუძველი და ყველა მართალია თავისთვის: არსად არაფერი არ არის განსაზღვრული და გარკვეული, არსად არაფერი არ არის გონივრული, ღვთაებრივი და ზედროული; რაღაც ადამიანებს არ უნდათ თავისუფლება გულისა და სულის: მათ ეზიზლებათ ხალვათობა და გაშლილობა შემოქმედებითი ნებისყოფისა. ადამიანები თანდათანობით იგონებენ სხვა და სხვა ზღაპრებს, და თავს ინუგეშებენ...

დაუსრულებლად ირყევიან და ვით სიზიფე მუდაშ იშვებენ...

სად არის აზრი? ვის სულშია თავმოყრილი მიზეზები და პრინცები ღვთაებრივობისა? ვინ იტყვის კეშმარიტებას ყოვლობაში განზოგადოებულსა?

* * *

ძლევა და ტანჯვა, მოქანცულობა და ტკივილები, შემთხვევათა კოშმარი და დემონიური ხარხარი, წინააღმდეგობა, თა ახრჩობს ჩვენს სულს და ებრძვის ჩვენს ნებისყოფას.

ცხოვრება ჯოჯოხეთური მაშინაა მარადობის, ფრთებით უფსკრულისაკენ რომ მიექანება: ამ ფრთების გაშლისა და შეკვეცის დროს ეშმაკი და ანგელოზი კოცნიან ერთმანეთს.

სიყვარული და სიკვდილი რჩმაგობაა. მარადიული.

* * *

სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიღრე სიკვდილის სუნთქვა: სტიქია სიყვარულისა უსაზღვროა, ვით ოკეანე, ვით მარადობა; სტიქია სიკვდილისა ერთდროულია; ვით ლანდი, ვით ფიქრი; სიყვარულს ძალუძს ერთი წუთი მარადობად აქციოს და მარადობა კი წუთად შესცვალოს; სიკვდილი უარპყოფს ყოველგვარ მარადობას და გვევლანება, მხო-

ლოდ ერთი წუთით. გახვეული ცისკრის სხივთაგან შოქსოვილი მსოფლიო სიხარულის ხავეოდში, სიყვარული ზვალშინ გვიშლის ზურმუხტოვან სივრცეს, ღმერთებით და იდეალებით გამშვენიერებულს. . აღლვებულსა და უსაზღვრო ზღვაზე ღრუბელთა მსუბუქ ფრთხებით მოექანება ჩვენსკენ სიყვარული, რათა მან მძღვრი გრვინვით, თვის ოქროს ზმანებათა ოქროს ნემსებით დასჩევლიტოს სული ჩვენი, რათა მან ოცნების გაზაფხულით, ყვავილებით და ოქროს ქსოვილებით დაატკბოს გული ჩვენი, მარტოდ შთენილი და მოტყუებული. სიკვდილი ჰფარავს მგზნებარე ვნებას ცრემლთა მდინარისაგან შექმნილ ღრუბლებით და ამოსტყორუნის ხალხთა და სამეფოთ, რომელთაც ელის ცივი დავრიწყება და გახრმავა... სიყვარულს ცეცხლი უკიდია, მაგრამ იგი არ იწვის, ვით არ იწვიდა ბიბლიური ცეცხლმოკიდებული ჩირგვი; სიკვდილმა არ უწყის—რა არის ღვთიური წვა. სიყვარული ცეცხლში იწრთობა და კოცნა მისი გვიხსნის მთელს სილამავეს კოსმიურ ტანჯვა—დაქანცულობისას: იგი აერთებს ოცნების თვეანები, უსაზღვრო ლურჯ ეთერს და დემონიურ სიცივეს მიწისას; სიკვდილი აშორებს ცასა და დედა-მიწას ერთმანეთს მსოფლიო სივრცეთა სიცივით.... ბასრი და ბრწყინვალე წვეტით ეჭრება სიყვარულ, უქრავ, ციცს მარმარილოს და შემოქმედებით აღტაცებაში ამოალოვლივებს მისგან სხივოსანს, მკვეთრ სახეს ნათელ-მომლიმარე გულის დედოფლისას: სუნთქვა სიყვარული—სა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის სუნთქვა.

* * *

სიყვარული საწამლავია— საწამლავი, რომელსაც ამზადებს თვით ბლნება, ყოველი იმედი ფუჭია, წუთისოფლად ცხოვრება უმიზნოა და უაზრო.

საუკუნეთა ძიებისა და ცრემლების ნაყოფი ჯერ ჯერობით მხოლოდ უსამართლობისა და ამაოების იდეა! დედამიწაზე მშვენიერების ხანგრძლივობა და სრული ბედნიერება ჯერ არავის უნახავს: დადი ხანია ადამიანებს, თავისუფლად

და უშიშრად ან შეუძლიათ არც სიყვარული, არც სიძულვილი; მათ სჩვევიათ მხოლოდ ღალატი, სინანულის ცრემლები, ცოდვა და ურვა სულისა. ეს ცხოვრება ყველაფერს კეთილს ტალახში სტრის, ყველაფერს კარგსა და მშვენიერს მარად ლანძლავს და შეურაცყოფს.

კეთილისავის დაჯილდოების მაგიერ გოლგოთის მთაზე აიყვანება ქვეყნის მხსნელი და იქ ჯვარზე ცვეს, სოკრატე ბრძენს საწამლავი ღაალევის მიმოტომ, რომ ქადაგებდა ათანაში სიყვარულს; ჯორდანო ბრუნო ცეცხლში დასწვეს იმიტომ, რომ სიმართლის თქმა ხმა მაღლა გაბედა. ხალხთა გუგუნი და მღელვარება, სისხლის წვრმა და ცრემლების ოკანე — ყველაფერი ეს მხოლოდ მეშჩანობის ხმაა, სევდის მომგვრელი ხმა ამაოების. ვინ იცის რამდენი ცრემლები და ტკბილი იმედებია დაკარგული საუკუნეთა თანაუგრძნებლად; მეფობენ ცხოვრებაში მხოლოდ სულით მდაბალნი და უგრძნობელნი: წუოისოფლად ბუდობს მხოლოდ წვრილი სურვილები, მხოლოდ მეშჩანობა; იდეალები, სიყვარულის ცრემლები, მაღალი გრძნობები და ოცნებები მხოლოდ და მხოლოდ გმირთა შემოქმედებაა.

თუ რამე არის საყურადღებო წუთისოფლად ეს არის გმირთა მარტო ძახილი, საუკუნეთა გრძემლებზე ამეტყველებული!

* * *

რა არის ეს საზიზლარი წუთისოფელი, ფარისევლობით ატრუსული და მეშჩანობით ახრიოკებული?

— ნიღაბთა კრებული, უსულო, უსახო, უგრძნობი, უგულო!

დიდი ხანია სამყაროის ყრუ ველში გდამიანის აზრი და ბორგავს უნავთსაყუდლოთ და უმიზნოთ; საუკუნეთა სრბოლა ერთსახიანი და უფერულია: იდეალები და ღმერთები იცვლებიან, მშვენიერების მიმირველობა მუდამ წუთიერ და წარმავალია.

მშვენიერი სახე მხოლოდ სისხლის მღელვარების ნერგოვ-
ნებითი ორთქლია და გულის ტაფიალება აცახცახებულ
ძარღვასა ცეცხლია..

სატრაფოს აბრეშუმეფულ ნამწნის დაფუშვა იკვნარევ გუ-
ლის ძეგას აღარაფერს ეუბნება და მარგალიტის მსგავსი
სიყვარულისა და სინანულის ცრემლი შენანების სურველში
ზიზლს იწვევს:

ზიზლი ყოფილა ჟიკოცხლის შხამის და სურვილების
უკანასკნელი სიტყვა, კუნთების დამთენთი, ძარღვების დამ-
გლეჯი, იმეჯების უარმყოფი სიტყვა.



ს ა ღ ა მ თ ჟ ა მ ხ

წუთასოფელი ოდენობას თვისას შლის უსტლერო სიკრიცის დაუსრულებელ საიდუმლოების სანახაობათა შორეული ლანდებით. ძრწიან უფსკრულნი, გალობენ უხმოდ ფერხულში ჩაბმულნი გარსკვლავნი და პლანეტები; არსნი თვალზე უდგამად ხმობენ მარატობას, რათა განაქარვონ ყოფის ცეცხლი და აკვამლონ შინაგანი წვა....

ჯერ კიდევ შეუცნობელი პირველყოფილი ქაოსი, უცნაურის იგივეობით ძლევამოსილი და თან ცივი, თითქმ ნელნელი მსვლელობს ზღვათ დაფენილ ლრუბელთა შორის.

პაერში კვნესის საიდუმლო სუნთქვა სტიქიათა უთვალავ საუკუნეთა სიგზუდისა და ისმის შორეული ბრგვინაობით ტლანქი ძახილი ჭლექით დაავადებულ სურვილებისა; ფერადი მორთულობით ბრწყინავენ ჩვენებანი იდეალებისა და საუკუნეთა უზარმაზარ წიგნებს ოქროთ მოვარაყებულ ყდებში შლიან არ სებობის ოკეანეზე სამრადებამო ძიებად.

ხალხთა ცხოვრებანი და საუკუნოების მკვეთრი მახვილობანი თითქმ ირწევიან საიდუმლოებისა სამრეკლოში და პრწყინვალე წარმოდგენათა ძალებზე, ამონაქსოვ ოცნებებში ძილის პირულს მღერიან...

O altitudo, non liquet!



წუთისოფელი და წარხული

ბევრი რამ არის ადამიანის ცხოვრებაში საიდუმლო, — ამბობს შექსპირის გმირი და მართლაც, ცხოვრების აზრი და მიზანი, წუთისოფელის და სამყაროს დასაწყისი და ბოლო, თვით ადამიანის სიცოცხლე, ძება, შემოქმედება, იდეალები, ოცნებები, სიყვარული, ტრფობა, — ყველაფერი, რაც შეაღვენებს აზამიანის სიამაყეს; ყველაფერი, რით ადამიანი ამშვენებს თავის თავს — განა ეს არ არის მოცული მარადიული საიდუმლოებით? — განა ვიცით ჩვენ რა ასულდგმულებს საგანს, ნივთიერებას? განა ჩვენ შეგვიძლიან ვსიტქვათ, რომ ჩვენი ცოდნა დღეს უფრო ღრმაა, უფრო შინარსიანი, ვიდრე ძველად? განა ცხოვრების აზრი დღეს უფრო კარგად და ნათლად გვაქვს დასახული, ვიდრე არისტორელის და პლატონის დროს რომ იყო?

მართალია, საუკუნეთა განმავლობაში, ჩვენ შევიძინეთ დიდალი მასალა; ბევრი რამ ვიცით დღეს ისეთი, რაც უწინ არ ვიცოდით და რის ცოდნა საჭირო იყო, მაგრამ ცხოვრების აზრი და სიღრმე მანც ვერ შევისწავლეთ: ის, რაც ჩვენ ვიცით შეეხება მხოლოდ ცხოვრების გარეგნობას, ნივთიერ ქალთა განაწილებას, საერთო მოძრაობის მექანიკას; თუ რა ასულდგმულებს ამ მოძრაობას, ან რა მიზანი აქვს მას, ჩვენ: ეს არ ვიცით; მოხმარება რომელიმე ნივთის ან მოძრაობის ჩვენ შეგვიძლია, მაგრამ რას წარმოადგენს თვით ნივთი, რას წარმოადგენს მისი მოძრაობა, ეს კი ჩვენ არ ვიცით: ჩვენ ეშმარობთ, ელექტრონს, შეგვიძლია მისი კილოგარებით გამოანგარიშება, ვიცით რა ძალა აქვს ელექტრონის მოძრაობას, მაგრამ, აჩა რომელი მეცნიერი გვეტყვის თუ რა არის ელექტრონი რა როგორ ამზადებს ბუნება ამ ძალას? ვერც ერთი

მეცნიერი, ვერ იტყვის, რომ ეს არის და აქ მზადდება ცლექტონის ძალათ, ისე ჩოგორუ ვერც ერთი ადამიანი ვერ იტყვის დედამიწის ზერგზე კვერცხი გაჩნდა უწინ თუ ქათამი: ბუნების გარეგნობა და სტიქიურ ძალა მექანიზმ, ჩვენ შევისწავლეთ, მაგრამ თვით სული მოძრაობისა და წუთისოფლის შეაღენს ჩვენთვის საიდუმლოებას.

მეცნიერები ამბობენ, ქვა, რომელსაც სივრცეში ისკურიან, ისევ დედამიწაზე ფარდება იმატომ, რომ დედამიწას აქვს ერთნაირი მ-მზიდვალობის ძალათ. თქმა არ უნდა, ეს კარგადაა მოფიქრებული, მაგრამ განა ვიცით რაში გამოიხატება და სად იხადება ეს ძალა? ვინ იტყვის: რა მიზეზია, რომ ყველაფერი დედამიწას უბრუნდება? — ამ კითხვაზე ჯერადებული ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ გვიპასუხა. მეცნიერები ამბობენ: ჩვენ გვინდა მოძრაობის და ცხოვრების კანონები შევისწავლოთ და სრულებით არ არის: საჭირო პირვენდელი მიზეზების ცოდნათ; ბუნების სიჩრდიდეს კანონებით კი მოვიხმართ, ცხოვრებას გავალამაზებთ, ელექტრონებს გავაჩაღებთ, ტელეფონებსა და ტელეგრაფებს გავაბამთ, ვიაროთ, ვიმოქმედებთ, ვიცხოვრებთ და აბა რა საჭიროა მიზეზების და მიზნების ცოდნაო?

ეგრე მსჯელობის კაცობრიობა, ასეთია მეშჩანურ ცხოვრების სიტყვა და თვით ლოგიკა. მაგრამ საკმარისია მეშჩანობაში შემოიჭრას რომელიმე ტრაგედიამ, მაშინაც ლოგიკა ირყევა: გონება აშშუნდება, რომ ცხოვრება არც ისე ერთფეროვანი და ერთაზრიანი ყოფილა, როგორც ეგონა მას. გამოინგარიშება და წინასწარ გათვალისწინება ცხოვრების მრავალმხრივობის შეუძლებელია: ადამიანი სუსტია, მისი სოფლობრივი განსაზღვრულია, იგი იცნობს მხოლოდ განსაკუთრებულ ჯვეფს მოვლენებისას, იგი იცნობს მხოლოდ ერთ კუთხეს შემოქმედებისა და სულის ტემპერატურით განკვრეტილს.

მაგრამ, ქვეყანაზე არაფერია ისეთი, რომ მოსევენებაში იყოს და ჰქონდეს მარადიული ტრიტებულება და ხასიათი:

ოოტისოდენა ქვიშის კენჭი და უებერთელა მთა-კლდეები რღვევისა და ცვალებადობის სტიქის ცრთნაირად ემორჩილებიან. შემთხვევებს და ცვლილებებს ექვემდებარება. ცველაფერი: უზარმაზარი მთა დღეს ამაყად გამომცემირალი დროთა განმავლობაში ნოკიერ მინდვრად იქცევა; ზოგ აჯგილას სრულებით მოულოდნელად ქვეყანა წყლით იცხება და მრავალ საუკუნეთა შემოქმედება იფარება...

Եშირად იქ, სადაც ტბა იყო და მეთევზეები თევზებს იქცერდენ, შენდება დროთა განმავლობაში მშვენიერი ქალაქი და ბალი. ხ'შირად ქალაქი კატასტროფიულად ისე ღრმად ვარდება დედამიწაშ-, რომ იქ, სადაც წინად ხალხი სცხოვრობდა და ბრძოლა იყო გამაღებული, იქ სადაც ოდესაც ტაძრებით და ღმერთებით ამაყობდენ, კანონებსა და იდეებს იგონებდენ, ეხლა ვხედავთ მხოლოდ სალ კლდეებს და ხეობებს.

ასე ეკარგება წუთისოფლად ყოველივე მოვლენას. და საგანს თავისი სახე, ეგრე ისპობა ინდივიდუალობა, ეგრე წარმავალია ცველაფერი, რასაც კი ვხედავთ, გვიყვარს და მოგვწონს: ცველაფერი ირღვევა და იშლება, ცველაფერი იკარგება და იძირება უნუგეშოდ და სამუდამოდ არარაობისა და ამაოების უფსკრულში აბატებიან და ჰქებიან საუკუნეთა ილლიუზიები; სილამაზე, მშვენიერება, აღტაცება, სიყვარული—ცველაფერი წარმავალია, ცველაფერი დროულია. რაც უნდა გრძელი რყოს ბეჭნიერება წუთისოფლად, დღე უბედურების მაინც დაღვება: სიცოცხლის ქარი მიჭირის და მიეჩარება.

საიდუმლოებითა: მოცული ჩვენი არსებობა წუთისოფლად და რაც ჩვენ ვიცით, ცველაფერი დროული. იგივეობაა: ჩვენ ვფიქრობთ წინ მივდივართ, მაგრამ ისევ იქ ვართ, სადაც ვიყავით; წარსულს უარვყოფთ და ისევ წარსულს ვუტრუნდებით; ქიმიაშ ალქიმია უარყო, მაგრამ პერსპექტივებში ვესახება ისევ ალქიმიის ეპოქა: შენდელეევის სისტემა ირღ-

ვევა, ევკლიდის პოსტულატები დაშალა ლობაჩევსკიმ, რომან-სა და ლეუანდრის აზალს სფეროებში გადააქვს ჩვენი სული-და იღეალები. მითიურ-კასმიური ეპოქა ჩვენი სოფლმხედვე-ლობის, რომელსაც ჰქონდა ოუგილი შორეულ წარსალში, კვლავ შედის ცივილიზაციის ისტორიაში და კვლავ რწყება. სამყაროის ანთროპომორფიზმი: დღეს ჩვენი ბიოლოგები მცენა-რებსა და მანერალებში სულსა და გრძნობებს ეძებენ; დაუ-ჯერებელი იყო წინად სიტყვებისა და გრძნობების უმავთუ-ლო გადაცემა; დღეს ჩვენი სიტყვები სივრცის დაუსრუ-ლებლობას არხევენ და ვნებიანი პარიზი უმავთულოდ ნიუ-იორქს ელაპარაკება.

შეიძლება მეტერლინკის ჰრეზანტიზმიც ან იყოს მოკ-ლებული ფსიქოლოგიური საფუძველს, მთელს ყოვლობას შე-იძლება, სულდგმულებს ერთი განცდა, ერთი „აზრი“, ერთი სული.

წუთისოფელი ჩვენი ტანჯვის დემონსტრაციაა. და ცივი-ლიზაცია ჩვენი ლელვას აორთქლება: დრო ჩვენი განცდით იჩომება და სივრცე ჩვენი წარმოდგენათა ილლიუზიაა.

წარსული აწმყოში შედის, აწმყო მომავალში; ყველაფე-რის ნაწილია ყველაფერი და ახლ ის ფორმაში ქველის სული. მოძრაობს.

ყველაფერი საუკუნეთა შჩომის, ძიების და წვალების ნაყოფია, ცხოვრების ყოველი სახე წარსულის განცდის. გა: მომხატველია; აის კავშირი უხილავი, მარადიული საიდუმ-ლოებით გარემოცული წარსულისა და ცხოვრების. ყოველი მოვლენის და წუთის შორის: ხშირად აღამინის უბრალო და უმიზნო ხელის მაქნევაში ისახება წინაპართა განცდა, მრავალ ათას წლიანი ორგანიული ტახცახი.

წარსულის სული ამოძრავებს აწმყოს, წარსულის შფოთ-ვით ნაშობი ორთქლი ათბობს მომავალს. უშინაარსო, უიდე-ლო და ჩახანი იქნებოდა კაცობრიობის ცხოვრება, რომ კაცო-ბრიობას ან ქონდეს წარსული, რომელიც სასოწარკვეთილე-

ბისა და უიმედობის ღროს ყოველ თვის თბლევა იდეალებისა და მისწრის ფეხათა განახლების მაგალითებს:

ამბობენ, თურმე, როდესაც მიქელ-ნჯელოს სახელგან-თქმულ ქანდაკება — „მოსე“ შექონდათ მუშებს მუზეუმში, მიქელ-ანჯელო შორიცან უყურებდა ქანდაკებას, და როდესაც ქანდაკება ვერ შეეტია მუზეუმის კარებში, მიქელ-ანჯელო წამოვიდა გულმოსული, მიუახლოვდა ქანდაკებას, რაც ლონე ჰქონდა, მოიქნია ხელი და დარტყა „მოსეს“ თავზე ჩა-ქუჩი რად ვკრიბევი, განა ირ იცი, რომ შენშია ჩემი სუ-ლოო, — უთხრა მიუქანდაკემ ქანდაკებას.

შემოქმედების ცეცხლმა როინდომა ნივთიერების გასულ-დგმულება და იდეალის განივთიერება: წარსულის განცდა (მიქელ-ანჯელო) ეტროფიდა, „წარსულის“ (სიმბოლო — მოსე წინასაწრმელყველი) სახეს და ტროფიზა ჰქმნიდა. რელიგიურ აღტაცებასა და ილლიუზიებს. შორეულ აღმოსავლეთის სულის-კვეთება განსახიერდა დასავლეთის სულის განცდაში: ასე უერთდება წარსული აწმყოს და მომავალს; ასე გადადრეს ორ-განიული მღელვარების პროცესი შემოქმედებით აღტაცებაში: ყოველი წუთი ამ ქვეყნად განსაზღვრულია საუკუნეთა მიმდინარეობაში, ყოველ მოქმედებაში. და აქტივობაში; წუთი-სოფლის ყოველ კუნჭულში თავმოყრილია სურვილი, რო-მელიც შეიქმნა სტიქიურად, ირაციონალურად მრავალ ათა-სი წლის განმავლობაში. ჩვენი წინაპართა სულები ტრი-ალებენ ჩვენში და ჩვენს გარშემო: იგინი მოჩაწილეობას. ღე-ბულობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წარსულს ყოველთვის აქვს მოპოებული უკვდავება აწმყო-ში და მთელი ჩვენი სულები არსება ცხოვრების წარსულის შინაარსეს განმეორება; მხოლოდ ამ განმეორებას აქვს თა-ვისი ინდივიდუალური სახე, რომელსაც მემკვიდრეობა. გადა-ყავს შარალობაში; დააკვირდით ცხოვრებას, შეისწავლეთ, თა-ნაძეროვე კულტურა, სტილი, შემაღებენლობა, შინაარსი; შეიხედეთ ტაძრებში, მონასტრებში, სხვა და სხვა დაწესებულე-

ბებში; —მ უხედავათ ორი ათასი წლის ქისტიანობისა, წარ-
მართული გრძნობა კიდევ მძლავრია ჩვენში; დასავლეთ ევრო-
პის სხვადასხვა ქალაქების ქველ ტაძრებში, თითქმის ყოველ-
გან დაინახავთ ჩვენი წმინდანების გვერდით წარმართული
გრძნობის გამომხატველი ღმერთების სურათებს. ამ მხრივ პა-
რიზის ღვთისმშობლის ტაძარი წარმოადგენს საუცხოვო მაგა-
ლითს: სახელვანთ ქმულ ტაძრის („ნოტრ დამ დე პარის“)
სახურავზე ფაკეთებულია დიდი ქანდაკება ქიმერების — Chiime-
res. ქიმერები და დემონები — ღვთისმშობლის ტაძრის ს. ხუ-
რავზე — საშპოლოა გამომხატველი უზილავი და გამოუცნობე-
ლი კავშირისა, რომელიც არსებობს მოვლენათა შორის და
რომლის საიდუმლოებით მოცული ძალა განავებს ადამიანის
ცხოვრებასა და სიცოცხლეს, შეადგენს ადამიანის ბეჭის-წე-
რას, აღელვებს სხეულთა და მოვლენათა ზღვას და აერთებს.
ცხოვრების გამოუთქმელ ტკიულებს და წუთისოფლის ნეტა-
რებას; აი ძალა სტიქიური, იჩაუიონალური, ძალა რომელიც
იშვა ცხოვრების ვნებათა ღელვაში, რომელიც სცდლობს
შეზღუდოს ყოველივე მოვლენის და არსის თავისუფლება და
რომელსაც ძელი ბერძნები ეძახოდენ მორიას, წუთი სოფლის
მოვლენათა და ძალთა მთვრალ ქანაობაში იბადება იდეა აუ-
ცილებლობის: აქ იწყება კავშირი ქრ სტესა და ლიუციფე-
რის შორის, აქ ისარება იდეა ცხოვრების ორმაგობისა — გან-
ხეთქილებისა და შეთანხმების, ბრძოლისა და შერიგების. სწო-
რედ აქ არის იდეალისა და რელიგიურ ძიების დასაწყისი:
სწორედ ეს აღელვებდ, წარსულში გმიჩებს, და ღმერთებს,
და ამით იტან ჯებოდენ პრომეტე, ქრისტე, ბუდდა.



ესთეტიური იდეალი

არსებობს საშვეარი ესთეტიური თვალთახედვა: ესთეტიკა იდეალის (პლატონი), ესთეტიკა ინტელექტის (კანტი), ესთეტიკა სოციალური სიმპატიის (გიური). პლატონი და პლატონი წუთისოფლის მიმდინარეობას უყურებენ, ოოგორც დროულ ფორმას მარადიული უნივერსალიიდისას — universalia ante res. რაც არის, არის ოოგორც დროული გამოსახულება იდეალის, ოოგორც რეალურია მარადიულიად, ოოგორლაც არა აქვს დასაწყისი, ოოგორლი არ იხრწნება არასოდეს. სახე ყოველი ცხადყოფს წყობას, რიგს, სისტემას, ოოგორლა არიგინალები ინახება შორეულსა და შეუცნობელ სამყაროში. არის ქვეყანა, სადაც ბინადრობენ საერთო იდეები, უკვდავი რეალიები, არის სფერო კოსმიური, სადაც ფერწები და სახეები, ფორმები და წირები არასოდეს არ იშლებიან. ყოველი საგანი, ოოგორლი წუთისოფლად არსებობს, სახეს იღებს ჩვენს სულსა და წარმოდგენაში: იმიტომ, ოოგორიგინალი ამ სახის სხვაგან, სხვა სამყაროში: არის და ასლი ამ ორიგინალის ჩვენში იმყოფება; ოოგორლი გამოკრთომა ზე-დროულისა და მარადიულის.

დეკარტის შემდეგ სამყაროს გრძნობითი ფორმები — ფერები და ხმები, ზორალური და ესთეტიური თვისებები — სიკეთე და მშეგნიერება თანდათანობით ანთანაზორებით და დაზოგისტერ სახეს იღებენ: კანტი ესთეტიური სიამოვნების გრძნობას ხსნის ჩვენი ინტელექტის თამაშით და შეცნაურებაზა სიმსუსუქთ. შილლერი და ინგლისელი ეფოლიუპიონისტები შეთანხმებულად, მწყობრად აყალიბებენ თეორიას; ესთეტიური ემოცია და ინტელექტუალური თამაში ერთი და იგივეა. ესთეტიკა ამა თირად ფსიქოლოგიურად დილექციას ტეზით, ფორმა-

ლიზმით და ტანსცენდენტალური სკეპტიციზმით თავდება; ხელოვნება — იდეათა თამაში — აი ტანსცენდენტალური ესთეტიკის უკანასკნელი სიტყვა.

გრუიო უარყოფს ხელოვნებას ორგორუ თამაშს იდეებისას და ამტკიცებს, რომ ესთეტიკური იდეალი ბათდისაშიური და სოციალური ხასიათისაა; ქვეყანა გრძელობისა და ნებისყოფის, ქვეყანა რეალური და იდეალური ერთმანეთს ედულება და რაც ღრმა და სერიოზულია ჩვენში, რაც ჩვენი ინდივიდუალობის მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს, რაც ჩვენს სულსა და გულს აღელვებს და ოსთვის ჩვენ გვეხარჯება ორგანიული, კუსთური ენცრეგია, არის საფუძველი ესთეტიკური იდეალისა; კანტის ესთეტიკა ესთეტიკა შეცნაურებათა თამაშისა და ჰურუტის გარდაიქმნა ფსიქოლოგიურად განცდისა და ორგანიული იმპულსის ესთეტიკად; შიმშილი და გაძლომა, სითბო და სიცივე, ვნება და ზიზღი ორგანიული ესთეტიკის ფსიქოლოგიური წახნაგებია: წინამდეგობანი ვქმნიან ტაქტისა და რიტუმს და ლტოლვა მშვენიერებისადმი არის არა წმინდა ინტელექტის ათამაშება, ორგორუ კანტი ფიქტობდა, არამედ ღრმა ორგანიულ-ბიოლოგიური მოთხოვნილება ჩვენი ბუნების და ფსიქურის, ისეთივე მოთხოვნილება, რ. გორუ შიმშილი და შუურვილი.

ფრნველი მღერის არა განსაზღვრული მიზნითო — ამბობ და შილლერი, ჩვენ ვიტყვით: ფრნველი მღერის არა განსაზღვრული მიზნით, მაგრამ განსაზღვრული ორგანიული გრძნაბა, არხევს მის ნერვიულ ბუნებას და განსაზღვრული ბიოლოგიური სურვილი ამღერეს მას: ფრნველი მღერის იმიტომ, რომ განიცდის ან სექსიურ ლტოლვას, ან შიმშილს, ან შიშს, ან კმაყოფილებას; განცდა ამეტყველებს არსს და სურველი ნდოშის ნებისყოფის ესთეტიკური ფორმაა: ნდომა თუ ჩვენში არ არის, არც მშვენიერება და არც იდეალი ჩვენთვის: ვისაც სურვილი არა აქვს, იმისთვის მშვენიერი ელენეს! სახე და დახტული ბოლოება ერთი და იგივეა: ჩვენი სურველი

ლი მემკვიდრეობით მიღებულ თვისებათა ინდივიდუალური ფორმა და ყოველ ლტოლვაში ჩვენ გამოეხატავთ ძალაუნებურად არა მარტო იმას, რაც ჩვენ გვინდა, არამედ იმასაც, რაც ჩვენს წინაპრებს უნდოდათ და რაც ჩვენში გადმოვადა ოფორტუ წარსულის ნაშთი, დიდი ხნით დამზადებული...

შორეული წარსულისდან ადამიანი სხვა და სხვა საშუალებებით უკვეშირებს თავის თავს, თავის ჭანცლებს და იდეალებს სამყაროს: მითიურ — კოსმიური ხოციოლოგია საფუძველია რელიგიის და ესთეტიკის; იდეალი რელიგიური და ესთეტიური იდეალი ერთმანეთს მისდევს ყოველი ერის ცხოვრებაში: რელიგია და ღმერთები, გმირები და ხელოვნება ერთმანეთის შევსება და დამატება; რელიგია იძლევა ბუნების მოვლენების განმარტებას, მოვლენათა შორის კავშირს და ზეტტოლ ნებისყოფის სიმბოლოს; რელიგია ემბრიონალური კოსმოლოგიაა, და როგორც ასეთი, ადამიანის მასწავლებათა აბსოლიუტური გამოსახულებაა. დროისა ზა სივრცის განსაზღვრულობას რელიგია უარყოფს და იღებს წუთი — სოფლის მიდინარებას ისე, როგორც არის, იმ იმედით, რომ სხვა სამყაროში ანაზღაურებული იქნება... ხელოვნება, პირიქით, განსახეობაში იძლევა ინტენსიურსა და ექსპანსიურ იდეალობას, რომელიც არ ემორჩილება არაეთიარ კანონს, გეგმას, მოვალეობას, გარდა ლრგანიულ — ესთეტიური სიამოვნებისა და მეობის სისახსის შეგრძნობისა.

რელიგია საგანია მსჯელობისა და რწმენას; ხელოვნების სფეროა განცდა და განცდის ესთეტიური წარმოსახვა; ხელოვნების მიზანია იდეალის დაუყონებლივი რეალიზაცია: კათოლიკების ეკლესიაში ჩვენ ვვრძნობთ, რომ მუსიკა და მხატვრობა მაშინათვე აკმაყოფილებენ ჩვენს სულს; წარმოდგენაში გვაქს მარადობის შიში და იმედი, შორეულობაში ვეძებთ აზრს არსებობისას; მაგრამ მუსიკა და მისტიური აგუგუნება ხმების აღებენ გრძნობის კარებს და ლცნებაში გვესახება ის, რაც ენას ვერ გამოუთქმამს და

რაც გულს უნდა. ხელოვნების საგანი მით უფრო დიადია, რაც უფრო ღრმა არის განცდა წარმოდგენაში ასახულ მოვლენის. განცდაში თანდათანობით იშლება ილიუზია რეალობისა. ეს ილლიუზია აერთებს ინდივიდუალობას საკუთალობასთან და სამყაროსთან: გრძნობის სიმბოლო, რომელსაც ხელოვნება იძლევა, აღზარებს ჩვენს ნერვიულ-ფსიქიურ ბუნებას და, ყოველგვარი ნაწარმოები ხელოვანისა მაშინ არის კეშმარიტი და დიადი, თუ იწვევს ჩვენში სოციალური ან კოსმიური ხასიათის სიმპატიის განცდას. ხელოვნების პრინციპი სოციოლოგიურ-კოსმიურია: ხელოვნება ჩვენ ყოველთვის გავერთებს ვინმესთან, ან რამესთან; ჟული ჩვენი აწყობილია სოციალურად და კოსმიურად; ტანჯვის გრძნობას ანახევრებს თანაგრძნობა; სიხარულს ღორკეცებს კოლექტიური განცდა. როდესაც ჩვენს გარე შემო ტირილია, ჩვენც გული გვეკუმშება მწუხარებისაგან; ჩვენს გარშემო რომ სიხარულია, ჩვენც სიხარული გვივლის ტანში; სცენაზე რომ ქორწილია; ჩვენც ნაწილობრივად განვიცდით ქორწილს. როდესაც ჩვენ რომელიმე დიდი პოეტის ნაწერს ვკითხულობთ, სახე გვეწყობა შეფარდებით იმ აზრებთან, რომელიც წიგნშია. გრწნობა კარგად გამოხატული გადამდებია, როგორც „ისპანკა“, იდეა ხელოვნებისა დინამიტია სოციალური ევოლუციის და ყოველი გრძნობა, ყოველი ჩვენი სიტყვა, მიუხედავად ჩვენი პრინციპისა და სოფლმხედველობის, ჩვენ გვაერთებს ყოვლობასთან.

კასტიური ფსიქოლოგია და ესჯეტიური იდეალი ძველი იცრიცება: ეპოქა განდევილობისა და რომანტიული ინდივიდუალიზმის, ფაუსტისა და პამლეტის ეპოქა გვიმტკიცებს, რომ ინდივიდუალური ტანჯვის ილლიუზიების გზით ჩვენ, როგორც ოსკარ უაილდი, მივდვირთ კოლექტივიზმის და კოსმიზმისაკენ. ძველი ეპოქის გაშლიილობა, საშუალო საუკუნოების ვაგაბონ ღური ტრუბადურიზმი, გოტიური სულის აღმაფრენა და რომანტიულ-კოსმიური აზვერადება მაჩვენებელია იმის, რომ ადამიანი თანდათანობით შედის თავის განცდებით

და ილლიუზიებით ახალს სამყაროში საზოგადოებრივობისა
და ყოვლობის სფეროში,

თანამედროვე მეცნიერება და ტეხნიკა მითიურ-კოსმიური
სოფულმხედველობის რეგენერაცია; ნივთიერების იონებად
დანაწილება, ახალი ქიმიური ელემენტების მიკვლევა, ჰაერის
დაპყრობა, ოკეანებისა და კუნ სულების შეცნობა, მსოფლიო
დეტალების და ხვეულების თანდათანობით ათვალთვალება
თანამედროვე მეცნიერებას ძლიერს მეტაზოზიკურ ხასიათს და
სული ჩვენი შეუცნობელის სფეროში შედის, სავსე ფორმუ-
ლებით და პრინციპებით, როგორც შეიარაღებული რაინდი
გოტიურ სტილის სასახლის დერეფანში შედიოდა, სავსე მის-
ტიური გრძნობით და ნერვიულ-ფსიქიური ატორტმანებით;
პოეზია არის მეტაფრიკური ფორმა. მეცნიერების და უმაღ-
ლესი მეცნიერული დებულებები და თეორიები. ყოველთვის
თავდება ლეგენდარული პათოსით.

მეცნიერი წერს ღწურსა და დეტალურ ისტორიას ქვეყ-
ნისას, პოეტი ლეგენდებად ანაწილებს წუთისოფლის სახეებსა
და ფიქრმებს; თვით ლეგენდა რეალური დოკუმენტების ჯღ-
წურესი ელემენტია, უფრო ფილოსოფიური, ვიდრე ისტორია
ფაქტებისა; ისტორია მოგვითხრობს. მხოლოდ მშრალსა და
საზღვაო ფაქტებზე იმ დროს, როდესაც ლეგენდა აყალიბებს
ღრმას და მარადიულ გრძნობებს, რომლებმც წარმოშვერ
თვით ფაქტები.

რაც დღეს კეშმარიტი და ფაქტია, ხვალ ის ლეგენდათ იქცე-
ვა: სიშორე რეალობას აბნელებს და აზვიადებს; რაც ახლოა
— ფაქტია, რაც შორსაა — ლეგენდა: ზედმეტ სინათლისაგან
მთის მწვერვალიდან სივრცე შავად მოსაჩნს და ხშირად უდი-
დესი კეშმარიტება და რეალობა უშვენიერესი ლეგენდაა
წუთისოფლისა. დღვანდელ სალონებსა და თეატრებში
ელექტრონით განათებული ფორმები მისტიურ სახეებს იღე-
ბენ და რეალობის განცდა ჩვენში უმეშვეოდ გადადის.
ჭრეულობის შეცდაშეამო. დღევანდელი მეცნიერება პოეზიისა

და შეტატიზიკის შესავალია: სამყაროის გრანტიოზულ ჭაბარში მეცნიერი მხალოლ მექარეა, პოვტი კი ქურუმი, ფილოსოფოსი — მოგვი.

მეცნიერება ბოლოს და ბოლოს ერთგვარი ფორმა ხელოვნების — ფორმა ალქატი და სტატიური; ხელოვნება უმეშვეო გამოსახულებაა კოსმიური სულიერობის დონამიური დენისა, ყოვლობის მატერიული მუხვადობის და შემოქმედებითი განწვალებისა; მეცნიერულ დებულებათა ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენათ შესაძლებელია განრიგება ფაქტების დროის და სივრცის პირობებში. პლანეტა-რული ლოგიკისა და ტრადიციული ტროპიზმის მიხედვით; ხელოვნება არღვევს ბანალობას ჩვეულებისას, ყოველდღიურობისას ჩვენი ნერვიულ — ფსიქიური იმპულსების ამყოლეობით და დროულ სახეში გვიჩვენებს. მარადიულის ვლენას.



ი ღ ე ა ლ ი დ ა ტ ა ნ ჯ ვ ა:

კაცობრიობის იდეალი კულტურის საერთო მსჯლელობასთან ერთად ვითარდება, ესთეტიკა კულტურის უსრულესი გამოსახულებაა: კულტურა ტანისა და სულის, კულტურა ორგანიული და ფსიქიური, კულტურა მორთულობისა და ყოფა-ცხოვრების ერთგვარი ესთეტიზაციის პროცესია; დიდი კულტურა ყოველთვის ღრმა ესთეტიური იდეალს გამოსახავს და კულტურის პერიპეტიობში სული ჩვენი თანდათანობით ეჩვევა სილამაზის დაფასებას, გული ჩვენი თანდათანობით ითხოვს ესთეტიურ გაქანებას, ტრიალსა და ხეტიალს, მოძრაობასა და ათამაშებას: ევროპიული ვალსი, ჩვენებური ლეკური, სალონური ახითხითება და გრძნობათა არითმია კულტურული აღამიანის ნერვიულ—ფსიქიური არყევის მაჩვენებელია და სექსიურ—ეროტიულ ვნებათა ღელვასთან, ერთად გამოსახავენ სურვილს კოსმიურ გაშლიილობისას და გაქანებისას შარადობისაკენ.

მუსიკა უმეშვერ ამოქანილია ადამიანის ნერვიულ—ფსიქიური რხევის. მუსიკის ხმა ჩვენ გვაჩრმევს ჩვენს საკუთარ მეს, ჩვენს განცდებსა და იდეალებს, რათა გადაგვიყვანოს ყოვლობაში, რათა სოციალური ემოციებით და ჩვენი ლირიული გრძნებით მარადობასთან შეგვაერთოს; ჩვენი ზურნა და ჭიანური ჩვენი ისტორიული ფსიქოლოგიის ინსტრუმენტალური ახმაურებაა: შეწუხებული ხმა, დაჩქარებული ბგერები, თითქო ჩვენი წინაპრების ალევებას და მოძრაობას გამოსახავენ, თითქო ჯელად-ედინები, ხოჯა ხანები, შაჟ-აბაზები და მათი ურდოები დაძრწიან ხევებში, თითქო ჩვენი წინაპრები გარბიან მთათა ბილიკებით: გულშეწუხება, აჩქარება, ატორტმანება, დევნა, ტკივილები, ცრემლები—თითქო ეს ყველაფერი

ერთად ისმის ზურნასა და ჭიანურის ხმებში: რაც უცხოელებისთვის გაუგებარი და მყვირალაა ამ ხმებში; ის ჩვენთვის რიტმიული და მუსიკალურია: წარსულის განცდა შენახულა ჩვენში და ამ განცდის რხევა ჩვენს ნერვიულ ხვეულებსა და უჯრედებში მუსიკად იქცევა; როცა გვესმის ჩვენი ფსიქიურ მდგომარეობასთან შეთანაბრებული ახმაურება ნივთების და ინსტრუმენტებისა.

ყოველგვარი ესთეტიური იდეალი გამოსახავს ტერიტორიულ-ტროპიულ გემოვნებასა და სულიერობის წყობას: მხატრულ ნაწარმოებს აქვს ესთეტიური ეფექტები მხოლოდ იმ აღამიანისთვის, რომელსაც აქვს ფსიქიური ორგანიზაცია: სწვრივადი იმასთან; რომელმაც შექმნა ესთეტიური ეფექტი. ღირებულება მხატვრული ნაწარმოების გაიზომება იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათის სულიერი ამყოლეობას იწვევს ჩვენში, თუ ჩვენი სურვილები და განცდებია გამოხატული, ჩვენ მოგვეწონება, თუ არა და არა; ტოლსტოი განსაკუთრებული ფილოსოფიურ — რელიგიურ თვალთახელვით აფასებს: შეკსპირის და ლაპა ჩაკობს: შეკსპირის ნაწერები არავითარ ლიტერატურულ — ესთეტიურ ღირებულებას არ წარმოადგინსო ლოგიკა ტოლსტოის რუსი ბარინის სოფლმხედვებობის გამოშვანელი, ვერ იგუებს შეკსპირის გამლილობასა და ირაციონალობას.

საფრანგეთის პსევდო — კლასიკებიც, განსაკუთრებული თეორიით შეზღუდულნი, შეკსპირის როგორც ტოლსტოი ისე უყურებდენ: შეკსპირი მწერალი არ არისო, ამბობდა ვოლტერი.

ლიტერატურული ნაწარმოების ღირებულება ყოველთვის შეფარდებულია საზოგადოების ფსიქოლოგიასთან: აზრი კარგია, თუ კი ესაჭიროება რომელიმე ჯგუფს ან ეპოქას; იდეას პატივს სცემენ იმდენად, რამდენად სოც. ისტორიულ შეგრძნობას გამოსახავს; ისტორიაში გასავალი და ფასი აქვს ისეთ აზრებს, რომელნიც ჯგუფური, ან ისტორიული განცდის მაზეებელია.

— თვით იდეა. თავის ბუნებით შედეგია არიგანიულ ფსიქიური აეიოტაჟის: არა მარტო იდეა ლიტერატურული, არა-მედ ყოველგვარი ცნება კუთხური ან ინდივიდუალური გა-ნაპირებაა. ზოგადი ფსიქოლოგის, ზოგადი მეტყვე-ლების; მხოლოდ ყოველგვარი ფსილოლოგიური ზოგადობა თავის თავად რასიულსა და პროფესიულ—კუთხურ ილლიუ-ზიებს ეყრდნობა; არის ილლიუზია, რომელიც მთელს კაცობ-რიობას ეწვენება, რომელსაც იზიარებს არა ერთი ერთ და საუკუნე (idola tribus) რომელიც ინდივიდუალურ გემოვნე-ბას აქმაყოფილებს და მეტყვიდრეობით მიღებულ თვისებებს აყალიბებს; არის ილლიუზია თეატრიული (idola theatri), რო-მელიც გამომდინარეობს დიდი ავტორიტეტებისა და ტრიუ-ნების სიტყვებისაგან.

ილლიუზია მოუა ბოლმე კაცობრიობას და ატრიალებს ყოველ ეპოქას თავისებურად; ილლიუზია მოუა ერს და კერ-ძო ადამიანსაც: დრო გამოშვებით ადამიანი განიცდის ილლი-უზებს, როგორც ერთგვარ ვადმყოფობას, როგორც ერთგვარ ინფლუენციას; ილლიუზია ისე გადამდებია, როგორც ინ-ფლუენცია; ილლიუზია ადამიანს იმორჩილებს სავსებით და თავის ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ ინტერესით ალაპარაკებს; ინდივიდუალური ფსიქიკის ფესვები ფიზიოლოგიურ-ნერვულ ბუნებაშია და ჩვენი იდეალები დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენი ენერგია, სისხლი და სითბოა ჩვენს სხეულში; ვაჩ-დის ფერი სახე და იმედები, რომელიც ეჩვენება ახალგაზდას, არის იდეიური გამოკრთომა მისი შენაგანი ორგანიული სისავ-სისა, ენერგიისა და გრძნობის; მოხუცისთვის ქვეყანას ნაკ-ლები ფასი და ნაკლები სახე აქვს.

ენას ალაპარაკებს განცდა: ჩვენ ვატასებთ მხოლოდ იმას, რაც გვეკრება, რასაც ვხედავთ, რაც ჩვენთვის სასარგებ-ლოა; იდეა სარგებლობისა—ეგოცენტრიზმი ტრაპიული ფსი-ქოლოგის აზარმაცია; ალტრუიზმი ერთგვარი ფორმაა ეგო-იზმის: ადამიანი გულკეთილია არა იმიტომ, რომ სხვისთვის

უნდა კარგი, არამედ იმიტომ, რომ გულკეთილობა მას სია-
მოვნებს პირადათ; მდიდარი რომ ღარიბს აძლევს, ღარიბზე
არა ნაკლებ სიხარულს განიცდის თვითონ იმ გრძნობაში,
რომ მას შეუძლია გაცემა: „რასაც გასცემ შენია, რაც არა
დაკარგულია!“.

ალტრუიზმი ეგოიზმის ფსიქოლოგიური ორეულია: რო-
ცა გაქვს, გაქვს სურვილი გაცემის; ვისაც არა აქვს, არც გა-
ცემა შეუჭლია.

* * *

ადამიანი მოწაფეა და ტანჯვა მისი მასწავლებელი; სისხ-
ლით იწერება ისტორია და ცრემლებით ირეცხება საუკუნო-
ები; რაც არის, ყველაფერი ტანჯვამ შექმნა და ვინც იტან-
ჯება, ის მარადიულს ხედავს წარმავალში.

ტანჯვაში სულს ნათელი ეფინება; ქარიშხალი და ვნება
სულს ლვთაებისაკენ ეძახის: ძველი ლმერთები და გმირები,
ტაძრები და კერპები ტანჯვის შემოქმედებაა.

ადამიანის გულში არის სისათუთე, რომელიც სავსეა ტან-
ჯვათა გამოსახულებებით, მოგონებებით, სახეებით და ლანდე-
ბით; სული ძლიერია და მდიდარი მხოლოდ მაშინ, როდესაც
ტანჯვა უკვე გაიარა...

ტანჯვა ჰქმნის სილაპაზეს: რაც უფრო ვიტანჯებით, მით
უფრო ექებს სული ლამაზ სახეს, სისრულეს, ხმაშეწყობილე-
ბას; მილოსელი ვენერა ისეთი სულის შემოქმედებაა, რომე-
ლიც არ იყო კმაყოფილი და იტანჯებოდა, რომელსაც ენატ-
რებოდა სრულყოფილი სილამაზე.

ტანჯვაში ისახება სურვილი გაშლისა, გალალებისა, გა-
ქანებისა: ერი, რომელიც სხვაზე მეტს იტანჯება, სხვაზე უფ-
რო მალე იგონებს, ლმერთებს და იდეალებს, მეცნიერებას და
ხელოვნებას

მეტყველება და ტეხნიკა – ორივე გაჭირვების მოხერხე-
ბაა და რასაც მდგომარეობა უკარნახებს, რმას აკეთებს სული
და ტანჯული.


ყოველი ერთი რელიგია ფსიქოლოგიური ასახვად ონთობილოგიური მდგომარეობის: ეგვიპტელების ღმერთი იყ ა ხარი, რაღან ხარი ეგვიპტელებს ძალიან ესაჭიროებოდა მიწის დამუშავებაში.

საბერძნეთში ყოველი ქალაქი-თავის ღმერთს აღიდებდა და ყოველი ღმერთი იყო გამოშატველი აღამიანის ინტერესებისა და სურვილების.

იდეალი შორეულისა და ზედროულის მხოლოდ დროისა და პირობების შედეგია; რაც მარადიულია, ის შეიქმნა დროულ პირობებში; რაც დროულია, ის მარადიული თვალთახედვით ყალბია; რასაც ოდესლაც აღიდებდნ, ის დღეს ჩვენ გვეზიზლება და რასაც დღეს ჩვენ ვადიდებთ, ის მომავალს სასაკროდ არ ეყოფა.

ყოველი საუკუნე თავისას ამბობს, ყოველი ერთი თავისებურად ლოცულობს და ყოველი აღამიანი თავის თავს ატყუებს. კეშმარიტება მხოლოდ კეშმარიტების ილლიუზია და ხშირად ბორბოტება. სიკეთეა, ისე როგორც სიკეთე ბორბოტებაა:

ქრისტემ ლაზარე გააცოცხლა—განა სიკეთე უქნა?— ლაზარეს ორჯერ სიკედილი დასჭირდა, რომ არ გაეცოცხლებია, მხოლოდ ერთჯერ მოკვდებოდა. ტყუილი არასოდეს არ თქვაო, ჩვენ ვეუბნებით ბავში, მაგრამ ჩვენ თვითონ ვაშბობთ ტყუილს, როდესაც ბავში ავად გახდება: დალიე, წამალი ტკბილია შაქარივითო. ჯარის უფროსი ჯარის კაცს ტყუილისათვის სჯის; მაგრამ ბრძოლის ველზე თვითონ ამბობს ტყუილს, რომ გაამხნეოს ჯარის კაცი: მდგომარეობა ჰქმნის ლოგიკას, გაჭირვება ჰქმნის ილლიუზიას; მდგომარეობის და გაჭირვების გარეშე ყველაფერი სოფიზმი და ლეგენდაა.



ი დ ე ა დ ა ფ ო ჩ მ ა

იდეა ნიშნავს აზრს, შინაარსს, შინაგან ლტოლვათი ღა ხილვათა ლოგიურ სახეობას.

ფორმა არის მოკვეთილება ნაკვთებისა, შეტქველება გარეგნობისა.

იდეა ჩვენი შეცნაურების შინაგანი რაობაა.

ფორმა ჩვენი ერთდროული შთაბეჭდილების ეფექტული შოკვეთილებაა.

იდეა თეორიულ-ლოგიური პრინციპია შემოქმედებისა; ფორმა ჩვენი შემოქმედებითი კვრეტის ილლიუზიური განსახეობაა.

იდეა და ფორმა ორი დიდი ელემენტია ყოველი შემოქმედების, ისტორიისა და ციფილიზაციის, ყოველი სახის.

შეტყველებისა და ლიტერატურის ისტორიაში არა ერთხელ დასმულა საკითხი: რა უფრო მნიშვნელოვანია ცხოვრებასა და შემოქმედებაში — იდეა, თუ ფორმა? აზრი თუ გარეგნი სახეობა?

რა არის უფრო დიადი და მეტყველი: შინაგანი რაობა, თუ გარეგნი სახეობა?

ციფილიზაციისა და კულტურის გრანდიოზული სახეები რაში უფრო გამოიხატებიან: ნაკვთთა სიმეტრიაში თუ ლოგიურ სახეობაში?

განსაკუთრებით მწვავედ წამოაყენა ეს საკითხი მხატვრულმა ლიტერატურამ: გამოჩდენ მწერლები, რომლებიც თამამად ლაპარაკობენ ფორმის უპირატესობაზე, ნაკვთთა სახეობის სიღიადეზე. ამტკიცებენ, ყოველ შემთხვევაში ცდილობენ დაამტკიცონ, რომ იდეა შემოქმედებისა ბოლოს და ბოლოს ფორმის. რითმიულსა და რიტმიულ წყობაში გამოიხატება, რომ ფორმა არის ყველაფერი და აზრი კი მეორე ხარისხოვანი ელემენტი.

მართალია თუ არა ეს?

— შემოქმედება, იქნება მხატვრული თუ თეორიულ-მეცნიერული—სულ ერთია; არის ერთგვარი ესთეტიური გან-სხეულება აღამიანის სულიერი მღელვარებისა; ყოველი აღა-მიანის სულიერი მღელვარება; ყოველი აღამიანის გრძნობე-ბისა და ცნებების შემოქმედებითი მოძრაობა არის ერთგვარი ენე-გის დახარჯვა, ერთგვარი ლოგიურ—ესთეტიურად ჩა-მოყალიბება ნებისყოფის კადყოფისა. ყოველი ნებისყოფის ცხადყოფა გამოიხატება ნერვიულ შერხევაში, შემოქმედებით განცდაში: მხატვარმა, მეცნიერმა, მწერალმა ჯერ თვითონ უნ-და დაინახოს სახე, ჯერ თვითონ უნდა შეიგრძნოს და შეია-ცნაუროს და მხოლოდ შემდეგ ინდივიდუალურ სახეშეგრ-ძნობისა შეიძლება გაობიექტივება, გარეთ გამოტანა.,

შემომქმედს შეუძლია პკვეთოს ცხოვრების სახე მხოლოდ განცდის დაზგაზე.

განცდა არის ესთეტიური სახეობის საფუძველი: განცდა-ში გამოიხატება შინაგანი ხილვა შემოქმედებითი გრძნეულე-ბისა.

ამ შინაგანი ხილვის გაობიექტივება შემოქმედებითი პრო-ცესის განსხეულება; ყოველი განსხეულება ფორმის ჩამოყა-ლიბებაა. შემომქმედი ჯერ ათამაშებულია: მან არ იცის რა ხდება მასში: ის მხოლოდ ამოძრავებულია გამოუთქმელი: სი-ზარულით, მწვავე სიტემობით; ის ეძებს თიხას, მარმარილოს, ტილოს, ქალალდს: ინსტინქტიურად გრძნობს მისტიურ ორ-სულობას; გრძნობა გადადის განცდაში და იწყება ღვთიური ატალება ნების ყოფისა, იწყება შინაგანი ხილვა: იდეალური სახისა, ფსიქოლოგიურად მოძრავდება ესთეტიური: ნაკვთების ლოგიური ძყოვლადება: სხეულებრივი ოცნება სინამდვილის-ჭენ მიიწევა, თვით სინამდვილე აღამიანის სურულებში ილე-სება, იჩალხება და ერთეტური სახეცვლილებას განიცდის. შემოქმედებით დაზგაზე იკვეთება იდეალური სახე.

დიალი და ღვთაებრივია. აქ ილეა, სხეულებრივი ოცნე-ბა; ფორმა, ფერები, ნაკვთები, ხაზები მხოლოდ ტანისამოსია.

შემოქმედებითი სულიერობისა, მხოლოდ დროისა და გემოვნების შესაფერი გარევნობაა. მარადიულობა მხოლოდ იდეაში გამოიხატება, მხოლოდ იდეა არის გამომსახველი მარადობის მეოსნურ—ფილოსოფიურ შეგრძნობისა, სამყაროს დაუსრულებლობის შეცნაურებისა, ზოგადი, საკაცობრიო სევდის ღვთაებრივი განზოგადებისა. ყოველივე შემოქმედება მხოვლიო სევდის გამოსახულებაა, შეგრძნობა ამ სევდის პოეტურად და ფილოსოფიურად სულის აწყობა.

შვენიერია წუთისოფლად მხოლოდ ის სახე, რომელშიაც და რომლის საშუალებით ადამიანი გამოსახავს მარადობის წყურვილს და არსებობის სევდას. ტარიელის ცრემლები რუს პირად, ავთანდილის სიმღერა მულდაზანზარის ველზე, დანტეს დაუსრულებელი ხეტიალი, შექსპირის გრანდიოზული ოკრებები ჩვენი სულის მარადიული სევდიანობის სახეებია.

სამყაროის თვალგადაუწვდენელს სივრცეში წუთისოფლის წარმავალობის შეცნაურება პოეზიას აერთებს ფილოსოფიას—თან: სალაშო ყამს, როდესაც სული ჩვენი ითვალისწინებს და კიდევაც გრძნობს სიცოცხლის არარაობას, როდესაც ჩვენში ღლიძებს მარადობის წყურვილი და ჩვენ ვეტრფით დაუსრულებლობის სიჩუმეს, როგორც შეყვარებულნი, ჩვენს აზროვნებაში ცხოვრების შინაარსი ღვთაებრივი სევდის შეგრძნობაში გადადის: მაშინ ადამიანი გრძნობს ერთ და იმავე დროს წარმავალობის სიმწარეს, და მარადობის სიყვარულს.. რა თქმა უნდა, ვირები ამას ვერ გრძნობენ, მაგრამ დიჭი პოეტები და შეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები და მორალისტები აქ ერთდებიან. ცხოვრების სახეების სიმშვენიერე და ამ სიმშვენიერის წარმავალობა—ხრწადობის იდეა ადამიანის სულიერს მღელვარებაში ერთად ისახებიან.

მართალია რუსთაველი, როდესაც ამბობს:

შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგით. მართლაც, შეუძლებელია პოეტობა, თუ არ არის ერთგვარი სულიერი და შე-

მოქმედებითი სილალე, ერთგვარი ესთეტიურ—ეროტიული სისავსე შეგრძნობა—შეცნაურების სფეროში.

პოეზია მეტყველების უმშვენიერესი სახეა და რაც უნდა წყობილი იყოს გარეგნობა, შინაარსის სიღიადე მაინც აუცილებელია: შინაარსი აძლევს ფორმას დინამიურ ხასიათს, ფორმის სახეობა შინაარსის სიმკვეთრეზეა დამყარებული. ფორმა მხოლოდ ტეხნიკური და მატერიალური მხარეა შემოქმედებისა; შინაგანი, სულიერი მხარე აზრია, ის აზრი, რომელიც აძლევს სახეს მთელს ცივილიზაციას კაცობრიობისას, მთელს დაუსრულებელს მიმდინარეობას და ცვალებადობას ისტორიისას, საერთო შემოქმედებისას. ფორმის პატივისცემა და აზრის უარყოფა სულისა და სულიერობის უარყოფა:

— ეს ერთგვარი სილატაკა.

გოეთე „ფაუსტ“-ში ამბობს: „როდესაც ადამიანს თავში აზრი აკლია საგანგებოდ. გამონახულ სიტყვებით, ცდილობს თავის უაზრობა დაფაროსო“¹. საჭმე, იმაშია, რომ ხშირად თავში აზრი აკლია არა მარტო ცალკე ადამიანს, არამედ მთელს საზოგადოებასა და ეპოქას. ამ დროს უაზრო თავებში იბადება სიტყვებისადმი უსაზღვრო „პატივისცემა“; იწყება თავხედური, უზნეო, და უზრდელი გამოსვლები აზრისა, ლოდიკისა და წარსულის. საწინააღმდეგოთ. ქუჩური ხასიათი ეძლევა საზოგადოებისა და ერის ესთეტიკას: ლანძღავენ და აგინებენ ავტორიტეტებს, ებრძვიან ტრადიციას, საუკუნეთა განმავლობაში განმრიკიცება; ცხოვრებისა და ისტორიის ფორმებს და სახეებს. ეს არის დრო ისტორიული და კულტურული დევენერაციისა, რომელიც ამახინჯებს ცივილიზაციას.

ტრადიციისა და ისტორიის უარყოფა ჩვენ კიდევ გვესმის იქ, სადაც ერი კარგად იცნობს თავის ტრადიციას და ისტორიას: იტალიაში წარსულის უარყოფა იყო ერთგვარი; ისტორიოლოგიური ანარქიზმი, ეს იყო ერთგვარი ბუნტი, ერთგვარი აჯანყება წარსულის შეგრძნობილი. გრანდიოზობის წინააღმდეგ. საქართველოში ქართველი უარყოფს იმ წარ-

სულს, რომლის შესახებ მას არა აქვს არავითარი წარმოდგენა. საქართველოში ქართველი აშბობს: მე წარსული მეზიზ-ლებაო და თან არც კი იცის, რა ეზიზლემა მას.

სურვილი შემოქმედების „ახალი“ ფორმის შემოღებისა. საქართველოში იმ დროს, როდესაც ჩვენ არა გვაქვს შეს-წავლილი კლასიკური ფორმები ჩვენი ეროვნულ სულიერი მიმღინარეობისა, მიუღებელია თავისთავად: იღია ჭავჭავაძე რა მწერალია — აშბობს ქართველი ინტელიგენტი და თან არც კი იცის რა დაწერა იღია ჭავჭავაძემ თითქოს აქ მართლდება პარადოქსი ოსკარ უალდისა: კლასიკი ისეთი მწერალია, — ამ-ბობს უალდი — რომელზედაც ყველა ლაპარაკობს ას რომ-ლის ნაწერებს აღარავინ კითხულობს.

საზოგადო, საკაცობრიო თვალთახედვითაც მიუღებელია წარსულის უარყოფა და მარტო წარმავალი ფორმის პატივის-ცემა: რა არის ის, რაც ჩვენ გვხიბლავს დანტესა და გორევს ნაწერებში: ფორმა თუ იდეა? რას აქვს ამ ნაწერებში მაღალი, ზოგადი, საკაცობრიო ღირებულება. ფორმას თუ იდეას? ფორმა დანტეს ნაწერების ჩვეულებრივი იტალიური ტერ-ციები დღეს ვერავის ვერ ხიბლავს. მშრალი, დიდაქტიური წყობა სიტყვებისა, ცივი, ერთსახიანი თხრობა — ამბავის მოქ-ლებულია ესთეტიურ მიმზიდველობას. დღეს ევროპიელი ინ-ტელიგენტი დანტეს პოემაში გრძნობს საშუალო საუკუ-ნოების თვითმყრობელ კათოლიკობას; წარსული მკითხველის იცნებაში იღებს სხეულებრივ სახეს და თანდათანობით იშლება სიმბოლიურად რელიგიურ-ესთეტიურ ჭვრეტის დაუს-რულებლობაში. აქ ლაპარაკობს იდეა, აზრი, აქ არის განცდა კოლოხალური ნებისყოფისა და არა უშნო პრანჭიაობა აკ-რობატისა და ჟონგლრორის.

ფაუსტის ტრაგედია კაცობრიობის სულიერი განცდის ეპოქეა: არა ფორმა, არა ლექსთა წყობა, არა ტეხნიკური, ღრამატიზაცია ამ საკაცობრიო ტრაგედიისა. იზიდავს ჩვენს კურადღებას, არამედ მაჟიებელი სულის ტრაგელიული განც-

დის სილიადე; რომელ ენაზედაც უნდა წაიკითხოთ, ლექსალ იქნება, თუ პროზით, სულ ერთია, „არსებობის ტალღებში“; „მოქმედებათა ქარიშხალში“ ადამიანის სულის მდელვარებაა: აზარმაცი ჩვენი სიმპატიისა და ყურადღების, ჩვენი აღტაცებისა და ღრმა პატივისცების.

საზოგადოთ, საკურობრიო ღირებულებას შემოქმედებას აძლევს ყოველთვის აზრი—იდეა, ლოგოსი. ფორმა შემოქმედებისა ყოველთვის დროულია; იგი ასე ვთქვათ, ბრძოს გემოვნებაზეა დამყარებული; მხოლოდ აზრი არის ყამომხატველი იმ ღვთაებრივი სევდის, რომელიც ისახება მარდობისადმი ტრფიალებაში და რომელსაც აქვს რელიგიურესთეტიური ღირებულება ამ უსწორ-მასწორო წუთისოფელში.

ის, ვინც ვერ გრძნობს მარადობისადმი ტრფიალებას; ის, ვინც კმაყოფილია თავის სიტყვებით; ის, ვისაც სჯერა, რომ ცხოვრების დაუსრულებლობის გამოსახვა შეიძლება განსაზღვრულ ფორმულაში, სულით ღარიბია და ვერასოდეს ვერ ეტყვის ვერც თავის ერს და ვერც კაცობრიბობას ახალსა და უჩვეულო სიტყვას.

ახალს სიტყვას უნდა ძლიერი განცდა: მარგალიტებს ისვრის მხოლოდ ატალღებული ზღვა. ვისაც უნდა გამოსახოს ლამაზი ფორმა, უნდა ატაროს თავის სულში განცდათა ქაოსი.



ქართული კულტურის
სული

ბ რ ძ თ ლ ი ს კ უ ლ ტ ი.

საქართველოს წარსულში ჩვენ ვხედავთ ქართველის და-
მახასიათებელ თვისებებს: ქართველი ოოგორც ტიპი „ისტო-
რიული“ პიროვნებაა, რადგან ქართველის ინდივიდუალურ
თვისებებს ჰქმნიდა ქართველ ერის ისტორია. საზოგადოთ, ტი-
პი გამომხატველია ისტორიულ-კულტურულ მოძრაობისა და
განვითარების; პერიოდი წარმოუდგენელია გერმანეთში ისე,
როგორც ფაუსტი წარმოუდგენელია რუსთში. ფაუსტი შეი-
ძლება საკაცობრიო, მსოფლიო იდეალების და აზრების გა-
მომხატველი ტიპი იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა ფაუსტის
ფსიქოლოგიური დაზღა გერმანულია და ფაუსტი გერმანელი.
ჩვენი ბარათშვილი ძალიან წააგავს ლერმონტოვს და ბაირონ-
საც, მაგრამ, ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია ბარათშვილი
რუსი, ლერმონტოვი ინგლისელი და ბაირონი ქართველი.

შემომქმედ ინდივიდუალობაში ლაპარაკობს არა მარტო
ინდივიდუმი — კონკრეტული პიროვნება, არამედ საუკუნეთა
მოძრაობა და განცდა: ტიპი არა მარტო ფსიქოლოგიური,
არამედ ისტორიული ფერმენტია. ყოველ ქართველის მოძრა-
ობაში ისახება მთელი ისტორია თავისებურობის: უბრალო
ლაპარაკის დროს თქვენ შეგიძლიათ ქართველის სახეზე ამო-
იკითხოთ საქართველოს წარსული.

საუკუნეთა განმავლობაში იქმნება კავშირი ფსიქოლო-
გიური ერისა და ტერიტორიის შორის. ეს კავშირი ორგანი-
ული ნაყოფია შეთვისების და შეგრძნობის — ნაყოფია. მრავალ
წელთა ძიების, ბრძოლის და შეთანხმების.

გრენლანდიაზე მცხოვრებლებს. პარიზში ცხოვრება: არ
შეუძლიათ და პარიზელები გრენლანდიაზე ვერ იცხოვრებენ:
სხვა და სხვა პირობებში სხვადასხვა ტიპებს. შეუძლიათ ცხოვ-

რება და ისიც მხოლოდ ისტორიულ შეგუების და შევრძნობის შემდეგ.

* * *

საქართველოს ისტორიული თვისება ბრძოლაა: ჩვენში იბრძოდენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც. საქართველოში ქალები ისეთივე მხედარნი არიან, როგორც მამაკაცები,—ამბობს საბერძნეთის ისტორიკოსი ჭეროდოტე; კაცებთან ერთად,—განაგრძობს ჭეროდოტე,—ნადირობენ ქალებიც და ქმარს არ ირთვენ, ვიდრე თითო მტერს სამშობლო ქვეყნისას არ მოკლავენ. ჩვენ ვციოთ აგრეთვე, რომ, როდესაც რომის მხედართმთავარი ერმებოდა ქართველებს, ქართველობა ლაშქარში იყნენ ქალებიც.

მაგრამ, ყველაზე უფრო საყურადღებოა დიოდორ სტილიელის სიტყვები საქართველოს ამაზონებზე და ამაზონთა სამეფოზე: მდინარე ოქრომოდორის მახლობლად ცხოვრობდა თურმე ერთ დროს ვიღაც თავალი ამასიელი.

როდესაც ეგვიპტელები შემოვიდენ საქართველოში, მამაკაც გაუჭირდათ მათი ძლევა და განდევნა. საქართველოდან; მაშინ ამასელი თავადის ქალმა შეადგინა თურმე ახალგაზრდა ქალთა მხედრობა თემის-კარში; შემდეგ ეს მხედრობა გაძლიერდა საკვირვლად, გაუმჯლავდა და დაესხა თავს ეგვიპტელებს; ეგვიპტელები არ მოეძოდენ ამას და დამარცხდენ: უმრავლესობა ქალებმა ამოსწყვიტეს და დანარჩენიც უკანვე განდევნეს; მათმა მხნეობამ და ბრძოლამ თავზარი დასცა. უცხოელებსა და უცხოელება ამასიელ ქალებს დაარქვეს ამაზონები, ხოლო საქართველოს დასავლეთს, ზღვის პირად მცხოვრებლებს კოლხიდარნი (ქალნი მხედარნი) და მათ ქვეყნას კოლხიდა.

ამასელი ქალები იბრმავებდენ მარჯვენა ძუძუს, რომ იარაღი უკეთესად ეხმარათ; ამასელ ქალთა მეფობამ დიდხანს გასტანა; ტროანელებთან საბერძნეთში ისინი თავგანწირვით იბრძოდენ:— ეხმარებოდენ ტროიანელებს; აქილესმა მოკვლა

მათა დედოფალი პენთასილა; აშასიელი ქალები შემდევ შევიდენ საბერძნეულში, დიდხანს ეპურათ საბერძნეთი და ჯავრიც ამოიყარეს.

მერმე აქშენეს ეფესოს სახელოვანი ტაძარი, რომელიც დაიღუპა ალექსანდრე მაკედონელის დაბადების დამეს და რომლის დაღუპვის ისტორიაში აქვს ღრმად სიმბოლიური სახე: იყარგება ქალთა შემოქმედების უძვირფასები ნაშთი და იმავე დროს იბადება მამა კაცი გენიოსი: როდესაც ალექსანდრე მაკედონელი პირველად შემოვიდა საქართველოში, მას მოეგება პატრიციაცემლად ლაშაჩი დედოფალი თალისტრის. სამასი ამაზონით

ჩვენში საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდენ ქალები, იბრძოდა სამლეველოება, იბრძოდენ ქართველები, ქართველი ერი.

ბრძოლა საქართველოს მოძრაობის და სიცოცხლის ეს-თეოტიური პრინციპია: ბრძოლა და უთანხმოება ჩვენი რელიგიაა. ქართველის ფილოსოფია ბრძოლის ფილოსოფიაა. ქართველი გრძნობის ბრძოლის სტიქიურობას და გამარჯვების წარმავალობას; ამიტომ შექმნა მან მეტად სიმბოლიური სიტყვა წუთი-სოფელი—სიტყვა გამომხატველი ცხოვრების უკულმართობისა და ამავების, სიტყვა მჭრელი და მარადიულად კონკრეტული: დააკვირდით ქართველის დილი, სალამი: დილა მშვიდობისა, ამბობს ქართველი: განა ამ სიტყვებში არ გამოიხატება. ქართველ ერის ისტორიული ფსიქოლოგია? დააკვირდით სიტყვებს; სალამო მშვიდობისა. დღე და ღამე—მთელი ცხოვრება ქართველისთვის ბრძოლის არენაა და დილა მშვიდობისა სანატრელი გამხდარი ისე, როგორც სალამო მშვიდობისა: ამ სიტყვებში ისმის საუკუნეთა ბრძოლისა და მღელვარების ხმა, გვემულთა ძახილი და სურვილი: შესვენებისა,— მშვიდობიანობისა. დილა ნებისა,— ამბობს აგრეთვე ქართველი; სალამო ნებისა,— ამბობს იგი: აქ კიდევ უფრო ღრმად ისმის არსებობის ტრაგედიის ხმა, რომელსაც ეძახიან ნების თავისუფლების საკითხს.

დილა ნებისა, საღამო ნებისა — აქ ნების თავისუფლების საკოხია და სმული. ნების თავისუფლება აქ გამოხატავს ინდივიდუალობის განთავისუფლებას, ცხოვრების სტიქიურობის ძლევას, აღამიანის გამარჯვებას, და არა რაციონალისტების „კათეგორიულ მოვალეობას“. სიტყვა — გამარჯვება (გამარჯვება) საუცხოვოდ ასურათებს ქართველის სულიერ წყობილებას და ცხოვრების შემცენების და შეგრძნობის ხასიათს: ქართველი, როდესაც ქართველს ანუ ვისმე სხვას ეუბნება — გამარჯობას (გამარჯვებას), ამით ინსტიქტიურად უახლოვდება ცხოვრებას — ახასიათებს ცხოვრებას როგორც ბრძოლას, ბრძოლის ფენომენს და გამოთქვამს სურვილს. რომ აღამიანი იყოს მარჯვედ, გამარჯვებული: აქ იხატება ისტორია, წარსული, წინაპართა გმირობა, საუკუნეთა ბრძოლა და სისხლი, გულკეთილობა და ცხოვრების სტიქიურობის მიღება.

საქართველოს ისტორიულ-ფსიქოლოგიური. სახე: გამარკვეულია: ამ სახეზე დასმულია ბრძოლის ბეჭედი, წარმართობის ცეცხლში გატარებული. ბრძოლა საქართველოს ისტორიული თვისებადა და ქართველი ერის სულიერი დრამა: დღესაც გვიმტკიცებს ამას: საქართველოში განყენებულ მსჯელობის დროა აა იყო.

რელიგიას საქართველოში ჰქონდა ესთეტიური და პოეტური ხასიათი: ჩვენი ერი მწვალებლობას არ იცნობს სწორედ იმიტომ, რომ მას სრულებრივ არ ეცალა განყენებულ მსჯელობისათვის. და როდესაც მწვალებლობა შემოიჭრა, ჰერეთში, ქართველი ერი სრულებრივ გულგრილად შეხვდა მას: ქართველის სული მთლიანია ისტორიულად და მწვალებლობა, როგორც რელიგიური აჯანყება გაუგებარია მისთვის.

ქართველი ბუნებით წარმართია, ვნებიანი, პანტეიისტი; ქართველი ორგანიულია და პოეტია და მგოსანი:

ქართველმა ერმა არ იცის პესიმიზმის საშინელება, ქართველი ტრაგედიას აძლევს ლოცვის და ელევის. ხასიათის:

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება საუკუნეოები დამამტკიცებელია ამის: სული განმარტოებული, სული აბოლი უარყოფს წეთისოფელს, სატრფოს კოცნას, უარყოფს სამშობლოს, საზოგადოებს, ნათესაობას — ერთი სიტყვით. განიცედის მოელ ტრაგედიას, მაგრამ მაინც სიყვარულით აღსავს; სულ იმაზე ფიქრობს, რომ ქართველ ერს სიძნელე ცხოვრების გარადვოლოს და გზა მერანის მიერ თელილი თავისუფალი დაუტოვოს მომავალ თაობას.

ამაში გამოიხატება გულის სითბო და აღამიანისაღმი უსახლორო სიყვარული; შოპენპაუერის, ბაირონის, ლეოპარდის და ობერმანის შემოქმედებაში თქვენ ვერ ნახავთ ასეთ სიყვარულს. ადამიანის და კაცობრობისაღმი. მართალის იქ — ევროპაში შემოქმედების ცეცხლი უფრო დიდია და შადრევანი უფრო. მაღლა სჩექებს, მაგრამ სიყვარული და გულის ადამიანური სითბო იქ არსად ჩანს: წყველა-კრულვა კი არის, მაგრამ თანაგრძნობას კი ვერსად ნახავთ.

ქართველი ისტორიული მიჯნურია და შეყვარებული სწორედ ამიტომ ქალის იდეალიზაცია არსად ისეთი ფაზა და ცეცხლეული არ ყოფილა როგორც საქართველოში და არსად ქალი არ ყოფილა, მამაკაცის ოცნებით ისე გამშვენებული და ღვთაებრივად გაცისკოვნებული, როგორც ჩვენში.

ბრძოლაში აღამიანი გრძნობს ნათლად ცხოვრების წარმავალობას და ეს გრძნობა წარმავალობის ყაველთვის იწვევს აღამიანში ქალის და სექსობრივი დამოკიდებულების გაღმერთებას სურვილს: საშუალო საუკუნოებში ჩაინდობის იდეალი სწორედ ამ ფსიხოლოგიზე იყო აშენებული და დამყარებული. საშუალო საუკუნოებში ინდივიდუალობა იყო უნუგეშო მდგომარეობაში: სახელმწიფოს არ ჰქონდა ძალა ინდივიდუმის დაცვის; საზოგადო ცხოვრება არ იყო დაკანონებული, იყო ინტრიგებით საცხვე, — აღამიანი გრძნობდა მარტოობას და ობლობას; ყოველდღიური ცხოვრება იყო მხოლოდ

ბრძოლა და თავდაცვა, არავინ იცოდა თუ რა მოელოდა მას ხვალ და ამიტომაც ადამიანი ცხოვრებას უყუჩებდა როგორც რელიგიურ-ესთეტიურ ფენომენს: ერთი მხრით რელიგია, მეორე მხრით მშვენიერების იდეალი-აი რით ინუგეშებდა თავს აღამიანი.

ამიტომ საკვირველია ის სტილი შემოქმედების, რომელიც ახალიათებს საშუალო საუკუნოებს, როგორც ჩვენში ისე ევროპაში: ტაძრები მთებზე აშენებული, უზარმაზარი ციხე-კაშკები, საშინელი და ფანტასტიურ ხასიათის გამოქვაბულება; მასთან მიჯნურობა და ქალის გამშვენიერების სურვილი— მარადიული ქალურობის იდეალის ღრმა გამოხატვა-აი ამ სტილის თვირსებები.

— აღამიანს თითქო სურს განამტკიცოს თავის ინდივიდუალობა საზღვარ აცილებულ ოცნებაში— მარადიულ ქალურობის განმტკიცებაში: ბეატრიჩე შესანიშნავი მაგალითია ქალის გაღმერთებისა ევროპაში. მაგრამ ჩვენში ქალი უფრო გამშვენებულია მამაკაცის ოცნებით და უფრო გაღმერთებულია ვიდრე ევროპაში: ქართველმა ერმა არც კი იცის, რომ დავით აღმაშენებელმა შექმნა საქართველოს ისტორიული სახე, სამაგიეროდ ქართველ ერს თამარ-მეფის სახელი ენაზე აკერია, თუმცა თამარ მეფეს სმის მეათედი არ გაუკეთებია, რაც დავით აღმაშენებელმა გააკეთა საქართველოსოფერის.

საქართველოს ისტორია მარადიული ტრფიალებისა და ისტერიულობის ისტორიაა; საქართველო ესთეტიურ-რელიგიურ ფენომენია და ასაძ იმდენი მუხანათაა და ეფექტების აყოლა არ ყოფილა როგორც საქართველოში.

ქ ა ლ ი ლ ა ხ ი ყ ვ ა რ უ ლ ი

ქალის კულტი ჩვენში ჩვენი ისტორიული ორიგინალობისა და თავისებურობის ერთგვარი სახეა. საჭიროა გავიმეოროთ: საქართველოს ისტორია წმინდა ბრძოლისა და სისხლის ისტორია; ბრძოლა ჩვენი ისტორიული თვისებაა; ჩვენში იბრძოდენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც. საქართველოში ქალები ისეთივე მხედარნი არიან, როგორც მამაკაცებიო, — ამბობს საბერძნეთის ისტორიკოსი ჰეროდორე. კაცებთან ერთად, — განაგრძობს პერიდოტე, — ნადირობენ ქალებიც და ქმარს არ ართვენ, ვიღრე თითო მტერს საშშობლი ქვეყნისას არ მოკლავენო. როდესაც რომის მხედართმთავარი ეომებოდა ქართველებს, ქართველთა ლაშქარში იყვენ ქალებიც*.

ზაგრაშ ყველაზე უფრო საყუჯადლებოა დიოდორ სიცილიელის სიცილიელი საქართველოს ამაზონებზე და ამაზონთა საშეფოზე: მდინარე თერმოდორის მახლობლად ცხოვრობდა თურმე ერთ დროს ვიღაც თავადი ამასელი. როდესაც ეგვიპტელები შემოვიდენ საქართველოში, მამაკაცთ გაუჭირდათ მათი განდევნა საქართველოდან. მაშინ ამასელი თავადის ქალმაშეადვინა თურმე ახალგაზდა. ქალთა მხედრობა თემის კარში; შემდეგ ეს მხედრობა გაძლიერდა და შეებრძოლა ეგვიპტელებს. ეგვიპტელები არ მოელოდენ ამას და დამარცხდენ: უმრავლესობა ქალებმა ამოწყვიტეს, და დანარჩენი კი უკან განდევნეს; მათმა მხნეობამ და ბრძოლაშ თავზარი დასცა უცხოელებს; უცხოელებმა ამასელ ქალთა გუნდს დაარქვეს ამაზონები, ხოლო საქართველოს დასაულეთს, ზღვის პირად მცხოვრებლებს კოლხიდარნი — ქალნი მხედარნი და მათ ქვეყანას კოლხიდა. ამასელი ქალები იბრმავებდენ მარჯვენა ძუძუს,

* იმ. „ბრძოლის კულტი“.

რომ იარაღი უკეთესად ეხმარათ; ამასელ ქალთა შეფობამ დიდხანს გასტანა: ტროანელებთან. საბერძნეთში ისინი თავ-განწირვით იბრძოდენ, ეხმარებოდენ ტროანელებს; აქილესმა მოჰკულა მათი დელფალი ჰქნიასილა. ამასელი ქალები უემდეგ შევიდენ საბერძნეთში, ააშენეს იქ ვფესოსის სახელოფანი ტაძარი, რომელიც დაილუპა ალექსანდრე მაკედონელის და-ბადების ღამეს.

როდესაც ალექსანდრე მაკედონელი პირველად შემოვიდა საქართველოში*, მას მიეგება პატივსაცემლად ლამაზი დე-დოფალი თალისტრია თავისი ქალთა რაზმით, რომელმაც აღ-ტაცებაში მოიყვანა ალექსანდრე მაკედონელი: ქართველი ქა-ლის მხედრული და რაინდული ტიპი შეიქმნა შორეულ წარსულში; შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში ეს ტიპი ინა-ხებოდა და იწროვნებოდა.

ასეთმა ტიპმა ერეკლე მეფის დრომდისაც მოაწია: საყუ-რადლებოა ამ მხრივ თამრო ვაშლოვნელის ისტორია. თამრო ვაშლოვნელი (სოფელი ვაშლოვნი არის კოჯრის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს) იყო სახელგანთქმული მხედარი, რო-მელმაც ერეკლე მეფის დროს საქართველოდან განდევნა ლე-კები:

ლეკები სულ გავაქციეთ მთვარიანი ღამითაო,

უკან თამრო გამოუდგა უაზგიანი ხმალითაო;

ჩვენცა თამროს გავყევით და გვიკვირდა სულ თავადთაო,

ლეკები მთლად გადავრეკეთ, ვარბენინეთ სხვა გზითაო.

თამრო ვაშლოვნელი ჩვენი ენა დარკია და ამისთანა ენა დარკები საქართველოში ბევრი იყო.

საზოგადოთ, გამბეოდაობა ახასიათებს ქართველ ქალს: სოფელ ანაგაში ცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხის გოგო. ერთხელ თურმე ეს ქალი ლელვზე იყო ასული და ამ დროს ერეკლე II-მ გიარა გზის პირას; მეფე ერეკლე სპარსულად იყო გამოწყობილი: ქალმა ვერ მოითმინა, მოგლიჯა ლელვი

* იყო თუ არა ილექსინდრე მაკედონელი საქართველოში ჯერ არ ცირზ დანამდვილებით.

და სთხლიშა მეფეს ზურგში. ქალი დაიჭირეს, მოაგვარეს შეფეხსან, გამოკითხეს მიზეზი ასეთი უზნეო ქცევისა. ქალმა უპასუხა: მე რა ვიცოდი ის ქართველი მეფე იყო, ყიზილბაში მეგონაო.

მხედრული, რაინდული ამპარტავნობა ისტორიულად განმტკიცდა ქართველი ქალის ბუნებაში და ეს იყო ერთგვარი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ოჯახი ვერ მოეწყო, ოჯახის კულტი ისტორიულად ვერ განმტკიცდა, ვერ შემუშავდა.

ქართველი ქალი მოკლებულია ოჯახის. პატივისცემას, იგი სუსტია როგორც დედა; ქართველ ქალში არ არის წყურვილი ონთოლოგიური ესთეტიზაციის, ოჯახის მოწყობისა.

ომეროსის ილიადაში ანდრომახას ჩვენ ვხედავთ როგორც ოჯახის ქალს: ის მოსამსახურეებს დარიგებას აძლევს, თვითონაც ქსოვს, ოჯახს უვლის; როდესაც სამუდამოთ ეთხოვება თავის საყვარელ ქმარს, მაშინაც ხელში ბავში უკავია და ეჩქარება, ოჯახში რამე არ წახდესო. იმავე სურათს ჩვენ ვხედავთ ოდისეაში: პენელოპა უცდის ოცი ჭლის განმავლობაში თავის ქმარს და სულ მუშაობს, სულ დაზგასთანაა.

სულ სხვა სურათს ვხედავთ ჩვენ „ვეფხის ტყაოსანში“: თინათინი და ნესტან-დარეჯანი ჟჯჩხზე სრულებით არ ფიქრობენ: სიახლე და მიჯნურობა — აი მათი სულიერობის შინაარსი; ოჯახი, შვალები, ქსოვა, დაზგა მათ არ აინტერესებთ. ავთანდილი მიღის ტარიელის საძებრუთ და ეთხოვება თავის საყვარელ თინათინს: თინათინი კვთანდილს სრულებით არაფერს პირდება: არც ოჯახის მოწყობას, არც კაბისა და ძოწეულების მოქსოვას; მხოლოდ ჩემს თავს დაგახვედრებო:

„უკაობი და გაუფრჩქვნელი ვარდი დაგვხდე დაუზურნარი“, — აი თინათინის უდიდესი დაპირება.

მხოლოდ საუკუნეოა განმავლობაში მხედრული, ამაზონური სულიერი განწყობილების გამო, ეს მიჯნურობაც გაჰქრა ქართველი ქალის ბუნებაში; დარჩა მხოლოდ თავმოყვარეობა,

რომელიც ჰქმის ქართველი ქალის გაზვიადებულ პრეტენზიებს.

ქართველი ქალი დღეს არ არის ეროტიული; ამაზონობამ მასში ჩაკლა სურვილი სქესობრივი მოთხოვნილებისა; ქართველმა ქალმა არ იცის ჟომანი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ქართველი ქალი თავისი სულიერი წყობითა და სოფლმხედველობით „მეშანკაა“: ქართველი ქალის იდეალია — გათხოვება.

ქართველი-ქალი დღეს არც ამორბალია და არც გეტერა; არც დედაა და არც მეოჯახე; განსაკუთრებით საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველმა ქალმა დაივიწყა მოვალეობა ისტორიულ — გენეტიური, გადაეჩვია ამორბალობას; ოჯახის სიყვარული ქართველ ქალში ჩატკლა ისტორიულმა კულტმა; მხოლოდ, როდესაც ისტორიული პირობები შეიცვალა, როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს;. ქალი მხედარი საქართველოში აღარ იყო საჭირო და ამორბალობა, როგორც კულტი ტრადიციული, თანდათანობით დაშალა, გავქრა; ქართველი ქალი დარჩა უსაგნოდ, როგორც ლუარსაბ თაოქარიძე. მეცხრამეტე საუკუნე საქართველოში ქართველი ერთსათვის ფიზიკური დასვენების ხანა და ამ დროს ქართველი ქალი ნელ — ნელი ივიწყებს ამორბალობას; მხედრულ სულიერ ლტოლვას. ქართველ სოციალურ კულტურის ევოლუციაში ქართველი, ქალი კარგავს დანიშნულებასა და ადგილს, ჰყარგავს კულტურულ — ცივილიზაციურ უფლებასა და პოზიციას. რჩება ქართველი ქალი მოკლებული ფიზიოლოგიურ ნორმალობას — მოკლებული დედობის ინსტიქტს და სექსუალობას; ფიზიოლოგია გარდაიქნა სოც.-ისტორიულ პირობებში და ბიოლოგიურ პოტენცია ჩაახრჩო ამორბალობამ: ქართველი ერი ვერ გამრავლდა, ქართველი ოჯახი ვერ შეიქმნა და ქართველურ ნებისყოფამ მიძღვნ დეგენერაციული ფორმა: ისტორიამ დაღუპა ქართველი ქალი, ქართველმა ქალმა დაღუპა საქართველო: ამორბალობამ დაახრჩო დედობა, ვნებიანობა, ოჯახი; დედობის ინსტიქტის სისუსტემ და უოჯა-

ხობამ წარმოშვეს საქართველოში მოლაყლაყე; ინტისახელმწიფო ფოებრივი და დეგენერატული მოდგმა ღორძმულელი, თქლათია პერსონალისტებისა და მექანიკ ინტრიგანების: კულტურული შემოქმედებისათვის საჭიროა ორგანიუმდი ეროვნი, ტრადიციების განკუდა, კეთილშობილი იდეალიზმი, - საჭიროა იმედი, ხალისი, მოქნილობა — საჭიროა სული ერთობისადმი საჭიროა ქაფი და ფუაჩი

საქართველოში ქალი არის მხოლოდ ფიზიოლოგიური ფენომენი, მოკლებული ინდივიდუალობას, სექსულობას, ეროტიულ ვნებას — ქალურობას.

პოეტი გრიშაშვილი, რომელსაც არშიყობის სურვილი არ აკლია და არც ეროტიული მეტყველების პათოსი, მიუხედავად თავის იმედებისა და ქართველი ქალისადმი ტრადიციებისა, გულგატებისა უსაყვედურებს ქართველ ქალს:

რად უარყოფ ნაფეოქ ჟინს, ჟინს ცეცხლოვანს,
ჟინს შვებულს;

ან რად იჭერ მაგ გრძნობას,
გრძნობას ზონარ-მიშვებულს?

პოეტი ატყობს, რომ ქართველი ქალი სულით და სოფლი მხედველობით „მეშჩან კაა“, ატყობს რომ იგი თავის ვნებას უმორჩილებს საზოგადოების ტრადიციულ მორალს და სასოწარკვეთილებით ეკითხება მას:

რად მისდევ უქნარ ბრბოს უხეშ გემოვნებასა?

— რომანი, ეროტიულისიმთრალე, ვნებიანიბა — ქართველი ქალისთვის უცნობია. ქართველი მწერალი ეძიებს გმირს რომანისას და ხშირად ვერ ნახულობს იმიტომ. რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მეტად მეშჩანურიათა აწყობილი, და ამ უსახო, უსიკრაცხლო მეშჩანობის გამოშხატველია დღეს ქართველი ქალი, ის ქართველი ქალი, რომელსაც აქვს თავისი მხედრულ-რაინდული სახე ისტორიაში. თავმოუვარეობა, როგორც ერთგვარი ფსიქოლოგიური ნაშთი ამ მხედრულ-რაინდული სულიერი წყობილებისა, ახრჩობს ქართველი ქა-

ლის ეროტიულ გრძნობას; ყაზბეგის ელეონორა განსახიერებაა ისეთი ქალის ტიპისა, რომელიც შენახულა მთაში და ორმელშიაც მხედრული სულის ესთეთიკა ანელებს, აქრობს ვნებას ეროტიული აღვზნებისას: ელეონორას უყვარს ასლან-გირეი, ისე უყვარს, რომ ავად ხდება სიყვარულისაგან, მაგრამ ეს მხოლოდ მანამდი, სანამ შეიტყობს, რომ ასლან-გირეიც შეპყრობილია. მისდამი სიყვარულით. როგორც კი ელეონორა შეიტყობს ასლან გირეის სიყვარულს, მაშინვე გამხიარულდება; ეშჩიანი, მომხიბლავი, თვალგალვივებული ელეონორა ერთი ორად ხდება: თავმოფენება ძლიერი სიყვარულს, მაგრამ ელეონორა სიყვარულსაც არ იყიშვებს; მხოლოდ მას უნდა სიყვარული ბრჩოლით მოაწებული, სიყვარული შეჯიბრებისა და შერჩევისა. ელეონორას უყვარს ასლან-გირეი, მაგრამ, როდესაც ასლან-გირეი მის წასაყვანად მოვა, წინადადებას აძლევს ხელოუბნელის რაინდებს: ვისაც ჩემი თავი უნდა, შეებრძოლოს ასლან-გირეის, —ვინც გამარჯვებული დარჩება, თუნდაც მახინჯი იყოს, ზას გავყვები და შევეყრებო.

ელეონორა სიყვარულის ესთეტიკას უმორჩილებს: ბრძოლის ესთეტიკას: ასლან-გირეი მას უყვარს; მაგრამ მას უფრო შეუყვარდება ის, ვინც დაამარცხებს ასლან-გირეის. ელეონორას სიყვარული განსახიერებაა სულიერი ლტოლვისა. ძლიერებისადმი: ეროტიული აღვზნება აჭ აღგილს უზმობს ნერვიული სისტემის მხედრულსა და აგრესიულს, ვაჟურ სურვილებს.

ქართველი ქალის ამაზონური ბუნება ამას მოითხოვს: ბრძოლის სურათი ქართველ ქალს უყვარს და თვით თამარ მეფის სახე საქართველოს. ისტორიაში არის მხოლოდ ერთგვარი ეპითენომენური გამოხატულება ქართველი ქალის მხედრული ფსიქოლოგიისა.

თამარ მეფეს თვითონ არათერი გაუკეთებია: დავით აღმენებელის ნიკა და გორგი მთაწმინდელის რეფორმატო-

რულმა ოდეებმა ნიადაგი მოუმზადეს ჩვენი ისტორიის თქმოს ეპოქას; თამარ მეფის სილამაზემაღაფრთოვნა ქართული სული; პოეტი ამღერა; მხედარი აამძებდა. თამარ მეფემ თავისი სინაზე და შშვენიერება შეუერთა ქალის ტრადიციის საქართველოში; თავისი პირადობით მან განასახიერა მხოლოდ მაზართობის კულტი, რომელიც დიდი ხნიდან შეიქმნა საქართველოს ისტორიაში და რომელმაც ნიადაგი მოუსპო ქართულ ოჯახს, ქართულ რომანს, რომლიდანაც დარჩა მხოლოდ „მეშანობა“ და მისი საზიზლარი პრეტენზიები.

საქართველოს ისტორიის ბედი რომ უკულმართად არ დატრიალებულიყო, ქართველი ერის სოციალური, საზოგადოებრივი მიმდინარეობა უფრო სისტემატური და მწყობრი ხასიათისა რომ ყოველიყო ამაზონობის კულტიდან შეიქმნებოდა კულტი ესთეტიური ფენომენისა: საქართველოში ქალი დაიჭირდა ისეთ ადგილს, როგორიც მას ეჭირა ძველად საბერძნეთში, სადაც სოციალური ცხოვრება უფრო ხალვათად და ვნებიანად მიმდინარეობდა.

ხოლო ეს ვნებიანი მიმდინარეობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა საბერძნეთში ხელს არ უშლიდა ყოველდღიური ცხოვრების გამშვენიერებას, ოჯახის მოწყობას: პენელოპაც იყო და ასრულებდა თავის ოჯახურ მოვალეობას: იდეალურად, ელენეც აღელვებდა საზოგადოებას თავისი დიონისური გაშლილობით,

იყო ონთოლოგიური ყოფის სიმშვენიერე, იყო „ობივატელური“ ესთეტიკა, მაგრამ ამავე დროს იყო აღმაფრენა: ვნებიანი, იყო განცდა ძლიერი, ეროტიული აღგზნებისა. მართალია, ძველი ელინი იჯახში ცოტა დროს ატარებდა, იგი უფრო საზოგადოებაში იყო, მაგრამ იჯახშიაც შეეძლო მას სულიერად დასვენება; როდესაც იგი საზოგადოებრივი ჩოჩქოლიდან დაბრუნდებოდა დალლილი და დათენთილი, იჯახში მას დახვდებოდა ასპაზია, პენელოპა; საზოგადოებაში, ქუჩაში რომ გავიდოდა, ელინი ჭვრეტიდა სიამოვნებით ჭვრერის შშვე-

ნიერი ტანის რხევას და მის წინ ცხოვრება იშლებოდა, როგორც დაუსრულებელი ესთეტიკური ფენომენი.

საქართველოში შემუშავდა ტიპი მხოლოდ ამაზონი ქალისა: ვერც ელენეს და ვერც პენელოპას საქართველოში ვერ ვხედავთ. პუშკინი, რომელიც საქართველოს ოცნობდა მხოლოდ en gros, ჯართველი ქალის დამახასიათებელ თვისებას ამაზონობაში ხედავს: პუშკინის პოემაში ქართველი ქალი პოლონელ ქალს მეტოქეობის თვის ხანჯლით ემუქრება.

ყაზბეგის მოთხოვნებსა და რომანებში ხშირად, ვხედავთ ქალებს ხანჯლებით და სხვა იარაღებით; ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი ნამდვილი ამაზონი ქალია: ტკბილი სიტყვა, სიყვარული, სინაზე მან არ რცის; იმ დროსაც კი, როდესაც მის თვალშინ კვდება მისი საყვარელი შვილი გიორგი; ოთარაანთ ქვრივი იმ ზომამდი ვაჟური, ამაზონური ხასიათის ქალია, რომ ტირილსაც ვერ ახერხებს და მშრალი სახით შეყურებს საყვარელი შვილის უკანასკნელ წუთებს; ოთარაანთ ქვრივმა თითქმ იცოდა; რომ გიორგი ტრაგიკულიდ მოშორდებოდა წუთისოფელს, თითქმ ამ უბრალო სოფლის დედა-კაცს შეუთვისებია ფილოსოფიურად ცხოვრების უკუღმართობა და წესპ აღამიანის ბედის მუდმივი ცვალებადობისა. ერთად ერთი შვილი უკვდება ხედას, დედას, რომელიც შვილისათვის იტანჯებოდა მთელი თავისი სიცოცხლე, დედას, რომელიც შვილის სიყვარულს დღე და ღამე განიცდიდა. ორგანიულად, და ეს დედა შვილის სიკვდილის დროს (იმ ზომამდე გავაუებია ნერვები) ტირილსაც ვერ ახერხებს. დედის გრძნობა გაღლებილა და ჩაძირულა მთელი თავისი სინაზით ამაზონობის გრძნობაში; ქალური ხასიათი ქალს დაკვარგვია და სამაგი-ეროდ შეუთვისებია ციფი მორალი ბრძოლის კულტისა. ტკბილ სიტყვას ვერავას უტევს და ცრუმდებით ვერ იტირებს:

თვით რუსთველის პოემაშიც ჩვენ ვხედავთ ამაზონობის კულტს: თინათინს უყვარს აეთანლილი, მაგრამ, თუნდაც რომ სამ წელიწადს ავთანდილმა ეძროს ტარიელა, თინათინი უარს

არ რტყვის: თინათინს ავთანდილის მოშორება არ შეაწუხებს, თუ კი ეცოდინება, რომ ავთანდილი ეძებს ტარიელს. ტარიელის ძებნა, ულრან ტყეებში ხეტიალი, მცეცებთან შეტაკება — ყველაფერი ეს მოითხოვს გმირობას, რაინდობას, და თინათინს ამ გმირობის ცხადყოფა, ბრძოლის ესთეტიკა უფრო აინტერესებს, ვიდრე ავთანდილთან დაახლოება; კოცნა და სიყვარულის ვნებიანი სუნთქვა: ჩვენ ვხედავთ, რომ სეჭსუალობას ახრჩობს ამაზონობა.

ნესტან-დარეჯანი, რომელიც არაოდეს არ იშლის აღმოსავლეთის ვნებიანობას, ერთ ალაგას სწერს ტარიელს:

— „სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია“ ამ.

მეორე ალაგას იგივე ნესტან-დარეჯანი სწერს თავის ტარიელს:

„წა, შეები ხატაველთა, თავი კარგად გამაჩვენენ“ ამ.

ამ სიტყვებში გამოიხატება წმინდა ამორძალობის კულტი; გმირობას თხოულობს ქართველი ქალი არა სიყვარულისათვის, როგორც ეკრობის საშუალო საუკუნოების „გულის დამები“, არამედ ბრძოლის კულტისთვის, რომელსაც მოითხოვს. ამაზონის მხედრული სული.

შართალია, ბოლოს და ბოლოს ნესტანის, როგორც ყოველი ქალის საზოგადოთ, იდეალია ტარიელთან შეყრა, მაგრამ ამ იდეალი ყოველთვის თან ახლავს რაღაც სურვილი ბრძოლისა, სურვილი გმირობისა და რაინდობის ჭირეტის: წა, შეები ხატაველთა, თავი კარგად გამაჩვენენ.

საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს ისტორიულ პირობებში ჩქმნებოდა ეს ფსიქოლოგია ამორძალობისა, მხედარი ქალისა: ჩვენი წარსული ამას მოითხოვდა, ჩვენი საზოგადოებრივი მიმღინარეობა ამას ხელს უწყობდა და ეს შეიქმნა, ჩვენი ღრმა რწმენით, ერთად-ერთ მიზეზად იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ყოველნაირი კულტი კოკეტობისა, მაგრამ არ არსებობს ტრადიცია რომანიული პერიპეტიიებისა: არ არსებობს ჩვენში ქალი ქალურობისა და სეჭსუალობის მატარებელი, არ არსებობს რომანი და მისი ესთეტიკური ფანცულა.

ქ ა რ თ უ ლ ი ტ ი პ ი

ს ე ს ჭირ ს ა ქართულო ს ა
დიდებულო გ ი ნ ა მ ცირეთა;
ა ზ ვა ვ დები ა ნ, ი ტ ყ ვი ა ნ:
უ ჩ ე მ ღ ი თ ვ ი ნ ი მ ღ ე რ ე თ ა ?!

მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ მ ი ლ ე ბ უ ლ ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ ე ბ ი ხ შ ი რ ა დ კ ა ნ ი ნ ე ბ ა დ ი ქ უ ე რ ა ნ; რ ო გ ი რ უ კ ე რ მ ა დ ა მ ი ა ნ ი ს; ი ს ე რ ი ს ც ხ ო ვ -
რ ე ბ ა შ ი ა ც ტ რ ა დ ი ც ი ა ს ა ქ ვ ს უ დ ი დ ე ს ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი ბ ა : რ ა ც
ს უ ლ ი ს დ ა ს ხ ე უ ლ ს ო დ ე ს მ ე წ ა რ ს უ ლ შ ი შ ე უ თ ვ ი ს ე ბ ი ა, ი ს გ ა-
დ ა დ ი ს ს ა შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ლ დ ; — დ ა მ ი მ ა ვ ა ლ ი ბ ი ლ ი გ ი უ რ ა დ დ ა
ი ს ტ რ ი რ ი უ ლ ი ა დ მ ხ ო ლ ი ლ ი მ ი მ ა ს გ ა კ ე თ ე ბ ს, რ ი ს ე მ ბ რ ი მ ნ ი წ ა რ-
ს უ ლ ი ს შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ მ ლ ე ლ ვ ა რ ე ბ ა შ ი ჩ ა ს ა ხ ე ლ ა.

შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი თ ქ ვ ა ს თ ა მ ა მ ა დ, რ ო მ ტ რ ა დ ი ც ი ა ე რ თ ნ ა ი რ ა დ
ა მ ი ძ რ ა ვ ე ბ ს, ა ყ ა ლ ი ბ ე ბ ს, ა ს ხ ე უ ლ ე ბ ს ნ ე ბ ი ს ყ ი ფ ა ს დ ა ს უ ლ ი ს
ა ქ ტ ი ვ ი მ ა ს, რ ო გ ი რ უ კ ი ნ დ ი ვ ი ლ უ ა ლ უ რ, ი ს ე ს ო ც ი ა ლ უ რ ც ხ ო ვ -
რ ე ბ ა შ ი . შ ე მ მ ე ქ მ ე დ მ ა ე ვ ი ლ ი უ ც ი ა მ წ ა რ მ მ მ შ ვ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ფ ე -
რ ა დ ი გ ვ ა რ ე ბ ი დ ა ჯ ი შ ე ბ ი მ ხ ო ლ ი ლ ი მ ი ტ რ მ, რ ო მ ე ვ ი ლ ი უ -
ც ი ს ყ ი ვ ე ლ ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე ტ რ ა დ ი ც ი ს ნ ა შ თ ი რ ჩ ე ბ ი დ ა რ ო -
გ ო რ უ კ ი ბ ი ლ ი გ ი უ რ ი ფ ა ქ ტ ი რ ა გ ა ნ ი უ ლ ი შ ე ხ ს ი ე რ ე ბ ი ს.

მ ა მ ა - პ ა პ უ რ ი მ ი ძ რ ა მ ბ ა ტ ა ნ ი ს ა, ყ ი ვ ე ლ დ ლ ი უ რ ი მ ი ხ ვ რ ა .
მ ი ძ რ ა, მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა ა მ ა, თ უ ი მ ს ა ქ მ ი ს ა დ მ ი, თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი მ ბ ა
გ ა რ ე გ ნ უ ლ ი დ ა ს უ ლ ი ე რ ი მ ი დ გ მ ა ს ყ ი ვ ე ლ თ ვ ი ს დ ა ე ტ ყ ი ბ ა .

ა რ ა ფ ე რ ი წ უ თ ი ს ო ფ ლ ა დ ა რ ი ც ა რ გ ე ბ ა ა რ უ ბ უ ნ ე ბ ა შ ი დ ა
ა რ უ ბ უ ნ ი ს ხ ე უ ლ ი ს ე ვ ი ლ ი უ ც ი ა შ ი : ჩ ე ნ ი უ ბ რ ა ლ ი ხ ე ლ ი ს
ა წ ე ვ ი ს, ა ნ ფ ე ხ ი ს გ ა დ ა დ გ მ ი ს ფ ო რ მ ა გ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ უ ლ ი ა ჩ ე ნ ი
წ ი ნ ა პ რ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი უ ლ ი ჩ ე უ ლ ე ბ ე ბ ა შ ი .

დ ლ ე ვ ა ნ დ ე ლ ი გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი ს, ფ რ ა ნ გ ე ბ ი ს, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი ს ა
დ ა ს ხ ვ ა ე ვ რ ი პ ი ე ლ ე ბ ი ს ნ ე ბ ი ს ყ ი ფ ა, წ ა ს ი ა თ ი, ს უ ლ ი ე რ ი მ ი დ -
რ ე კ ი ლ ე ბ ა ნ ი, თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი მ ბ ა ნ ი ა რ ი ს მ ა თ ი დ ლ ე ვ ა ნ დ ე ლ ი შ ე -

მოქმედება: — წარსულით არის განსაზღვრული ყველაფერი და ისტორიკოსი ტაციტი რასაც ამბობდა გერმანელებისა და ფრანკების დასახასიათებლად, იგრვე ითქმის დღესაც, რაიგან იტარის შეუნახავს ეროვნული ჩვეულებები და ტიპიური თავისებურობანი.

ყოველი ერთ თავის კულტურას. თავის ციენლიზაციას აძლევს ელფერს იმ მიწა-წყლისა და გეოგრაფიული მდგომარეობისა, რომელთა გავლენას განიცდის საუკუნეთა განმაფლობაში: იქმნება თავს-თავად (per se) ერთგვარი შეფარდებულება ეროვნულ-კულტურისა და გეოლოგიურ-გეოგრაფიულ მდგომარეობის შორის.

საერთოდ პლანეტარული მოძრაობა კაცობრიობის ტერიტორიაზე მუხვადა: დად მნიშვნელოვანია პასკალის სიტყვები: „ალპების აქით რაც ჭეშმარიტებაა, ალპების იქით ის სიცრუეა“, ესე იგი, ტერიტორიული ქოფა ჩვები აძლევს ინდივიდუალურ თავისებურობას ჩვენს კულტურულ-ცივილიზაციურ შემოქმედებას.

ჩვენ მომწყვდებული ვართ განსაკუთრებულ გეოლოგიურ-გეოგრაფიულ პირობებში და ყველა ჩვენს იდეალებს, ჩვენს ღმერთებს, გმირებსა და ოცნებებს, ყოველი ჩვენი ნებისყოფის გამოცხადებასა და მოძრაობას აქვს ბოლოს და ბოლოს ხასიათი გეოტროპიული და ტერიტორიული.

საქართველო გეოგრაფიულად უსწორ-მასწორო ქვეყანაა: საქართველოს ყოველ კუთხეს აქვს თავისებური გეოლოგიური ინდივიდუალობა, იმერეთის ფიზიოგრაფია კი სულ სხვაა: გურიის ბუნება სამეგრელოს ბუნებას არ წაავს; რაჭა-ლეჩხუმი ტაო-კლარჯეთისაგან დიდად განსხვავდება თავის გეოგრაფიულ-გეოლოგიური მოქმედობით.

კუთხეური სხედება და თავისებურობა საქართველოში ჰქმნიდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კუთხურ ფსიქოლოგიას, პროვინციალობის კულტს, განკურმულებისა და გასაპირებების ჩვეულებებს.

შართალია, საშუალო საუკუნოებში ეს კუთხური ფსჩ-ქოლოგია და პროეინციალიზმი ფეოდალური სახელმწიფოებ-რავი სისტემის ნაყოფი იყო არა მარტი ჩვენში, არამედ და-სავლეთ ევროპაშიაც, საერთო მავლენა იყო კაცობრიობის: ისტორიაში; მაგრამ ევროპაში ფეოდალურ სისტემის რღვევას მაშინათვე თან დაყვა სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია კულტურისა, ჩვენში კულტურის ცენტრალიზაციას ხელს უშლიდა, გარდა ჩვენი მიწა-წყლის და ხეთქილობისა, ჩვენი ისტორიული ბედიც.

ჩვენი ეროვნული კულტურის საუკეთესო წუთები ქვისა-დიური ხასიათისაა: სისტემატიური ხასიათი ჩვენს ცივილიზა-ციას არა აქვს. აღმოსავლეთის უძლოები მოსვენების არ გვაძლევდენ, საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს ოჯახსა და სახელმწიფო დაწესებულებებს აღზრდებდენ; ვერც დავით აღმაშენებელის გამჭრიახობამ, ვერც თამარ მეფის ელვარებამ ვერ შექმნეს სისტემა ხანგრძლივი და შეუწყვეტელი ეროვნული კულტურისა.

ერთ გრძოდა, სისხლს ანთხევდა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ხშირად მარცხდებოდა; აღმოსავლეთიდან შემოღილებენ ჯელალ-უდინები და შავაბაზები; ანგრევდენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, იტაცებდენ საგანძურებელს.

მხოლოდ, რაკი საქართველო არ წარმოადგენდა კულტურულ-ცივილიზაციურ ერთეულს, რაკი საქართველოში არ არსებობდა ერთი ცენტრი ეროვნული კულტურისა, ჩვენი მორჩები ჩვენს სამშობლოში შემოსვლით ბოლოს და ბოლოს ბევრს ვერას გვანებდენ: მართლია, ერთს კუთხეს ამხრებდენ, დაგლევდენ, მაგრამ მეორე კუთხეში თითქმის ნორმალურად მიმდინარეობდა კულტურულ-ისტორიული მუშაობა: სკოლა, ლიტერატურა, დიპლომატია, ხუროვანობრება განაგრძობდენ არსებობას და ერთ მუშაობდა, ერთ პქმნიდა ცივილიზაციურ დირებულებებს.

ცწონედ ამან გადაარჩინა საქართველო განადგურებას;

დალუბვას: წარსულში რომ მომხდარიყო სრული ცენტრალოზ
ზაცია ჩვენი კულტურისა, ჩვენს რასიულ-ეროვნულ არსებობა-
ბას ბოლო მოეღებოდა ისე, როგორც მოეღო ბოლო ასურე-
ლებისა და ელლინების არსებობას.

ამგარად, ჩვენს ცავილიზაციურს პროვინციალიზმს,
ჩვენს კულტურულ კუთხურობას პქონდა დადგებითი ხასიათი,
პქონდა ერთგვარი მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული არსებობი-
სათვის და დღეგრძელობისათვის.

მაგრამ, ამასვე პქ-ნდა უარყოფითი ხასიათი: — ეს იყო
მიზეზი ჩვენი ისტორიული სისუსტისა და გაუჩვევლობისა,
ეს იყო უპირველესი მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად ჩვენი
კულტურის ორგინალობისა, მსოფლიო ისტორიაში, კაცობ-
რიობის საერთაშორისო ცივილიზაციურ შემოქმედებაში ჩვენ
ვერ დავიკავეთ რეაცია აღგილი, როგორც ეკადრებოდა ჩვენს
წარსულს.

სახელმოვანი წარსული გვაქვს, ლიტერატურა ჩვენი შდი-
დარია, მეტყველება ფერადი, მაგრამ საერთაშორისო თვალ-
საზრისით მაინც პროფისიულები გართ: ჩვენი რუსთაველი დი-
დიპ შინაგანი განცდით, მხატვაული გრძნეულობით, მაგრამ
ალიგიერის გრანდიოზობა მაინც ჩრდილივ მას კაცობრიობის
ისტორიიში.

ვაჟა-ფშაველას აქვს გოეთება და შელლის პანსოფიური
თუისებები, მას დაქვის საკაცო რიო იდეალების მშვენიერი, ორო-
გინალურ სახეები, მაგრამ ვაჟა-ფშაველა მაინც „პატარაა“,
მაინც პროვინციელია ამ სიტყვის ტრაგედიული მნიშვნელო-
ბით, იმიტომ, რომ წუთისოფლად ისტორიული უკუღმარ-
თობის წყალობით „პატარაა“, პროვინციელია მთელი საქართ-
ველო.

შინაგანი მიმდინარეობის პროფისიულადაბაში ჩვენს კულტუ-
რას მისცა გარედანაც პროფისიული ელფერი.

მხოლოდ შიგნით, ერთს ცხოვჩებაში პროვინციულობის,
კულტურა გადაიქცა ერთს ტრაგედიათ: მეგრელის გამოთქმაში-

სიტყვა „ქართული“ ნიშნავს, არა მარტო ქართველს და ომე-
რელს, არამედ ერთგვარ საზოგადოსა და სასაცილო ადამიანს.

შორეული წარსულიდან საქართველოში განმტკიცდა
ჩვეულება დაუსრულებელი. შურისძიებისა, ურთ-ერთშორის
მტრობისა, დაუნდობლობისა, ღალატისა. საზოგადო მუშაო-
ბას ქართველი ყოველთვის პირადი საჩვენებლობის ოვალსაზ-
რისით უყურებდა და როგორც კი პირადი ინტერესები პეტ-
სპექტრივებში დაესახებოდა, მაშინათვე საზოგადოებას და ერს
უსინდისოდ ღალატობდა.

დავით ალმაშენებელი გრძნობდა, მწვავედ გრძნობდა
ჩვენს ეროვნულ სენს და სწორედ ამიტომ მან შემოიყვანა
საქართველოში ყიბჩაყები; საქართველოში ეროვნული ჯარის
შედგენა მაშინ ძნელი იყო იმიტომ, რომ ქართველი დიდებუ-
ლები ერთმანეთს მტრობდენ და მათ შორის დისკიპლინის
დამყარება შეუძლებელი იყო; ყიბჩაყების ჯარის შემოყვანით
დავით ალმაშენებელს უნდოდა ეჩვენებია ქართველი თვადე-
ბისა და აზნაურებისათვის სახელმწიფო ეროვნული მუშაობის სის-
ტემისა და მხედრული დისკიპლინის საჭიროება. ქართველი
არისტოკრატია, რომელიც მაშინ ბატონ-პატრონი იყო ქარ-
თველი ერის და რომელსაც სახელმწიფო ეროვნული მუშაობის საჭე-
ში მრუდათ ეკავა, დავით ალმაშენებელის აზრით, შეეჩვევო-
და საქიანობასა და საზოგადოებრივობის პატივისცემას მაშინ,
როდესაც დაინახავდა დისკიპლინისა და სისტემის მაგალითებს.
თუ რაოდენად გრძნობდენ ცეკვად მოწინავე ელემენტები
ქართულ საზოგადოებაში არსებულ განამიჯების კულტს და
ერთმანეთის ღალატის საშინელებას, დავით ალმაშენებელის
დროის მემატიანე გვიჩვენებს: „ნათესავი ქართველთა ორგულ
ბუნება, — ამბობს მეათე საუკუნის ისტორიკოსი, — არს პირვე-
ლითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ რა უაშს განდიდნენ,
განსუქნენ და დიდება პიონინ და განსვენება, იშვებენ გან-
ზრახესა ბოროტისასა, ვითარება მოგვითხრობს ძველი მატიანე
ქართლისა. (ქართლის ცხოვრება, 260). ეტყობა ქართველ-

თა შორის ერთმანეთის მტრობა და ლალვა ძველი ამბავი ყოფილა და თვით მეათე საუკუნის ისტორიკოსი ქართველ ერის უბედურებას მიაწერს „ქართველთა ორგულ ბუნებას“.

მე VI საუკუნეში ქართველი მემატიანე ქართლელი აზნარების ინტრიგების შესახებ ლაპარაკობს: „დასრულდა მეფობა ქართლისა აზნაურთა ბოროტო საქმეთა მათგან“ (ქართლ. ცხოვრება 135).

ფრანგი მწერალი დელლა-ვალლე სწერს 1627 წელს რომის პაპს სხვათაშორის შემდეგს: „,მის მაგიერ, რომ ერთად ებრძოლონ მტებს, ქართველები ხშირად ერთმანეთს ებრძვიან“ (ივერია, 1879, № 3).

მეტად დაკვირვებული, ბევრს ჭირსა და ვარამში ამოკანგლული, საქართველოს წარსულის კარგი მცოდნე, პოეტი დავით გურამიშვილი ჩვენი ერთმანეთის კვალში ჩადგომისა და ღალატის შესახებ ამბობს:

„,კახელების აღმა ხნული
ქართლელებშა ღალატ ფარცხეს“ ა.

ქართული კულტურის ღიღა ფსიქოლოგი და სოციოლოგი ილია ჭავჭავაძე „აჩრდილში“ ქართულ სულს ეგრე აგვიწერს:

აგერ ორს-სამს კაცს რაღაც უგრძენიათ,
ქვეყნის სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაულვიძნიათ,
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.

ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰურით,
თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან,
თვით ამხობენ მას, რის აღდგენა ჰსურია,
თვით შველიან მას, რასაც ებრძვიან.

პოეტი არჩილ მეფე ქართველ ერს ეგრე ახასიათებს:

ასე სჭირს საქართველოსას
დიდებულო გინა მცირეთა;
აზეავდებიან, იტყვიან,
უჩემოთ ვინ იმღერეთა?

,,უჩემოთ ვინ იმღერეთობა“ — აი ჩვენი ისტორიული ტრაგედიის გამოსახულება; ,,უჩემოთ ვინ იმღერეთობა“ — აი ჩვენი საზოგადოებრივობის მიმდინარეობის საშინელი სენი:. საქართველოს ყოველ კულტურულ დაწესებულებაში, ყოველ საზოგადოებრივ საქმეში, რომ დაკვირდებით, თქვენ აღმოა-ჩენთ „უჩემოთ ვინ იმღერეთობას“.

ქართულ კულტურას ახრიობს, ორიგინალობას უმცირებს და ნების ყოფას უსუსტებს „უჩემოთ ვინ იმღერეთობა“.

საშუალო საუკუნეებში ქართველი ფეოდალები ამოძრავებულნი და ამოქმედებულნი „უჩემოთ ვინ იმღერეთობის“ კულტით, ერთმანეთს ლალატობდენ, ერთმანეთის შეუნა. და მტრიობაში იყვნენ.

მეფერამეტე საუკუნეში ქართველ მეფეთა ოჯახი შეიქმნა. ინტრიგებისა და კორების ბუდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახის ყოველ წევრს „უჩემოთ ვინ იმღერეთობა“ აწუხებდა და მოსვენებას არ აძლევდა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. და მეოცე საუკუნის დასწყისში ქართველმა ინტელლიგენციამ წარსულიდან მემკვიდრეობით მიიღო „უჩემოთ ვინ იმღერეთობა“.

საზოგადოებრივ ძალთა შორის კვლავ ძველი ქართული ჩვეულება იჩენს თავს: იწყება ჯგუფური გამოსვლები ერთშენერთის საწინაღმდეგოთ, მხოლოდ ჯგუფებს ათაბაშებს პერსონალური ინტერესები; მართალია ჯგუფური გამოსვლების მიზეზი იყო სოც.-ისტორიული ხასიათის, მაგრამ არც ერთს ჯვაფს შეინით არ ეტყობა მთლიანობა:

ყოველი ჯგუფის წევრს აწუხებს „უჩემოთ ვინ იმღერეთობა“ და ამისათვის ჰქმის თავი წრეს; სოციალური ხასიათის ხავითხს უყურებს პერსონალიზმის თვალსაზრისით. და ყოველთვის იდეალად ისახავს არა საერთო საქმის გაკეთებას არამედ განაპირებას, ჯიბრს, თანამშრომლის დამცირებას ღა საერთო საქმის დაშლას.

შედეგი ამისა იყო ყოველ დაწესებულებაში ინტრიგე-

ბის მოშეცვამა ერთმანეთის საწინააღმდეგოთ, დაუსრულებელი ჭორები, ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი კომბინაციები, ავლაპროცესი ლაულაყი და მკრიცხლა.

ილია ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბელის შორის უთანხმოება. იყო ერთგვარი სამწუხარო დემონიტრაცია ჩვენი „უჩემოთ ვინ იმღერეთობის“; ორი დიდი ქართველი ერთს იდეას, ერთს საქმეს აკეთებდნ, მაგრამ მამა-პაპური „უჩემოთ ვინ იმღერეთობა“ აწუხებდა მათ,— რა შეიტომ ერთად მუშაობა საერთო სამისათვის ეძნელებოდათ.

„უჩემოთ ვინ იმღერეთობამ!“ საქართველო კაჩუხაშვილებისა და ჩხიკვიშვილების საჯირითო მოედნად გახადა და მთელი რიგი საზოგადო მოღვაწეთა; მცოდნე პირთა ex d'etat დარჩა იმ დროს, როდესაც სმერდიაკოვები საქართველოს აქცივდენ.

ნეა ჭორდანის მეტამორფოზა და გნაპირება მენტევიკური ფორმა ჩვენი „უჩემოთ ვინ იმღერეთობას“; ერობები აქართველოში იგივე საშუალო საუკუნების კარჩაკეტილი ერთმანეთის მოვაჲე ფერდალური სახელმწიფოები.— უკნენ.

საუკუნედლებია ეროვნული ფსიქოლოგის თვალსაზრისით მენტევიკების ბატონობის დროის ქართლ-კახელების ჩივილი „იმერლები მოგვაშორეთ თავიდანო“; სამეგრელოს „მათულუკი“ თანაბარი ხასიათის აღსანიშნავი მოვლენაა. ისტორიული ტრადიცია, ეს. ცივილიზაციური „force“ დრო გამოშვებით თავისას ლაპარაკობს, თავისას ჰქმნის; თითქოუკულმართი სოციალური მიმღინარეობის ჩვეულება ისტორიულ კანონად გადაქცეულა. ბოლო დროს ლიტერატურაც ჩვენში „უჩემოთ ვინ იმღერეთობა“ აქ კი ჭარაკატურულ სახეს ღებულობს. ყოველი მელექსე თამამად და უსინამეტვილოდ სწერს:— მე კაცი მობრიობის უდიდესი პოეტი ვარო.

ჩვენი კულტურული პროგინციალიზმი დამთავრდა ლოგი•

ურად პერსონალიზმი: ერთი ჩვენი მოღვაწე, რომელსაც ისტორიაში ღილაკია აჩვენა და ისევ წაართვა, ხშირად ბრძანებდა ხოლმე; — მე ისეთი სახელმწიფო მინდა იყაშენო, რომლის მსგავსი ჩვენს პლანეტაზე არ ყოფილა.

ევრე თავხედურად გამოიქმული ფრაზა ჩვენი „უჩემოს კინ იმდერეთობის“ ისეთივე ფსიქოლოგიური გამომსახველია, როგორც ზოგიერთი ქართველი მელქესეს სასაცილო ტეატრი: მე კაცობრიობის უდიდესი პოეტი ვარო.

ჩვენს ხასიათში არის ჩალაც ისტორიულად შეძენილი თავხედობა, ერთგვარი პრანჭიაობა „ჩახალობა“, ქართველი ხშირად თავის თავს ძალას ატანს; ქართველს უველაფერი ეჩქარება და ვერაფრის დამთავრებას იგი ვერ ახერხებს; ქართველი ყოველთვის პათოში არის:

წმმაძველობა ნახალური და აჩქარებული ჩვენს ეროვნულ სულს უფრო ეგუება, ვიდრე სისტემა და ანალიზი ხაუთარი, ორიგინალური.

ჩვენი ტემპერამენტი ქალური და ისტერიულია ტრაგედიას ქართული სული არ იცნობს; რაც უნდა გაჭირვება იყოს, რაც უნდა ცუდად მიმდინარეობდეს ცხოვრება ჩვენს გარშემო, ჩვენ მარნც ოცნებებსა და იმედებში ვართ: „ცუდად ხომ მარნც არ ჩაივლის ეს განწროული სულის კვეთება“ და გზაჯალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო; მარნც დარჩება“ — ა, ლაპარაკობს ადამიანი, რომელმაც უარყო საზოგადოება და ყოველგვარი ღირებულებანი წუთისოფლისა.

ჩვენს ერს უფრო იფექტები ამოძრავებს, ვიდრე მოგადუათა: ჩვენი ნებისყოფა მუდამ მერყეობს, ჩვენ ორგანული შეგრძნობილი არა გვაქვს ჩვენი კულტურ-ტრიპიზმი და ის-ტორიოლოგიური მიმდინარეობა.

ჩვენს სულში არის მჩუში და რასკიპული ლარშეპრევობის სურვილი: ჩვენი ისტორიული აფექციონალი, ჩვენი რყევადი ჩარსული, შელესილი ჩვენს სხეულში, ალაყლაყებს ჩვენს ნებისყოფას და ჩვინი ფიზიოლოგიური ბუნების ხვეუ-

ლებში დაძრწის ავალმყოფური, საღისტური წადრლი ვიყოთ ჭინშეს მიერ ძალდატანებული, დაჲყლეტილი. თითქმ ჯელალ-ედინებმა და შაჲაბაზებმა შეგვიჩვიეს მრუშობასა და ძალდატანებას: ერთმანეთს ვჰამთ, ერთმანეთის დაბეზლებაში ვართ, ერთმანეთი გვძულს; სოციალური, კოლექტური არსებობისა და თვითშენახვის ინსტინქტი ჩვენში არ მოქმედობს; ქართველი ჰი-რადი ინტერესების თვალსაზრისით უყურებს ყოველგვარ სა-ზოგადო საქმეს, ყოველგვარ, ისტორიულ მოძრაობას.

არც ერთი ერის ისტორიაში იმდენი ლალატისა და ერთ-შანების მტრობის მაგალითები არ შეგხვდებათ, რამდენსაც ჩვენს წარსულში ჰქონებია იდგილი: ზეინაბები, ოთარ-ბეგები, სააკაქები, ფალავანდიშვილები, კაჩუხაშვილები ჩვენი ისტო-რიული უკულმართობის და მრუშოპის ცოცხალი გალერეა; საქართველოს მიწა-წყალი და შლის, ბრძოლის, განგაშის არე-ნაა; ქერთული საზოგადოებრივობის ფსიქოლოგია, ჩვენი კულტურულ-ცივილიზაციური მიმდინარეობის შინაგანი სახე ისტორიულად შელრეკილი და დაცრეცილია; ჩვენს ჯგუფურ-სა ან პერსონალურ განაპირებაში, ერთმანეთს ლალატში წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული ჩვეულებები მოძრა-ობენ და უხეირო პირობებში დამუშავებული ისტორიული კულტი დროგაში შევებით იმეორებს თავის ცოდვებს.

ქართველი საზოგადო მოწვაწე ფლადი, ცულლუტი და მანკიერია; ქართველი მწერალი ცრუ; კუდაბზიკა და ტრაბა-ხია; ქართული საზოგადო დაწესებულება ინტრიგებისა და ჭორების საზიზლარი ბუდეა; ქართველი დილიდან საღამოშდი. სულ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ დამციროს მეორე ქირთ-ველი: წახდება თუ არა ამით საერთო საქმე, ეს ქართველს არ აწუხებს.

ქირთველი მუხანათი და ვერაგრა თავისიანებში; უცხო-ტომში გარეული, უც კეთილშობილი და მორჩილი მოსამ-სახურეა; ქართველი საქმის სათავეში საზიზლარია: დაიკავებს თუ საპატიო აღგილს, ჩაშინათვე თავხელურად კაიპრინჭება.

და ორლეანის ქალწულის პოზაში ჩადგება; ყოველგვარი გამ-
ბეჭაობა ქართველის ყოველთვის ნახალობით თავდება.

კორი, ინტრიგები, აფექტებისა და მერძნობელობის მსუ-
ბუქი აყოლა, უმიზებო ისტერიული პათოსი, ერთმანეთის
კუნთებისა და ბარძაცების შეყურება ჩვენი. ეროვნულ-ისტო-
რიული თვისებებია.

თეატრი, ბანკი, რკინის გზა, სასწავლებელი, რედაქცია,
— ყოველი საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება საქარ-
თველოში კორებითაა სავსე და ინტრიგებში იხსინბა; შედე-
ვი ამ ქორებისა და ინტრიგების სს არის, რომ თავმოყვარე-
პატიოსანი და ნიკიერი მუშაკი დაწესებულებიდან გადის, რად-
გან ვერ ითმენს უზნეობასა და უსინიდისობას; დაწესებულებაში
რჩება უნიკო, უსინიდისო, ტლიდი, მოღალატე, რომელსაც
შეოღუდ თავის პირადობა აინტერესებს და რომლის იდეალს
ყველაფერი დაშალოს, — ოღონდ კი თავის თავს ასიამოვნოს.

წინად, კახეთში სცენებობდა ერთი მეფე, რომე-
ლიც წმინდად ლაპარაკობდა: რა მეშვეოლება, კახეთი მჭიდრ-
ობო არის დასახლებული და სანაზორო ადგილები არა მაქვსო;
დაუქცეს კახეთი, ოღონდ სანადორო ადგილები მჭრნდესო.

მეფე გიორგი III დროს; როდესაც დიოხანს ომი აღარ იყო,
დიდებულებმა და ჯარმა მეფეს მოახსენეს: „არა არის ღონე-
რიარჩიმისა ჩვენისა, თვინიერ ლაშქრობისა და რბევისაო“;
წმინდა ავლაბრული თავჭარიანობაა გამოსახული ამ სიტყვებ-
ში: უნდა ავაწიოკოთ, ევაშვილოთ ქვეყნა; მოომენა, ღონე-
რიარ გვყოფნისო, — ამბობს ქართველი და, მართლაც თავს
ცელარ იყავებს — სურს ქვეყნის დარბევა. პროფ. ივ. ჯავახი
შეილი მკვეთრ განმარტებას, აძლევს ამ სიტყვებს: „აღ: მიანი
თავის თავს მტერი უნდა იყოს, რომ ყველა თავისი მეზობე-
ლი ტყეულ-უბრალოდ გადიკიდოს და თავისადმი. სიძულვილი
ჩაუნერვოსო“ (საქ. ეკონომიკურ, ისტორია, 70). სწორედ
რომ ქართველი თავის თავის მტერია: ქართველს თუ სხვისი
აწიოკება არ შეუძლია, თავის თავს აწიოკებს და აოხრებს —

ქართველის სადისტური ბუნება იხოულობს ავლაბრულ გა-
ქანებას, ფიზიოლოგიურ ალაყლაყებას: ბოლოს და ბოლოს
ქართველისთვის სულე ოთია სხვას ურტყამს თუ თავის თავს,
ოღონდ დაიქანცოს, კუნთები დაცალოს... ქართველი ფსიქო-
ლოგიურად აქრობატი და ეონგლიორია.

ჩექენში დღესაც არიან მეჭორე და ფლიდი ოჯახები, ფა-
რისეცელი და ცულლური, შერიანი და მოკრივე ტიპები:
ყოველ საზოგადო დაწესებულებაში ისინი შედიან განსაკუთ-
რებული მიზნით—პირუტყვულ სურვილებით: მათი იდეალია
წაგლეჯა, წართმევა, სკანდალი: უწესობა, ყავახანური ღრია-
ლი, ყველაფერი სერიოზულის და პატიოსანის გემასხარავება.

საშინელია ფსიქოლოგიური სინამდვილე ჩექენი არსებო-
ბისა და მეობის, მაგრამ შეიძლება ეს საშინელება მხოლოდ
ინტელიგენციის დეგენერაციით ამოიწურება, შეიძლება მხო-
ლოდ ქართველი ინტელიგენცია ეგრე დაცემული და ქართ-
ველი ხალხი შეიძლება დღესაც ატაჩებს მაღალსა და კეთილ-
შობრუ მოზალურ ინტელექტუალურ ღირებულებებს? ჩექენი
ხალხის ლეგენდებსა და სიმბოლიურ ფილოსოფიურ თქმუ-
ლებებში შეიძლება სხვა მორალი და სხვა სულია, სხვა გან-
ცდა და სხვა იდეაა?

მაგრამ; განა ხალხი ისტორიაში აჩსებობს როგორც
ცალკე კათეგორია? განა ხალხის, ერის ისტორია ბოლოს და
ბოლოს ინტელიგენციის ისტორია. არ არის? განა საბერძნების,
რომის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების ისტორია იგივე ამ
ქვეყნების ინტელიგენციის თავებადასავალია არ არის?, განა
ძველი პატრიარქები, ტირანები და ცეზარები, განა საშუალო
საუკუნეების ფეოდალები და ვასალები დროისა და პირობე-
ბების გამომსახველი ინტელიგენტები არ იყვნენ? ინტელიგენ-
ცია (les intellectuelles) ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელო-
ბით ღრმად ისტორიული ცნებაა და არ არსებობს ერის ის-
ტორია, გარეშე ერის ინტელიგენციისა ერი მოკლებული
ინტელიგენციას, მხოლოდ ხალხსა, მხოლოდ ანთროპოლო-

გიურ-ფიზიოლოგიური ოდენობაა: ერის განცუდებსა და იღება-
ლებს, გრძნობებსა და ზრახვების ამეტყველებს ინტელიგენცია და
არ არსებობს კულტურა და ისტორია გარეშე, ინტელიგენ-
ციისა.

ინტელიგენცია გამოსახულებაა ერის სულის და მორა-
ლის; ინტელიგენცია ორგანიული ამოდახილია ერის შემოქმე-
დებითი განცდისა; ინტელიგენციის სული იგივე ერის სულია
და თუ ერი დეგენერაციის გზაზე დგას, ინტელიგენცია საუ-
კეთესო გამომხატველია. ერის დეგენერატული სულისა და
მორალის.

ჩვენი ისტორიული ფსიქოლოგია საშუალო საუკუნებში
როგორიც იყო, ისეთივეა დაახლოებით შემდეგ საუკუნოებ-
შიაც: სჩანს ტრადიციის ნაშთი ისტორიულ-სოციალური
ევოლუციის საფეხურებზე რჩება როგორც ბიოლოგიური ფაქ-
ტი დრგანიაული მექანიკების და რაც განმტკიცებულა, დამკვიდ-
რებულა ისტორიულ ხვეულებებში, რაც სულსა და სხეულს
ოდესმე წარსულში შეუთვისებია, ის სამწუხაროდ ამ შემთხვე-
ვაში, გადმოსულა მემკვიდრეობით, საშვილიშვილოდ ჩვენზე.

ქართველი ერის რასიული ვინაობა ხაბოლორდ გამორ-
კვეული არ არის, მაგრამ ჩვენს ანთროპოლოგიურ-ფიზიო-
ლოგიურ მეობაში ერთი რამ უდაოა:—ქართულ სხეულში
არის ელემენტები უცხოელების; ქართულ ძარღვებში მოძ-
რაობს სისხლი ჩქარი, რყევადი თითქმის ყველა აღმოსავლე-
თური რასის და ტომის: გადმოდიოდენ რა აღმოსავლეთიდან
საქართველოს მიწა-წყალზე აზიელები ტოვებდენ როგორც
თავიანთ ზეგჩვეულებებს და სტილს, აგრეთვე ფიზიოლოგიურ
ელემენტებს, უჯრედებს და სისხლს; ქართველი ქალი ირთავ-
და ხან მონგოლს, ხან რანელს, ხან თათარს, ხან ისრაელს
და ქართული ტიპი საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა

სისხლი შემდგარი სხვა და სხვა ელემენტებიდან ქიმიური
დაშლისა და ფსიქიური ასხივოსნების დროს იძლეოდა. ქო-
რიურ სახეს და ნებისყოფა ირყეოდა: გარკვეულობა, სისტე-

მა ჩვენს ქულტურულ განცდასა და შემოქმედებას არ ეტყობა; ქართველის დღესაც არ უყვარს სისტემატიური და გარკვეული გზა არც ლიტერატურაში, არც მეცნიერებაში: ქართველი თავის ფსიჟიას ახრჩობს ფიზიოლოგიაში და ქართველის პათოსი ყოველთვის უფრო ფიზიოლოგიურ სფეროში ხდება, ვიზრე ფსიქიურში. ქართველი თავის ბუნებით მერყევი და უპირინციპოა. ძიება, განყენებისადმი ტრაფიალება, ფილოსოფიური ჭრეტა და პრინციპისათვის ბრძოლა ქართველს არ უყვარს. წარიყელი სეფია ისტერიული და ბათუთიურია; არა სისტემატიური.

რასკოლნიკოვი დოსტოევსკის ომანში ლაპარაკობს: მეკაცი არ მომიკლავს, მე პრინციპი მოვყალიო, და განიცდის ღრმა ჰამლეტურ პრობლემის ტრაგედიას, —იწვის; იტანჯება, რაღან ვერ შეათანხმა თავის ლოგიურ განზოგადებაში პრინციპი და თვითარსებობის ფიზიოლოგიურ-ნერვიული მოთხოვნილება.

ასეთ ტრაგედიას ქართველი ინტელიგენტი, არ იცნობს, არ განიცდის.

გრიგოლ ორბელიანი დიდი პოეტი იყო, თანაც მორალისტი და საზოგადო მოღვაწე; პატრიოტიზმსა და დემოკრატიზმს ხშირად ეტროდა, მხოლოდ ყოველთვის ამ ტრაფიალებაში, ხშირად უაღრესად რომანტიკულში, მცონარეულ ფიზიოლოგიას დაუმატებდა ხოლმე: სამშობლოს სიყვარულთან, შმინდა ორგანიულ-ეროტიულ ნოსტალგიასთან მას აგონდება აზარფეშა, სავსე მობუყბუყე ღვინით და ჯეირანის მწვადის შიშინი.

მეშვეობა ელაპარაკება: წალი, მე და შენ საიქიოში გავთანასწორდებითო, აქ კი ეგრე ვიყოთ, როგორც ვართო ე. ი. შენ მშიერი და მე მაძღარიო.

გრიგოლ ორბელიანს ასი ძაღლი ყავდა თავის ეზოში და რამდენიმე ბაზიერი, ძაღლებს აჭმევდა, ინახავდა, ამავე დროს თითო მეძალლეს ოცდა ათ მანეთს აძლევდა თვეში

ჯამავირს. ნაკოლობ ბა ჩათაშვილი — დისტული გრიგოლ თრ-
ბელიანის შიმშილით კვდებული, საშანელ სილარიბეჭი რყო,
ხშირად წერდა ხალცე თავი „ძიას“, გრიგოლს თავის უფუ-
ლობასა და გავირვებაზე, მაგრამ არასოდეს გრიგოლ რჩე-
ლიანი არ შეწუხებულა, სულ ერად არ დატანჯულა; ასობით
ძალაებასა და ბაზიქრებს ინახავდა თავისი პრიადი სიამოვნე-
ბისათვის: პრინციპი, მოვალეობის იდეა თუნდაც იმისთანა-
დიღბუნებოვანი ადამიანის წინაშე, როგორიც ნ. ბარათაშვი-
ლი იყო, გრ.: ორბელიანს ა/, აწუხებდა: თქმა არ უნდა, აქ
პერსონალიზმი ჩანს — ალტირუიზმი, მოვალეობრი იდეა, ადა-
მიანობა აქ არ არას: აქ არის მხოლოდ ფიზიოლოგია და არა
მორალი.

შაშველი თვითშეყვარება, მხოლოდ და მხოლოდ თავის-
თავზე ზრუნვა, წუთისოფლისა და სიმყაროის ყველა ლირებუ-
ლებათა პერსონალიზაცია ქართველს ინტელიგენტს ახასია-
თებს: დრო გამოშვებით ჩვენს ლიტერატურაში; ჩვენს ისტო-
რიაში პერსონალიზმის კულტი ლირიკინალურ ფორმას იდებს:
ავთანდილ წერს მეფე როსტევანს: სიტყვებს, რომლებშიაც გა-
მოთქმულია საბერძნეთის ფილოსოფიური აზრები, ღრმა ქარ-
თული. პერსონალიზმით შეხავებული; ავთანდილ თხოვს მეფე
როსტევანს, სხვათა შორის, მონების განთავსუფლებას. და
დარიბებში თავის სიმიღებრის დანაწილებას არა იმიტომ. რჩმ.
ავთანდილს მართლა მონებისა და ღრმაბებისადმი: სიყვარული
აწუხებდეს, არამედ იმიტომ, რომ სახელი მის, მოაგონდეს.
სხვებს, თუნდაც ლარიბებს.

ავთანდილს სიკვდილის ეშინია: ვერ დაიჭირავს სიკვდილს
გზა ვოწრო, ვერც კლდოვანიო, ბატონი და ყმა ბოლოს მა-
რც ერთად შეიყრებიან ამიტომ მიეცი გლახეკთა: საჭურჭლე
ათავისუტლე მონები; — მიღვწიან, მოშეგონებენ, დამლოცვენ, მოვე-
გონებით.

ავთანდილმა იცის, რომ ეს ცხოვრება წარმავალი და
ხრწნალია, იცის რომ ყველაფერი წუთისოფლად გაივლის და

კვალი არსებობისა არსად დარჩება, იცის, რომ ყოფა აღამიანისა თავის შწველი განცდებით და ილიუზიებით იკაჩება დაუსრულებლობაში; სწორედ ამიტომ მას უნდა რამ მოქლი მისი ქონება ლარიბთა შორის დარიგდეს: ამის შემდეგ სხვები იტყვიან, ავთანდილს მოიგონებენ, ავთანდილის ხსენება იქნება ქვეყანაზე: პატარა ნუგეში მაინც არის, სახელი და კარგული ინდივიდუალობისა მაინც დარჩება ამ უთავბოლო წუთრსოფელში.

ასეთი აზრი არის გამოხატული რუსთაველის მეორე ტრაზაში:

— რასაც გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია.

აღამიანთან ერთად იხრწნება ქონება, ნივთი, ყოველგვარი მატერიალური ღირებულება; საგანთა და მრავლენათა დაუსრულებელი სტიქიური დენა სახეს წაუშლის ინდივიდუალობას, ამიტომ საჭიროა გაცემა ქონებას, რომ სახელი მაინც დარჩეს სამყაროის ყრუ. სიჩქმეში, სახელი მაჩვენებელი იმისა, რომ ამ ტანჯვერა და უზნერბის პლანეტაზე ინდივიდუალური კეთილშობილებას ქონებია ადგილი. რუსთაველმა მისცა ჩვენს, ქართულ პერსონალიზმს შეტად კეთილშობილი, სიმპატიური ხასიათი, მხოლოდ შემდეგ საუკუნოებში ეს კეთილშობილება ინდივიდუალიზმისა ისევ შორდება ქართულ სულს და ქართველის ნებისყოფა ისკველებულად იმ განაპირებისაკენ მდის, რომელიც აღნიშნა დავით აღმაშენებელის დროის ისტორიკოსმა, რომელსაც საფუძვლად აქვს მრუშა ისტორიულ-ფიზიოლოგიური და პერსონალ-სტური carpe diem! და რომა ლის თვალსაჩინო ტრაგედიული განსახიერებას წარმოადგენს გიორგი სააკაძე.

* * *

ამ რიგად, ჩვენი ერის კულტურა და მისი ცივილიზაციური ფორმები, დაწყებული შორეული წარსულიდან, და დამზადებული დღევანდელი იდეოლოგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული ტენდენციებით, ჟედეგია ტერიტორიულ-ინტერიული ტრაზიზმის: ყოველი საუკუნე თავისებური ცხად-

ყოფაა კულტურულ-ისტორიულ შესაძლებლობისა. და ბიო-
ლოგიურ-ორგანიული მეხსიერების—მეხსიერების, რომლის
პოტენცია გროვდებოდა საუკუნეთა განმავლობაში ირაფიონა-
ლურად, აღოვრულად და რომელსაც აქვს მხოლოდ ისტორიულ-
ფისიკოლოგიური ჩვეულებებით განმტკიცებული რაციონალური
და ლოგიური ხასიათი. ყოველი ნაბიჯი წინასწარ განსაზღვრუ-
ლია კოვლობის მოტივთ და ჩაც არის, არ შეიძლებოდა
სხვა სახის ყოფილობა. არაუკარი არ იქანება. შრავლობაში,
გარდა ინდივიდუალობისა* და მრავლობის ტერიტორიულ-
კუთხური შესაძლებლობის ტროპიზმით განისაზღვრება კო-
გორუ ინდივიდუალურ-ეროვნული, ისე ზოგადი, კაუმბრიუ-
ლი ნებისყოფა, სული და ადა—განცდა და მოძრაობა.

ჩვენს გამოკვლევაში—„ცხოვრება როგორც ესთოტიური ფე-
ნომენი“ (რომელიც მზადდება დასაბეჭდით) ჩვენ ცალკე განვიხილავთ. ინდი-
ვიდუალობის პრობლემას.



ს ა რ ჩ ე ვ ი

გვერდი:

წინასიტყვაობა

შესავალი

7—12

I.

ბიოფსიქიზმი:

1. სულისა და მატერიის ისტორიული განმარტება	14—19
2. სული და შემცენება როგორც ორგანიული ჩვეულება	20.—21
3. ფსიქომატეზიალიზმი და ორგანოტრაქიზმი	22—27
4. ორგანო ტრაპიზმი და კოსმიზმი	28—33
5. ეკოლიუცია და მატერიის მარადობა	34—41

II.

კოსმიზმი და ცხოვრების აზრი:

6. ორგანიული მეხსიერება და კოსმიზმი	45—49
7. გრძნობა და რიტმი	50—54
8. მშენიერების იდეა	55—62
9. ეგიზიზმი და კოსმიზმი ჰიყვარულში	63—65
10. კეშმარიტების პრობლემა და ლოგიკა	66—74
11. იდეალების ევოლუცია	75—83

III.

პროგრესი და მარადობის იდეა:

12. პროგრესი არ არსებობს	87— 96
13. მარადობის იდეა	97—103
14. წარმავალობის სევდა	104—111
15. საღამო უამს	112—
16. წართისოფელი და წარსული	113—118
17. ესთეტიკური იდეალი	119—124
18. იდეალი და ტანჯვა	125—129
19. იდეა და ფორმა	130—135

IV.

ქართული კულტურის სული:

20. ბრძოლის კულტი	139—144
21. ქალი და სიყვარული	145—154
22. ქართული ტიპი	155—170

18

5 242

ბ ე კ ვ დ ი თ ი მ ე ბ ი

გვერდი	სტრ.	ქვემ.	ზემ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
70	8	—	—	ექიმმა ლოდორმა	ექიმი ლოდორმა
76	3	—	—	Chimère	Chimères
99	—	3	—	კუნგურუ	კენკურუ
101	—	—	2	ჩვენიმე	ჩვენი მე
108	—	—	8	Chimère	Chimère
144	2	—	—	ევექტები	აფექტები
145	—	—	12	საყუდადლებოა	საყურადლებოა
161	14	—	—	სახელმწიფოები	სახელმწიფოები

ნება დართულია საწედრო ცენტორისა და პოლიტ.-გინათ. ვარკუფულების მიერ.—
ბათობი. დეკემბერი—იანვარი, 1922—23 წ.

18

3 242

ალ. ესაკიას გამომცემლობა:

ନେତ୍ରକୁଳେରା ଯେ ନିଃଶ୍ଵର ହେଉଥିଲା ତାଙ୍କାଟୁମୁଣ୍ଡଳା ଦାରୁଗ୍ରୀତିରା ତାଙ୍କୁ

ପ୍ରକାଶନକାଳିକା

მზადდება დასაბეჭდათ:

1. დ. ჭუთათელაძე: საქართველოს გეოგრაფია შრომის
სკოლებისათვის.
 2. კ. კაპანელი და დ. კასრაძე: მსოფლიო ლიტერა-
ტურის ისტორია. წიგნი პირველი: ანტიური ქვეყნები.

წიგნების მთავარი საწყობები; თბილისი - წერა-კითხვის
საზოგადოების წიგნის მაღაზია.

१२८३

სახელმწიფო მეცნიერების უნივერსიტეტის საბჭოს საქამიანობა;

1923